

ყოვალაჰვირეული გზაჰთი

# ქრონახე

გამოდის ორგანოთობით N25 (387) 12.12.2022 ფასი 2.50 ლარი

**ვალერი გელბახიანი:**



„კანონი ითხოვს, მხარეს მიეცეს გონივრული ვალა, გაეხნოს ახალ გზაჰეგულეას“

გვ. 6

**ნიკოლოზ ვარდოშვილი:**



„ნაციონალური მოძრაობა“ პარლაჰენის გუჰენის პარტიანა“

გვ. 12

**ფალსიფიცირებული პროდუქციის სხელი ათეული**



რაგომ ემიჯნება საქართველოს მთავრობა HACCP-ის დანერგვას?

გვ. 18

## თორნიკე გოგუაძე: „ეს არის რუსული რეჰიმი, განიბრძნო საფრთხე უკრაინაში გეგრძილი გეოგრეგისგან“



**ნინო გურჯანაძე:**

„ოპოზიციანე ვერ ახერხებს, რეალურად დანერგისნირდეს ხელისუფლებას“



გვ. 2

**პაატა დავითია:**



„სააკაჰვილს რაგე რომ დანერგითოს, კიდეჰ ერთი პრეზიდენტი გვეყოლება მოკლული“

გვ. 4

**სერგო ჩიხლაძე:**

„მიხეილ სააკაჰვილის ორგანიზმს რესურსი აღარ დარჩია“



გვ. 8

# „ოპოზიხია ვერ ახერხებს, რეალურად

**გიგა გელსვიძე**  
592 41 85 85

საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკურ ველზე კრიზისული ვითარებაა შექმნილი, რომლის მთავარი მიზეზი „ქართული ოცნება“ და მისი დამფუძნებელი, ქვეყნის არაფორმალური მმართველი, ბიძინა ივანიშვილია. თუმცა, ამავდროულად, არც სხვა ფაქტორები უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომელსაც ოპოზიციური სპექტრი ქმნის ან უნდა ქმნიდეს... მაგრამ იგი პროცესებისგან, გარკვეულწილად, დისტანცირებულია.

ოპოზიციის მიერ დაანონსებული ცხელი შემოდგომა ისე გავიდა, რომ პოლიტიკურ პროცესებზე უფრო ცხელი ამინდები აღმოჩნდა. შესაბამისად, პერიოდი, როდესაც მოსახლეობა მზად იყო, გარეთ გამოსულიყო და ხელისუფლებისთვის თავისი სათქმელი ღიად გადაეცა პროტესტის ენაზე, ოპოზიციამ ამ პროცესს პარლამენტის გრილ კაბინეტებში ყოფნა და ტელეკამერებთან კეკლუცი ამჯობინა. ყველაფერ ამას თან დაერთო მოძმე უკრაინასთან გართულებული ურთიერთობა და რუსეთის მამებლური განცხადებები, რამაც საქართველოს ევროპულ მისწრაფება ძლიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. აღნიშნულის დამადასტურებელი ფაქტორი ხელიდან გაშვებული ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსია, რომლის მოსაპოვებლადც დღეს ქვეყნის წინაშე დიდი ამოცანა დგას, - 12 რეკომენდაციის შესრულება. თუმცა ფაქტია, რომ ხელისუფლება ამ ყველაფერს იმდენად ზერელედ უყურებს, დიდი მოლოდინების ქონა, უზრალოდ, შეუძლებელი ხდება. ყველაფერ ზემოხსენებულის ფონზე, კიდევ ერთი უდღევსი პრობლემა პუტინის პირად პატიმრობაში ივანიშვილის ხელით დატუსაღებული ქვეყნის მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა, რომელიც ყოველწლიურად უარესდება და არავინ იცის, მომდევნო დღეს რა ინფორმაცია გავრცელდება მის შესახებ. ამავდროულად, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომელიც სააკაშვილის დამფუძნებელ, დღეს უკვე მთავარ ოპოზიციურ პარტიად წოდებულ „ნაციონალურ მოძრაობაშია“ - ბრძოლა კენერაშვილის ფინანსებისა და თანამდებობის მოპოვების მხრივ.

გამჯერად ქვეყნის შიგნით და გარეთ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე სასაუბროდ დაფუძნებული პარტია „ერთიანი საქართველოს“ ლიდერსა და პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს.

მისი შეფასებით, პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ამ ეტაპზე საქართველოში მიმდინარეობს, ქვეყნის იმიჯისთვის ძალიან დამაზიანებელი და დამლუპველიც კი არის.

უფრო მეტ დეტალს, თუ როგორია ნინო ბურჯანაძის თვალთ დანახული დღევანდელი საქართველოს ყოფა, ვრცელი ინტერვიუდან შეიტყობთ:

- ქალბატონო ნინო, სანამ უშუალოდ ძირითად საკითხებზე გადავალთ, პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, როგორ შეაფასებთ პოლიტიკურ ვითარებას საქართველოში, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციურ ფლანგზე?  
- მიმაჩნია, რომ უმძიმესი ვითარებაა როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციურ ფლანგზეც, - ვერც ერთი და ვერც მეორე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. სამწუხაროდ, ხელისუფლება ნამდვილად ვერ მო-

ქმედებს ქვეყნის წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად. ხელისუფლება გადასულია თავისი ძალაუფლების შენარჩუნებაზე და ამიტომ არის მთავარი თემა სააკაშვილი, ოპოზიცია კი ვერ ახერხებს რეალურად დაუპირისპირდეს ხელისუფლებას და ოპოზიციის დღის წესრიგშიც არის მხოლოდ და მხოლოდ ორი თემა, - სააკაშვილი და უკრაინა. ესენი უმნიშვნელოვანესი თემებია, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ის, რაც საქართველოს დღეს აწუხებს. ასე რომ, ხელისუფლება, რეალურად, ნაწილობრივ თავის დღის წესრიგს კარნახობს ოპოზიციას, ოპოზიცია კი ვერ სთავაზობს ხელისუფლებას იმ დღის წესრიგს, რომელიც გარდა არსებული საკითხებისა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის.

- საზოგადოება ელოდება მასშტაბურ აქციებს, ჯერ კიდევ შემოდგომისთვის დაანონსებულს, თუმცა უკვე ზამთარია და ახალი დაპირებები გვესმის. ფაქტია, რომ ამას სჭირდება გარკვეული სახის მუხტი. ხომ არ იქნებოდა სწორი ამ შემთხვევაში ოპოზიციისგან, რომ დატვირთვით საპარლამენტო მანდატები და გამოვიდნენ ქუჩაში, მაშინ როდესაც ისინი რეალურად ვერაფერს ნყვიტენ პარლამენტში?

- თქვენ მეკითხებით ისეთ რამეს, რასაც მე ორი წელია ვამბობ. ჩემი ღრმა რწმენით, ისინი პარლამენტში არც უნდა შესულიყვნენ. დიდი შეცდომა იყო ოპოზიციის პარლამენტში შესვლა - ამით მოკლეს ოპოზიციური მუხტი და შემოიტანეს უდღევსი ნიჰილიზმი. ახლა უკვე საზოგადოებისთვის ძალიან არადამაჯერებელია: ზიხარ პარლამენტის საგარეო დეპარტამენტის იღებ ხელფასს, შედეგს ვერაფერს დებ და ნახევრად მშიერ ადამიანებს მოუწოდებ, რომ გამოვიდნენ ქუჩაში და დადგნენ, როცა ვერ სთავაზობ თანმიმდევრული მოქმედების, შედეგის მიღწევის გეგმას. ხალხი ხედავს, რომ ოპოზიცია ერთმანეთში ვერ ახერხებს დალაპარაკებას. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მძიმედ აისახება ოპოზიციურ რეალობასა და ადამიანებში არსებულ მუხტზეც.

- წლების მანძილზე ვაფიქსირებთ მოსაზრებას, რომ ჩვენ გვაქვს პროფეროპული გზა და ვირჩევთ დასავლეთს. ამას მოწმობს ის შედეგებიც, რაც გამოკითხვებით იდება. თუმცა სხვა შინაარსისა და დატვირთვის არის სახელისუფლებო პირების განცხადებები. რამდენად დახვეწს უკან ევროპულ გზაზე მიმავალ საქართველოს ეს ყველაფერი?

- იმდენს ვლაპარაკობთ, ამასობაში გვაგინებდა უმნიშვნელოვანესი, - ქვეყანა თუ არ გვექნა და ხალხი არ გვეყოლა ქვეყანაში, მერე ორიენტაციას რა მნიშვნელობა აქვს? გვაგინებდა, რომ ხელისუფლება უმთავრეს პრობლემას არ აგვარებს, რასაც მიგრაციისა და დემოგრაფიის პრობლემა ჰქვია. თუ საქართველო ქართველებით არ იქნება დასახლებული, მაშინ რაზე უნდა ვისაუბროთ? „ქართული ოცნების“ ქმედებები, რა

## ნინო ბურჯანაძე:

**„იქვია, ხელისუფლება გააცნობიერებს, რას ნიშნავს ყოფილი პრეზიდენტის სისოცხლის საუკეთესო ნიშნუ დაყენება“**



თქმა უნდა, არავითარ კავშირში არ არის ევროპულ ფასეულობებთან და ევროპულ დემოკრატიათა. რა ევროპულ ფასეულობებზე ვლაპარაკობთ, როცა 21-ე საუკუნეში არაფორმალური მმართველობა, არც ერთი ინსტიტუცია არ მუშაობს წესიერად, როცა ელემენტარულად სასამართლო დამოუკიდებლობის პრობლემაა. ბავშვიც აღარ არის დარჩენილი, რომ ეს საკითხი არ ესმოდე.

- ძალიან მწვავე, კრიტიკული განცხადებები კეთდება ხელისუფლების წინაშე.

„ხელისუფლება გადასულია თავისი ძალაუფლების შენარჩუნებაზე და ამიტომ არის მთავარი თემა სააკაშვილი, ოპოზიცია კი ვერ ახერხებს რეალურად დაუპირისპირდეს ხელისუფლებას და ოპოზიციის დღის წესრიგშიც არის მხოლოდ და მხოლოდ ორი თემა, - სააკაშვილი და უკრაინა. ესენი უმნიშვნელოვანესი თემებია, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ის, რაც საქართველოს დღეს აწუხებს. ასე რომ, ხელისუფლება, რეალურად, ნაწილობრივ თავის დღის წესრიგს კარნახობს ოპოზიციას, ოპოზიცია კი ვერ სთავაზობს ხელისუფლებას იმ დღის წესრიგს, რომელიც გარდა არსებული საკითხებისა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის“



ფლების წარმომადგენლების მხრიდან უკრაინის თემსთან დაკავშირებით. პარალელურად აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ უკრაინას და ერთსულოვნები არიან მოძმე ქვეყნის ერთიანობის იდეაში. რეალურად, რა სურს ხელისუფლებას? რა არის მათი მთავარი ამოცანა და სათქმელი ამ ორპირიანი განცხადებით?

- მთავარი ამოცანა არის ის, რომ რაც შეიძლება ჩუმად იყვნენ, რომ ე, მანდ რამე ისეთი სიტყვა არ წამოსც-

დეთ, რაც რუსეთს არ მოეწონება. აბსოლუტურად არაგონივრულად მოქმედებენ. გაცხადებენ ვიყავი, როდესაც ნავიკითხე ბატონი ლარიბაშვილის განცხადება, რომ გენერატორებს მივანვლით უკრაინასო, გუშინ ხელისუფლების უმაღლესი პირები ამბობდნენ, ჩვენ ვერ ვანვლით ამ გენერატორებს, იმიტომ რომ ასეთი გენერატორები არ გვაქვსო. ერთი დღის, 24 საათის ინტერვალი, შეიძლება ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ერთმანეთის გამომრიცხავი განცხადებები აკეთონ? თუ აპირებდნენ ამ გენერატორების მიწოდებას, ეპასუხათ უკრაინული მხარისთვის, ერთი თვის განმავლობაში პასუხი რომ არ აღირსეს, სანამ ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა სკანდალი არ ატეხა (ძალიან არ მომეწონა, სიმართლე გითხრათ, უკრაინის საელჩოში გაკეთებული განცხადება და ძალიან არასასიამოვნო საყურებელი იყო, იმიტომ რომ ეს არ არის დიპლომატიური ენა. ომშიც და მშვიდობაშიც დიპლომატებს თავისი ჩარჩოები აქვთ და ასეთი ტიპის განცხადებები არ კეთდება საელჩოში). მაგრამ, როგორც ჩანს, იმუშავა ამ განცხადებამ. ე. ი. „ოცნების“ ხელისუფლებას კიდევ ერთი მინუსი აქვს, - ჩვენს ხელისუფლებასთან დიპლომატიური ენით საუბარს აზრი არ აქვს. კიდევ ერთხელ დამტკიცდა ეს. ასეთი ელემენტარული რაღაცეები უმძიმეს ფონს და საშინელ მთაბეჭდილებას ტოვებს, რაც აისახება საქართველოს საბოლოო იმიჯზეც.

- უკრაინის საკითხის შესახებ ბოლო შეკითხვას დაგისვამთ, - როგორ შეაფასებთ პირადად თქვენ იმ განცხადებებს, რაც ბოლო დღეებში, რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპულ გმირ ქართველ მებრძოლებთან დაკავშირებით გვესმის ხელისუფლების მხრიდან?

- არანაირ ჩარჩოებში ეს განცხადებები არ ჯდება: არც ადამიანურ ჩარჩოებში, არც პოლიტიკურში! როგორ შეიძლება ასეთი განცხადებების გაკეთება?! ხელისუფლება ელემენტარულად ვერ ახერხებს იმას, რომ საჭირო სიტყვები გამოიძენოს, ისე ისაუბროს, რომ ნებისმიერი შეხედულების ადამიანი არ გამოიყ-

# დაუპირისპირდეს ხელისუფლებას

ვანოს წონასწორობიდან. აბსოლუტურად მოუღებელი ასეთი რიტორიკა, აღმაშფოთებელია და არც ეს გვიკვირს უკვე ამ ხელისუფლებისგან – ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებიდან და მოქმედებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას თუ არა, რომ დღეს რუსეთის გუბერნიად ვიქცეით?

– ჯერ მთლად არ ვცეულებართ, თუმცა თუ ასე გაგრძელდა, მალე ვიქცევით რუსეთის გუბერნიად. ჯერ კიდევ არსებობს იმის შანსი, რომ ქვეყანამ ელემენტარულად თავისი გზით იაროს და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, იმის შანსი არსებობს, აფხაზეთსაც და სამაჩაბლოსაც კიდევ რამე მიამატონ. ასე რომ, ძალიან რთულ ვითარებაში ვუყურებ ჩვენს ქვეყანას, თუ რამე არ შეიცვალა.

– ერთ-ერთი ინტერვიუს დროს აღნიშნეთ, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პროცესები სწორად რომ წარმართულიყო, დღეს საქართველო ევროპული ოჯახის წევრი იქნებოდაო, – რა იგულისხმებთ? რა ძირეული შეცდომები დაფუძვნილია, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა საქართველოსთვის?

– ავტორიტარული მმართველობა, სასამართლო სისტემის ფეხქვეშ გათელება, სასამართლოს კონტროლი, მედიის კონტროლი, ოპოზიციის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები. ხომ არ დაგვაინყდა, რომ დემოკრატია არ იყო წინა ხელისუფლების დროს? ის, რომ სააკაშვილს არასწორად ექცევიან და მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხის წინაშე აყენებენ, ეს, რა თქმა უნდა, აღმაშფოთებელია, მე ჩემი პოზიცია გამოვხატე. არც ის დამაინყნებდა, რომ სააკაშვილმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა პოზიტიური ქვეყნის რეფორმებისთვის, მაგრამ კატასტროფული შეცდომები და დანაშაულებები იქნა დაშვებული, რად უნდა ამას საუბარი? რომ არ ყოფილიყო ეს შეცდომები და განხორციელებულიყო „ვარდების რევოლუციის“ პრინციპები, ივანიშვილი ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა.

– ორჯერ ასრულებდით პრეზიდენტის მოვალეობას და ძალიან დადებითად ფასდება ის ნაბიჯები და განცხადებები, რაც მაშინ გააკეთეთ. ამ გამოცდილების ფონზე, იმ დროს რომ დღევანდელი მოცემულობა გვექონოდა, სააკაშვილის ფაქტორს ვგულისხმობ, თქვენი ნაბიჯი რა იქნებოდა, ნახევრადით დათმობაზე?

– ასე არ შეიძლება საკითხის დასა. მე რომ ვყოფილიყავი საქართველოს პრეზიდენტი, ძალიან ბევრი რამ პრინციპულად და რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა, ასევე არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებდი არც ერთი პატიმრის სიცოცხლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას, მით უმეტეს, ყოფილი პრეზიდენტი. რა ფორმით და როგორ, ეს სხვა თემაა და ნებისმიერ შემთხვევაში ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის, მით უმეტეს, პატიმრობაში მყოფი ადამიანების ჯანმრთელობისთვის და მით უმეტეს ყოფილი პრეზიდენტის სიცოცხლისთვის. ლაპარაკი იმაზე, რომ სააკაშვილი ჩვეულებრივი პატიმარია, ესაა დემაგოგია. ვერასოდეს ვერც ერთ ქვეყანაში, ვერც ერთი წყობილების დროს, ყოფილი პრეზიდენტი ვერ იქნება



**„ზურაბიშვილი საკუთარ თამაშს თამაშობს, ის მუშაობს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. გადახედეთ მისი ცხოვრების განრიგს: მან მიატოვა სააკაშვილთან ერთად ბრძოლა და წავიდა საერთაშორისო ორგანიზაციებში სამუშაოდ. მან თქვა, რომ აქ ბრძოლა ძნელია და არაფერი გამოვაო. მერე გაუჩნდა შანსი, რომ პოლიტიკაში დაბრუნებულიყო და ისევ მოვიდა, რა გვიკვირს? რას ვვლით? ადამიანმა რომ ის გადაულაპოს, პრეზიდენტობის სანაცვლოდ მისი სახელისა და გვარის თავზე სხვისი სურათი იყოს დახატული და ამ ფორმით გავიდეს პრეზიდენტად, რატომ ულოდებო, რომ ეს ადამიანი ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდება?“**

ჩვეულებრივი და რიგითი პატიმარი. ყოფილი პრეზიდენტობისა და ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ რომ ასეთი დამოკიდებულებები გვაქვს ხშირად, რომ არავინ აღარ არიან ისინი, ეს განაპირობებს იმას, რაც ახლა ხდება სააკაშვილის ირგვლივ. არავის უნდა დაავიწყდეს ის, რომ ხელისუფლებაში ყოფნა მუდმივი არ არის და არც არაბელისუფლებაში მყოფ ადამიანებს არ უნდა დაავიწყდეთ ის, რომ გასათვალისწინებელია ადამიანის წარსული, ნამოქმედარი, სტატუსი და ა. შ.

– მიხეილ სააკაშვილის თემა მსო-

ფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. გარდა ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ განცხადება განცხადებაზე კეთდება გავლენიანი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. საით გადაიხრება ამ ყველაფრის არგათვალისწინების ფონზე საქართველოს მომავალი?

– იმედი მინდა ვიქონიო, რომ ხელისუფლება გააცნობიერებს, რას ნიშნავს ყოფილი პრეზიდენტის სიცოცხლის საფრთხის წინაშე დაყენება. არ მინახავს სააკაშვილი და არ ვარ ექსპერტი, თუმცა იმის ნახევარიც კი,

რასაც საუბრობენ, მართალია და არ მაქვს საფუძველი, რომ არ დავიჯერო, იმიტომ რომ უამრავი ადამიანი, ვის სიტყვასაც ვენდობი, იგივეს ამბობს. დიახ, ადამიანი, რომელიც 2 მეტრი სიმაღლისაა და 73 კილოგრამია დარჩენილი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის საფრთხის წინაშე, თუ ამას ვერ გააცნობიერებს საქართველოს ხელისუფლება, რომ ეს იქნება ჩამოურეცხავი ლაქა, სააკაშვილი ციხეში რომ გარდაიცვალოს, რაღა უნდა ვთქვა? ეს ძალიან მძიმე რეალობაა ქვეყნისთვის.

– ზურაბიშვილის ფაქტორზე მიიღო გკითხოთ: თუკი პრეზიდენტი შეინყვალეს მიხეილ სააკაშვილს, ძალიან ბევრი რამ მოგვარდება, – გადარჩება სააკაშვილის სიცოცხლე და ასევე საფრთხის წინაშე არ დადგება საქართველოს ევროპული მომავალი. თუმცა ზურაბიშვილი ამას არ აკეთებს, მიუხედავად მისი მწვავე განცხადებებისა. რა თამაშს თამაშობს სალომე ზურაბიშვილი?

– ძალიან მარტივს, ზურაბიშვილი საკუთარ თამაშს თამაშობს, ის მუშაობს მხოლოდ საკუთარი ინტერ-



ესებიდან გამომდინარე. გადახედეთ მისი ცხოვრების განრიგს: მან მიატოვა სააკაშვილთან ერთად ბრძოლა და წავიდა საერთაშორისო ორგანიზაციებში სამუშაოდ. მან თქვა, რომ აქ ბრძოლა ძნელია და არაფერი გამოვაო. მერე გაუჩნდა შანსი, რომ პოლიტიკაში დაბრუნებულიყო და ისევ მოვიდა, რა გვიკვირს? რას ვვლით? ადამიანმა რომ ის გადაულაპოს, პრეზიდენტობის სანაცვლოდ მისი სახელისა და გვარის თავზე სხვისი სურათი იყოს დახატული და ამ ფორმით გავიდეს პრეზიდენტად, რატომ ულოდებო, რომ ეს ადამიანი ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდება? არანაირი განსაკუთრებული მოლოდინი არ გამაჩნია. თუ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ მისი მომავალი კარიერისთვის საჭიროა სააკაშვილის შეწყალება, შეინყალებს, თუ ჩათვლის, რომ მეორე მხარეს უფრო მნიშვნელოვანი ვალდებულებებია, არ შეინყალებს. ძალიან მარტივი საკითხია.

– არ შემიძლია არ გკითხოთ ენში მიმდინარე პროცესებზე. თქვენ ასე თუ ისე იცნობთ ამ პარტიას სტრუქტურულად და დღეს რამდენად დამაზიანებელია სრულიად ოპოზიციისთვის საკმაოდ მსხვილი ოპოზიციური პარტიები მიმდინარე კრიზისული პროცესები?

– რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, ნებისმიერ ოპოზიციურ პარტიაში რომ ასეთი პროცესებია, მით უმეტეს, როცა ეს ეხება მთავარ ოპოზიციურ პარტიას. ბუნებრივია, ჩემს თავს არ მიეცემ მის თქმის საშუალებას, რომ სხვა პარტიის შიგნით არსებულ ვითარებაზე კომენტარები ვაკეთო. სიფრთხილე პარტიის წევრებს ნამდვილად მართებთ. გაისმა რამდენიმე გვარი, რომელიც ძალიან მოუღებელია საზოგადოებისთვის. თუ ენმა სურს, რომ პოლიტიკაში რამე ფორმით დარჩეს, უნდა გაითვალისწინოს რჩევები. სიმართლე გითხრათ, ჩემს რჩევებს მაშინაც არ იზიარებდნენ, როცა ხელისუფლებაში ვიყავი. ძალიან ბევრ რჩევას იგნორირებდას უკეთებდნენ, თორემ დღეს არც „ანაკონაღური მოძრაობა“ იქნებოდა ამ დღეში, არც მიხეილ სააკაშვილი და არც – ქვეყანა. არ ვამბობ, რომ ყველაფერი უნდა დაეჯერებინათ, ყველაფერში ყოველთვის არ შეიძლება მართალი იყო, მაგრამ ძალიან ბევრ საკითხში, რაშიც ვაფრთხილებდი, წინ დაგვხვდა ყველას, არა მხოლოდ მე, არამედ მათაც, თქვენ და სრულიად ქვეყანასაც. ახლა კი მე მათთვის რჩევის მიცემის აზრს ვერ ვხედავ.

– იმის ფონზე, როცა ძალიან დიდი ოპოზიციური ერთობა გვექონდა, ხალხშიც იყო ნდობის ფაქტორი, დღეს თუ ისევ შედგება ამგვარი ოპოზიციური ერთობა, რამდენად ხედავთ საკუთარ თავს იმ პარტიების გვერდით, რომლებიც მაშინ იყვნენ გავრთიანებულინი?

– ერთობა ნიშნავს ერთობას! უნდა გავერთიანდეთ ყველა. ერთობა ყოველთვის იყო ჩემი იდეა. ასე რომ, მხოლოდ და მხოლოდ ხელს შევეწყობ იმას, რომ ასეთი ერთობა შედგეს. ძალიან ბევრი ვიმუშავე, უამრავი შეხვედრა გავმართე, რომ ერთობა შემდგარიყო. ჯერჯერობით ცალ-ცალკე იქაჩებიან ორ-ორად, სამ-სამად და ოთ-ოთხად და შედეგი ნულის ტოლია. ვერ დადგება შედეგი თუ არ იქნება ერთობა. ერთობას ჩემგან ყოველთვის ექნება მხარდაჭერა, მე ყოველთვის ხელს შევეწყობ ერთიანობას.

# „სააკაშვილს რამე რომ დაეპაროს, კიდეც“

**გიორგი საკარული**  
555 42 42 81

კვირის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი თემა კვლავ საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენებია.

რა გადანყვეტილებას მიიღებს მოსამართლე? – ეს კითხვა აწუხებს ყველას და რა მოლოდინებია ქართულ პოლიტიკურ სპექტრში? არის თუ არა მესამე პრეზიდენტი თავისივე გუნდის მიერ განწირული? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ქრონიკა“-ის კითხვებს პასუხობს „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე, პაატა დავითაია:

– ბატონო პაატა, როგორ შეაფასებთ მესამე პრეზიდენტთან დაკავშირებულ პროცესებს? როგორი მოლოდინი გაქვთ, როგორ განვითარდება სასამართლო პროცესები და რა გადანყვეტილებას მიიღებს მოსამართლე?

– მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ხელისუფლება ძალიან სახიფათო ზღვარზე გადის. მიხეილ სააკაშვილი არ არის ჩვეულებრივი პატიმარი და არ შეიძლება მისი გაიგივება ჩვეულებრივ პატიმართან, ეს რაც არ უნდა ძალიან უნდოდეს ვინმეს. ის ქვეყნის პრეზიდენტი იყო, შესაბამისად, არის განსაკუთრებული პატიმარი და ამიტომაც არსებობს ასეთი დიდი ინტერესი მის მიმართ. სამწუხაროდ, შექმნილია არაორდინალური სიტუაცია. სამართლებრივად შეიძლება დაშვებული იქნას სასჯელის გადავადება ან თუ ვიხელმძღვანელებთ იმ რეზოლუციებით და განცხადებებით, რაც მოდის ჩვენი პარტნიორი ქვეყნებიდან, შესაძლოა, განხორციელდეს ჰუმანური აქტი და მიხეილ სააკაშვილი სამკურნალოდ გადაიყვანონ, მაგრამ იმ განცხადებებიდან გამომდინარე, რასაც ვისმენთ საქართველოში, პირადად არ მაქვს დადებითი მოლოდინი და იმის იმედი, რომ სასამართლო მიიღებს გადანყვეტილებას მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ.

ამ სიტუაციაში ხელისუფლება ძალიან რისკავს მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლით. როგორც ექიმები ამბობენ, ნებისმიერ დროს შეიძლება დადგეს ცუდი, მეტიც, ლეტალური შედეგი. ლმერთმა ქნას, ასე არ მოხდეს, რადგან ეს იქნება დიდი დარტყმა ქვეყნის იმიჯზე, საზოგადოებაზე, საიდანაც გამოვლავა გაგვიჭირდება. წარმოუდგენელია იმის დაშვება, რომ ქვეყანამ მოკლას ორი პრეზიდენტი. ვთქვათ სიმართლე: ჩვენ ვერ ჩამოვირეცხვით ზვიად გამსახურდიას სიკვდილის სირცხვილი, მიხეილ სააკაშვილს რამე რომ დაემართოს, ორი პრეზიდენტი გვეყოლება მოკლული. ისტორიულად ძალიან ბევრი ადამიანის პასუხისმგებლობა დადგება. გავისხენოთ ის ხალხი, ვისაც პირდაპირი თუ ირიბი შეხება ჰქონდა ზვიად გამსახურდიას სიკვდილში. ისინი დღემდე მძიმე მდგომარეობაში არიან, ზოგს რისი მტკიცება უნევს, ზოგს – რისი კარგი იქნება, თუ ხელისუფლება გაცნობიერებს შექმნილი სიტუაციის სირთულეს, გაიზიარებს

ჩვენი პარტნიორების მოწოდებებს და მონახავს სამართლებრივ ფორმას მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში მკურნალობასთან დაკავშირებით.

– თქვენ იმ ადამიანთა შორის ხართ, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს ურჩევდნენ, რომ არ ჩამოსულიყო საქართველოში. როგორ ფიქრობთ, მისი ჩამოსვლა შეცდომა იყო?

– მე ვურჩიე მიხეილ სააკაშვილს, რომ არ ჩამოსულიყო საქართველოში. ორად ორი, მე და გრიგოლ ვაშაძე, ვიყავით ოცდაათ ადამიანს შორის, რომლებმაც მიხეილ სააკაშვილს ვუთხარით, რომ არ ჩამოსულიყო საქართველოში, დანარჩენი, ვინც დღეს მუშტებს იბრახუნებს გულზე, ითხოვდა მისგან და არწმუნებდა, რომ ის უნდა ჩამოსულიყო. ზუსტად ამ კონტექსტში ვუთხარი მიხეილ სააკაშვილს, – ზვიად გამსახურდიას უღალატეს, მე არ მინდა თქვენც მისი ბედი გაიზიაროთ.

არ ვიცი, არსებობდა თუ არა რამე სცენარი, რა დგას ამ ყველაფრის უკან, განირჩეს თუ არა ის თანამოაზრეებმა, ფაქტი ერთია – ის აიყვანეს პატიმრობაში, რაც იმ რეალობაში ასეც იქნებოდა. მისი ჩამოსვლა იყო დიდი შეცდომა. შეცდომა იყო მისი ჩამოსვლის ფორმაც. მიხეილ სააკაშვილი მსხვერპლი გახდა ილუზიების, რომელიც შეუქმნეს იმ თანამოაზრეებმა, ვისთანაც მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა. როდესაც ჩაკეტილი ხარ ერთ წრეში და გუუბნებიან, რომ შენი ჩამოსვლა გამოიწვევს სასწაულ რეაქციას, ეს ბუნებრივია, მასზე მოახდენდა გავლენას. ადამიანებს ხშირად არ უყვართ სიმართლის გაგონება, შესაბამისად, ჩემი და გრიგოლ ვაშაძის განსხვავებული მოსაზრებები, მასზე გავლენას არ იქონიებდა. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა მათგან განსხვავებით, ვინც თავს იკლავდა მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლაზე.

– შესაძლოა, ეს სცენარი წინასწარ ყოფილიყო დაგეგმილი? ბოლო პერიოდში გაჩნდა ვერსიები, რომ მას უღალატეს თანამოაზრეებმა, რითიც ის სასიკვდილოდ განირჩეს.

– ბევრ ალბათობას ვუშვებ, მაგრამ მტკიცებულებების გარეშე საუბარი არის ჭორაობა და ამას ვერ დავინყვებ. მაქვს ჩემი ვერსია, როგორ მზადდებოდა ეს ყველაფერი, ვის ინტერესში შედიოდა მიხეილ სააკაშვილის ჩამოყვანა და მისი ამ მდგომარეობაში ჩაგდება, მაგრამ ახლა ამაზე არ ვისაუბრებ. აქ არის პერსონალური მომენტებიც მისი ახლო გარემოცვიდან, მაგრამ ამაზე საუბრისგანაც თავს შევიკავებ.

– მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გაშვებას უკვე ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებიც აქტიურად ითხოვენ. როგორ

## პაატა დავითაია:

### „ხელისუფლების დაპარსების ერთადერთი გზა არის ოპოზიციის გაპარტიანება“



ფიქრობთ, გაითვალისწინებს ხელისუფლება ამ გზავნილებს დასავლეთიდან?

– ვფიქრობ, ხელისუფლებას მოუწევს ამ ნაბიჯის გადადგმა. უფრო და უფრო მეტ რეზოლუციაში ჩნდება მიხეილ სააკაშვილის გვარ-სახელი. რომ იყოს ნება,

შესაძლებელია რომელიმე ჩვენს პარტნიორ ქვეყანასთან ერთად, სადაც სამედიცინო მომსახურება ძალიან მაღალ დონეზეა, სამართალდამცველ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე (რაც არსებობს ოფიციალურად), მიხეილ სააკაშვილი გადა-

იყვანონ სამკურნალოდ, გარკვეული უწყებების დაცვისა თუ პასუხისმგებლობის ქვეშ. არსებობს ასეთი მექანიზმები. რა უნდა ქნას მიხეილ სააკაშვილმა უცხოეთიდან, რა უნდა გააკეთოს, რომ აქ რამე გააფუჭოს? ის იყო უცხოეთში, მაგრამ ვერაფერი შეძლო და ახლა ამ მდგომარეობაში მყოფი შეიძლება, საფრთხე შეუქმნას ხელისუფლებას? ახლა მთავარია, ის იყოს ცოცხალი, არ მოკვდეს ციხეში, რაც აუცილებლად იქნება ქვეყნის სირცხვილი.

– ცოტა ხნის წინ სტრასბურგში, ევროსაბჭოში გქონდათ შეხვედრები. როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩვენს პარტნიორებს იმ პროცესებზე, რაც ხდება ქართულ პოლიტიკაში?

– პარტნიორები ძალიან არიან შენუხებულნი იმ პროცესებით, რაც ჩვენთან ხდება, პირველ რიგში იმით, თუ როგორ არ უსმენს საქართველო იმ რეკომენდაციებს, რაც გვაქვს მიღებული ევროკავშირიდან. ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველო რეგიონში ყოველთვის იყო ავანგარდში რეფორმების მხრივ, ასეთივე ავანგარდში ვიყავით 2012 წელს, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა არჩევნების გზით. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი პარტნიორებისთვის. მათთვის ძალიან გულდასანყვეტია ჩვენი ჩამორჩენა და უკუხვლა ამ პროცესში, მით უმეტეს, ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება ევროკავშირის 12-პუნქტიან რეკომენდაციებთან დაკავშირებით. დღეს ჩვენთან საუბარი და მსჯელობა მიდის არა ძირითად საკითხებზე, არამედ მეორე, მეათეხარისხოვან საკითხებზე და პროცესი რეალურად დაძრული არ არის. ამას გარდა, ჩვენთან ცდილობენ, ევროპელები შეიყვანონ შეცდომაში, თუმცა დღეს უკვე ბრიუსელსა და სტრასბურგში არავინ აღარ ტყუვდება, გადასარევად ესმით ყველაფერი.

– ამის დასტურია ვენეციის კომისიისა და ეუთო-ოდორის საკმაოდ მწვავე შეფასებები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს



# ერთი პრეზიდენტი გვეყოლება მოკლული

**შეშფოთება. რატომ არ იზიარებს ხელისუფლება ევროპელი პარტნიორების რეკომენდაციებს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით?**

– სამწუხაროდ, ხელისუფლებას არანაირი სურვილი არ აქვს, რამე შეცვალოს. შეაჩერა ევროპელებთან შეთანხმებული ცვლილებები საპარლამენტო არჩევნებში 2%-იან ბარიერზე, რაც იძლევა საშუალებას, მივიღოთ მრავალპარტიული პარლამენტი. მაგალითად, დიდი ზენოლის შემდეგ ვენეციის კომისიაში გაიგზავნა დეოლიგარქიზაციის კანონი. რა აზრი ჰქონდა გაგზავნას, როდესაც ყველამ იცის, რომ მესამე მოსმენით არ ხდება ცვლილებების განხორციელება და მხოლოდ წერტილში შეიძლება შეიცვალოს?! ეს ხომ ვენეციის კომისიაში კარგად ესმით. ეს არის მიდგომა, რომ ზედმეტად არ გააგონონ ევროპას საქართველოს შესახებ რამე, თუმცა საბოლოოდ გამოდის, რომ ევროპას საქართველოს გარდა არაფერი ესმის და რაც ესმის, ისიც ძალიან ცუდ კონტექსტში.

ევროპელი პარტნიორები ისე კარგად არიან გარკვეული ჩვენს შიდა პოლიტიკურ კულუარებში, ყველაფერს ხედეიან. ისინი მხარს უჭერენ ქართველ ხალხს, ჩვენს ევროპულ მისწრაფებებს, ამიტომაც არ გვიშვებენ ხელს საბოლოოდ. დასავლეთს საქართველოში დიდი რესურსი აქვს ჩადებული, ჩვენ მათთვის ვართ მთავარი პარტნიორები და შესაბამისად, არ კარგავენ ძალისხმევას. მათ ესმით, რომ ჩვენთვის ხელის კვრა ნიშნავს ჩვენს დაბრუნებას რუსულ ორბიტაზე. მათ გაცნობიერებული აქვთ ის შეცდომა, რაც დაუშვეს, როდესაც ჩვენ არ მოგვცეს კანდიდატის სტატუსი. მოსწონთ მათ თუ არა ხელისუფლება, ქართველი ხალხი ამ სტატუსს იმსახურებს. კანდიდატის სტატუსი იქნებოდა მეტი ბერკეტი პარტნიორებისთვის, მოეხდინათ ზენოლა ხელისუფლებაზე.

ამ ფონზე ჩვენ რას ვხედავთ ყოველდღე? მმართველი გუნდის წარმომადგენლები შეურაცხყოფას აყენებენ ევროპარლამენტის წევრებს, ხისტი და გაუაზრებელი განცხადებები ამ ურთიერთობებს ძალიან აფუჭებს, აზიანებს ქვეყნის იმიჯს. მთავარი პარტნიორი ქვეყნის ელჩს ლამის აქციებს უტარებენ და ალბათ უფლება რომ მისცენ, დააკავებდნენ კიდეც, რაზე შეიძლება საუბარი? ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობები უკვე ისე დაიძაბა, არ ვიცი, ეს ყველაფერი რით დასრულდება. ფაქტია, რომ ძალიან ცუდი სიგნალები მოდის. შედეგი იქნება ის, რომ ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ კენ გამოხედვის სურვილიც კი არ ექნებათ. ეს, რა თქმა უნდა, აძლიერებს და მომავალშიც გააძლიერებს რუსულ გავლენებს. იმ ინფორმაციებით, რაც მაქვს პირადად ევროპელი პარტნიორებისგან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2023 წლის ბოლოს ჩვენ შესაძლოა, მივიღოთ კანდიდატის სტატუსი, ოღონდ არა იმის გამო, რომ ხელისუფლება ამას იმსახურებს, არამედ



**„იმ ინფორმაციებით, რაც მაქვს პირადად ევროპელი პარტნიორებისგან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2023 წლის ბოლოს ჩვენ შესაძლოა, მივიღოთ კანდიდატის სტატუსი, ოღონდ არა იმის გამო, რომ ხელისუფლება ამას იმსახურებს, არამედ ხალხის მისწრაფებების გამო და ყველაზე მნიშვნელოვანი - თუ ჩვენ ამ სტატუსს არ მივიღებთ, არსებობს საფრთხე, აღმოვჩნდეთ რუსულ ორბიტაზე“**

ხალხის მისწრაფებების გამო და ყველაზე მნიშვნელოვანი - თუ ჩვენ ამ სტატუსს არ მივიღებთ, არსებობს საფრთხე, აღმოვჩნდეთ რუსულ ორბიტაზე.

**– ამ სიტუაციაში, როდესაც პოლიტიკური კრიზისი სახეზეა, რამდენად არის შესაძლებელი, ხელისუფლებამ დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, რომლის მოგებაც მას ახლა არ უნდა გაუჭირდეს?**

– იმის მიუხედავად, რომ ამ მდგომარეობაში მყოფი ოპოზიცია ხელისუფლებას კონკურენციას ვერ გაუწევს, ჩემი აზრით, ხელისუფლება არ დანიშნავს ვადამდელ არჩევნებს. ვადამდელი არჩევნების დედლაინი შეიძლება იყო 2023 წლის გაზაფხული, თუ არ დანიშნა ამ პერიოდისთვის, ვადამდელი

არ იქნება. თუმცა დღეს რომ ხელისუფლებამ ვადამდელი არჩევნები დანიშნოს, შეიძლება 150 დეპუტატიდან 130 გაიყვანოს. თუ ოპოზიციამ არ შეცვალა მიდგომა და ასე გააგრძელა, 2024 წლის არჩევნებში ხელისუფლებამ შეიძლება კონსტიტუციური უმრავლესობაც მოიპოვოს. ხელისუფლების დამარცხების ერთადერთი გზაა ოპოზიციის გაერთიანება, ოღონდ უნდა მოხდეს არა ბუტაფორიული გაერთიანება, არამედ ნამდვილი პოლიტიკური გაერთიანება ამბიციებისა და ფინანსებისთვის ბრძოლების გარეშე. შედეგის მიღწევა მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი. საზოგადოებამ უნდა ნახოს ოპოზიციის გაერთიანება და საერთო მიზნისკენ

გულწრფელი სვლა, სხვა შემთხვევაში ყველა ბრძოლა ხელისუფლებასთან იქნება წაგებული. იქნებოდა ჯგუფები, რომლებიც ყოველდღე იტყვიან, რომ მეორე დღეს ხელისუფლებას ასრულებენ, თუმცა ასეთი ჯგუფების მიმართ ამომრჩევლებს უკვე დაკარგული აქვს ნდობა. იქნებოდა ჯგუფები, რომლებიც იტყვიან, რომ გაერთიანება აუცილებელია, მაგრამ ყველაფერს გააკეთებენ, რომ გაერთიანება არ შედგეს და კვლავ გაგვარძლებთ სვლას ერთსა და იმავე წრეზე. დიდი ხანია, პოლიტიკაში ვარ და ასეთი სცენარი ბევრი მიხანავს.

**– „ნაციონალური მოძრაობა“ ახალი თავმჯდომარის არჩევნებისთვის ემზადება. როგორ ფიქრობთ, რით დასრულდება ეს ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიისთვის და რა შედეგებს მოუტანს იმ რყევებით, რაც ხდება „ნაციონალურ მოძრაობაში“?**

– ამ შემთხვევაში „ნაციონალურ მოძრაობას“ ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ნაცვლად ყველაზე დიდი გაურკვევლობის პარტიად მოვისხენიებდი. ძალიან რთულია შეაფასო, რა პროცესი მიდის ამ პარტიაში. ეს არის მათი შიდა საქმე, მაგრამ ცხადია, რომ ის რაც ხდება ამ პარტიაში, ეს არის ადამიანების ბრძოლა არა ხელისუფლების ცვლილებისთვის არამედ ფინანსური წყაროებისთვის. ამ ბრძოლიდან „გამარჯვებული“ ის გამოვა, ვინც მოიპოვებს ფინანსურ წყაროებს და ამას, ალბათ, შემდეგ „ოპოზიციურ გამარჯვებად“ ჩათვლის.

**– ბოლო დღეებში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ძალიან მძიმე განცხადებები გაკეთდა უკრაინაში მებრძოლ ქართველებთან დაკავშირებით. თქვენ ხართ აფხაზეთიდან, იბრძოდით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის. რას ნიშნავს ასეთი შეფასებები ჯარისკაცებისთვის, რომ-**

**ლებიც ოკუპანტის წინააღმდეგ საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისთვისაც იბრძვიან უკრაინაში?**

– ყოველდღე მთელია ის შეურაცხველი განცხადებები, რაც მოვისმინეთ ამ დღეებში იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უკრაინაში იბრძვიან და ქართული სახელმწიფოსთვის წირავენ სიცოცხლეს. ისინი იბრძოდნენ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, დღეს იბრძვიან უკრაინაში და ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებენ, სადაც არ უნდა გახდეს საჭირო. ეს ადამიანები ყველაზე ძვირფასს, საკუთარ სიცოცხლეს სწირავენ სამშობლოსთვის და მათი ქილიკი იმათგან, ვისაც ხელში იარაღი არასდროს სჭერია და არც ომში უბრძოლია, ძალიან დიდი სირცხვილია. ვურჩევდი ხელისუფლებას, თავი შეიკავოს ასეთი გამონათქვამებისგან, ამ „ბროლიდან“ ისინი გამარჯვებულები ვერ გამოვლენ. შეუძლებელია მოუგო მეომარ, პატრიოტ ადამიანს, რომელიც თავს სწირავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, იდეისა და თავისუფლებისთვის. დღეს ეს ბრძოლა მიდის უკრაინაში, მაგრამ ეს საერთო მტერთან თავგანწირული და გამირული ბრძოლაა.

**– ბოლო ორი თვეა, აქტიური მოძრაობები დაიწყო აფხაზეთში – ბელარუსის პრეზიდენტის სოხუმში ვიზიტის შემდეგ აფხაზეთის თავმჯდომარე, შემდეგ თათრეთის პრეზიდენტი. რუსეთმა აქტიურად დაიწყო საუბარი აფხაზეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. რა მიზნები აქვს რუსეთს ამ ეტაპზე აფხაზეთში?**

– უკრაინის ომის ფონზე, რუსეთს, რომელიც ამ ომს ყველა მიმართულებით აგებს, შიდა მოხარებისთვის სჭირდება სახელმწიფოებრიობის იმიტაცია, ამიტომაც გააქტიურდნენ აფხაზეთის მიმართულებით. აქ რუსეთს ბევრი ინტერესი აქვს, განსაკუთრებით აქტიურობს ბიჭვინთის ხელში ჩასაგდებად. დღეს რუსებისთვის დაკეტილია თითქმის მთელი მსოფლიო, მათ რჩებათ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები. რუსეთის დუმის თავმჯდომარის შემდეგ, რომელიც სანქცირებულია და არსად აღარ ჩავსვლება, აფხაზეთში ჩავიდა რუსეთის ფედერაციის სუბიექტი, თათრეთის პრეზიდენტი. ისინი ესაუბრებიან აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერებს ეკონომიკურ პროექტებზე, სოციალურ პაკეტებზე, რომელთა უკან რეალურად დგას რუსეთის მიზანი – აფხაზეთის ანექსია. სოხუმში ვიზიტებით ეს ადამიანები არღვევენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და „კანონს ოკუპაციის შესახებ“. საქართველოს ხელისუფლებამ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ ფაქტებთან დაკავშირებით უნდა მოახდინოს მკაცრი რეაგირება და შეფასება. რუსეთის ფედერაციის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე საქმის კურსში უნდა ჩავაყენოთ ჩვენი პარტნიორები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

**„უკრაინის ომის ფონზე, რუსეთს, რომელიც ამ ომს ყველა მიმართულებით აგებს, შიდა მოხმარებისთვის სჭირდება სახელმწიფოებრიობის იმიტაცია, ამიტომაც გააქტიურდნენ აფხაზეთის მიმართულებით. აქ რუსეთს ბევრი ინტერესი აქვს, განსაკუთრებით აქტიურობს ბიჭვინთის ხელში ჩასაგდებად. დღეს რუსებისთვის დაკეტილია თითქმის მთელი მსოფლიო, მათ რჩებათ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები“**



# რა დრო დასჭირდება მიხეილ სააკაშვილის

**გიგა გულგვიძე**  
592 41 85 85

საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ ახლობელი ადამიანებისა და უფლებადამცველების თქმით, რომლებსაც მისი მონახულების საშუალება ყველაზე ხშირად შეუძლიათ, ის დამოუკიდებლად რამდენიმე ნაბიჯსაც ვერ დგამს და, ფაქტობრივად, სრულიად უკონტაქტოა.

სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმაზე მძიმეა, ვიდრე ამას ვარაუდობდნენ თუნდაც ის ადამიანები, რომლებიც მისდამი ნდობით ან კეთილგანწყობით არ გამოირჩევიან. აღნიშნულს ადასტურებს სამედიცინო დასკვნებიც, რომლებიც უცხოელმა და ქართველმა ექსპერტებმა მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის კვლევების შემდგომ დადეს.

სწორედ აღნიშნული კვლევების საფუძველზე გახდა შესაძლებელი, რომ სააკაშვილის დაცვის მხარე მთლიანად საქალაქო სასამართლოში შეიტანა შუამდგომლობა სააკაშვილისთვის სასჯელის გადაადგილების ან მისი სულაც განთავისუფლების თაობაზე. პროცესი 2022 წლის 9 დეკემბერს იყო ჩანიშნული, თუმცა სხდომის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ცნობილი გახდა, რომ სასამართლო ხუთი დღით, ანუ 14 დეკემბრისთვის გადაიდო.

პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა მიხეილ სააკაშვილის ხელნაწერი, სადაც ის მიმართავდა სასამართლოს, რომ სურდა პროცესს დასრულებოდა და ჩვენებაც მიეცა. თუ წერილს დახედავთ, შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად მიხვდებით, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მართლაც მძიმეა, უფრო კონკრეტულად კი წერილში, ფაქტობრივად, შეუძლებელია, დიდხინიანი დაკვირვების გარეშე გაარჩიო, რას წერს ავტორი, რადგანაც კალიგრაფია ძალზე არაუფიქსირებულია და არამკაფიოა.

„მე ცუდად ვარ, მაგრამ ხვალ მსურს იმ სასამართლოზე დასწრება, რომელიც ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წყვეტს. მადლობა ყველას, მიყვარხართ“.

მიხეილ სააკაშვილის პროცესზე დასწრება ვერ მოხერხდა. კლინიკა „ვივამედს“ ამჯერადაც წარადგინა ცნობა იმის შესახებ, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მისი ტრანსპორტირების საშუალებას არ იძლეოდა. აღნიშნულის შემდგომ დღის წესრიგში დადგა პროცესში მისი დისტანციურად მონაწილეობა, თუმცა აღმოჩნდა, რომ პრობლემები ამ ნაწილშიც არსებობდა, რის გამოც პროცესის აუცილებლად გადაადგილება გახდა საჭირო. თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამოსასწორებლად, როგორც აღმოჩნდა, საჭიროა, არც მეტი არც ნაკლები, ხუთი სამუშაო დღე.

სააკაშვილის პროცესის გადადება და ისევ გაურკვეველობამ უკმაყოფილება გამოიწვია მის მომხრეებში, რომლებიც 9 დეკემბერს სასამართლოს ეზოში იყვნენ შეკრებილები ან თავიანთ სახლებში ელოდებოდნენ გადაწყვეტილებას, რომელიც, მათი შეფასებით, რეალურად ბიძინა ივანიშვილს უნდა მიეღო და არა – მოსამართლე გიორგი არევაძეს.

**რა ბედი ელის სააკაშვილს? გადაარჩენს თუ არა მას ქართული მართლმსაჯულება და გადაიყვანს საზღვარგარეთ სამკურნალოდ? – ამ თემების შესახებ და იურიდიული საკითხების დეტალურად და სიღრმისეულად გასარკვევად „ქრონიკა“**

მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ უფლებადამცველს, ადვოკატ ვალერი გულგვიძეს ესაუბრა:

– ბატონო ვალერი, მიხეილ სააკაშვილის 9 დეკემბრის სასამართლო პროცესი რომ შეგვიფასოსო, პირველ რიგში, რამდენად სწორი იყო მისი გადადება და შესაძლებელი იყო თუ არა, რომ გადაწყვეტილება მის გადაყვანასთან დაკავშირებით პირველივე სხდომაზე ყოფილიყო მიღებული?

– პროცესის გადადება ახალი შემთხვევა არ არის. ვინც არ აკვირდება სასამართლო პროცესებს, მისთვის შეიძლება მოულოდნელი იყოს ეს ყველაფერი. იმდენად, რამდენადაც ძალიან ტირაჟირებული საქმეა და დიდა ინტერესი როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, ბუნებრივია, როდესაც გაცხადდა გადადება, ეს მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასთვის, თუმცა ის, რომ პროცესი გადაიდებოდა, ვიცოდით.

– რატომ? რა გიქმნიათ ამ მოლოდინს?

– ორი მიზეზი აქვს ამ ყველაფერს: 1. ტექნიკურ-ორგანიზაციული; 2. ახალი მტკიცებულების წარდგენა.

– უფრო რომ განვუმარტოთ მკითხველს, ვინაიდან ამ პროცესის გადადებამ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საზოგადოებაში.

– როდესაც სასამართლოს წარედგინება ახალი მტკიცებულება, მხარეს ეძლევა დრო, გაეცნოს ახალ მტკიცებულებას და ჩამოაყალიბოს თავისი პოზიციები. ამიტომაც საქმეს, რომელიც შეტანილი იყო ერთი კვირის წინ და მოიცავდა 16 ტომს, ახლა კიდევ დაემატა ახალი 4 ტომი დამატებითი მტკიცებულების სახით. ბუნებრივია, არც მოსამართლე იცნობს ამ ოთხ ტომს, არც პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლები და ყველა შემთხვევაში, ასეთ დროს, კანონი ითხოვს, რომ მიეცეს გონივრული ვადა მხარეს, რათა გაეცნოს ახალ მტკიცებულებას და ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია. პროცესის გადადების მეორე პრობლემა იყო ტექნიკურ-ორგანიზაციული მიზეზი, ვინაიდან სააკაშვილს სურდა მონაწილეობა მიეღო და დასწრებოდა ამ პროცესს, მაგრამ სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციით, მისი გადაადგილება ინვევდა გარკვეულ რისკებს, ამიტომაც მას უარს ეთქვა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა დისტანციური მონაწილეობით სასამართლოზე დასწრება და მონაწილეობის ასე მიღება.

– სწორედ ამ ნაწილში ჩნდებოდა კითხვები. რამდენად რთულია მსგავსი ჩართულობა დღეს სასამართლო პროცესში, რომ ხუთდღიანი მოსამზადებელი ვადა სჭირდება მას?

– კლინიკა „ვივამედს“ მართლაც არ გააჩნია მსგავსი სისტემა, ეს აქვს მხოლოდ და მხოლოდ პენიტენციურ დაწესებულებებს. პანდემიის დროს, როდესაც ვერ გამოჰყავდათ პატიმრები, მაშინ მიიღეს სპეციალური სასამართლებრივი აქტები იმასთან

## ვალერი გულგვიძე:

# „კანონი ითხოვს, მხარეს მიუხედავად გონივრული ვადა, გაეცნოს ახალ მტკიცებულებას“



დაკავშირებით, რომ სასამართლოს ტექნიკური მოწყობილობა და პენიტენციური დაწესებულების ტექნიკური მოწყობილობა სისტემაში შესულიყო ერთმანეთთან და პატიმრის დაკითხვა და პროცესში მონაწილეობა ამის დახმარებით განხორციელებულიყო. ამიტომ სხვა ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში ამის დამონტაჟების შესაძლებლობა მაშინაც არ იდგა დღის წესრიგში და არც ახლა დგას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოლოდინი იყო, რომ მიხეილ სააკაშვილი უნდა დასწრებოდა სხდომას, ტექნიკური ჩართვის საკითხი არ იდგა დღის წესრიგში და როცა უკვე გაირკვა, რომ ვერ ცხადდებოდა პროცესზე, დადგა საკითხი, რომ მომხდარიყო ჩართვა, მაგრამ გაუშვით თავი სისტემის გამო ჩართვა გადაიდო. ახლა მომზადდება ამის პირობები და 14 რიცხვისთვის, როდესაც მომდევნო სხდომა ჩანიშნულია, მაშინ ალბათ მიეცემა შესაძლებლობა, რომ ჩაერთოს. ეს ისეთი სტადიაა, რომ ის თავის მოსაზრებას იმ ნაწილში ჯერ ვერ დააფიქსირებს, რაც საბოლოო სიტყვაში უნდა ითქვას.

საბოლოო სიტყვა ეს არის ეტაპი სასამართლო განხილვისას, როდესაც ამონაწერი მტკიცებულებების განხილვა-კვლევა, მათ შორის, მონაწილეები და ექსპერტები დაკითხული არიან და ბოლოს სიტყვა ეძლევათ თავად პროცესის მონაწილე პირებს, რომ ჩამოაყალიბონ თავიანთი მოთხოვნები იმ მტკიცებულებების მიმართებით და არგუმენტებით, რაც გამოყენებულ იქნა ამ მოთხოვნის საფუძველად. ასე რომ, ჯერ შესავალ პოზიციას თუ დააფიქსირებს სააკაშვილი, თორემ წინ გველის საკითხის სასამართლო წესით განხილვა, რაც, რა თქმა უნდა, ერთ სასამართლო სხდომაში შეუძლებელია განხორციელდეს.

– დაახლოებით რამდენი პროცესი იქნება საჭირო?

– გააჩნია, რა ინტენსივობით იმუშავებს სასამართლო: იმუშავებს თუ არა ლამის საათებში, იმუშავებს თუ არა შაბათ-კვირას. 30 მონაწილე არის დასაკითხი. რაც პრაქტიკა მასსოვს, ჯერ სამ მონაწილეს მეტი არასოდეს დაგვიკითხავს, რადგან ერთი მონაწილე დაკითხვას სჭირდება საათ-ნახევარი

– ორი საათი. მთელი სამუშაო დღე მიაქვს მონაწილეს დაკითხვას და აქ რამე ახალ ველოსიპედს ვერაფერს გამოიგონებს. თუ მონაწილე უნდა დაიკითხოს, უნდა დაიკითხოს დეტალურად. მონაწილე იკითხება, რომ მისი მონაწილეობა, თუნდაც ერთი ფურცელი ჰქონდეს დაწერილი, ის დაადასტუროს. ამ ავთენტიკურობის შემდგომ არის კითხვები, რადგან ვერც ექსპერტი და ვერც სპეციალისტი ყველაფერს ვერ წერს კვლევით, წერს იმას, რაც მიაჩნია აუცილებლად. მაგრამ არის დანარჩენი საკითხი, რომლებიც კითხვებს აწენს. მე რომ მოვუსმინე სამთავრობო არხებზე განსხვავებული აზრის მქონე ექსპერტებს, მათ პირიქით, ისეთი არგუმენტები დადეს, რომელიც ამ დასკვნაში არ წერია, მაგრამ არის მათი ვარაუდი და ასეთი ვარაუდები, რა თქმა უნდა, ექნება პენიტენციურ სამსახურს, ასევე ექნება დამატებითი კითხვები, რაც წაიღებს დროს და ეს დრო არ იმუშავებს მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ, ამიტომაც ეს არის გასავლელი გზა.

– არ არის რამე სახის გამონაკლისი შემთხვევა იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც ახლა გვაქვს?

– კი, არის გამონაკლისი გზა, რომელმაც შეიძლება დრო შეზღუდოს, ეს არის თავად სასამართლოს პოზიცია. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ რამდენიმე მონაწილე მიიჩნევს შემდეგ საკმარისი მტკიცებულებები არის იმისთვის, რომ სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, ის სთხოვს მხარეებს, რომ თუ მათ არ აქვთ რამე განსაკუთრებული მოთხოვნა, გამოთქვამს მზადყოფნას, ამ მტკიცებულებების საფუძველზე შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. ასეთ შემთხვევაში აღარ გაგრძელდება პროცესი, მოხსენება სხვა მტკიცებულებები, ასე ვთქვათ, განხილვის საკითხი, სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად და გამოიტანს გადაწყვეტილებას, მაგრამ ისე, რომ არაფერი განიხილოს, მოუსმინოს მარტო სააკაშვილს და გადაწყვეტილება მიიღოს, – ეს არის ილუზია. ჩვენ ვუხსნით ყველას: სამართლებრივად უნდა განხორციელდეს ყველა პოზიცია, სხვა შემთხვევაში გაუქმდება თუნდაც ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, ზემდგო-

„როდესაც სასამართლოს წარედგინება ახალი მტკიცებულება, მხარეს ეძლევა დრო, გაეცნოს ახალ მტკიცებულებას და ჩამოაყალიბოს თავისი პოზიციები. ამიტომაც საქმეს, რომელიც შეტანილი იყო ერთი კვირის წინ და მოიცავდა 16 ტომს, ახლა კიდევ დაემატა ახალი 4 ტომი დამატებითი მტკიცებულებების სახით“



# სასამართლო პროცესის დასრულება?

მი ინსტანცია გააუქმებს დარღვევების გამო და ეს რომ არ მოხდეს, უნდა განხორციელდეს სრულყოფილი ქმედებები და უნდა ჩატარდეს ყველა სახის პროცედურა.

**- თუ გავითვალისწინებთ იმ დი-  
აგნოზებს, რომლებიც ამ დროის-  
თვის გვაქვს ხელთ და სასამართლო  
ამას არ მიუდგება პოლიტიკური  
კუთხით, როგორი იქნება გადან-  
ყვეტილება ასეთ შემთხვევაში?  
როგორია მოლოდინი?**

- სასამართლომ უნდა დაასაბუ-  
თოს ის, რასაც არ იზიარებს. სასა-  
მართლო არ იზიარებს, რომ მიხეილ  
საკაშვილს აღმოაჩნდა დაუზუსტებ-  
ელი დემენცია, რომელიც არის 2013  
წლის ნორმატიული აქტის მეხუთე  
მუხლის შემადგენელი ნაწილი, ანუ ის  
ამბობს, რომ თუ ავადმყოფს ასეთი  
სახის და კატეგორიის ავადმყოფობა  
დაუდასტურდება, მაშინ ის უნდა გა-  
მოიყენონ იმის საფუძველად, რომ გან-  
თავისუფლდეს საერთოდ სასჯელის-  
გან. მოკლედ, თუ სასამართლოს ექ-  
ნება პოზიცია, რომ კი წერია  
დასკვნაში დემენცია, მაგრამ ის არ  
ეთანხმება ამ ყველაფერს, მაშინ მან  
უნდა დაასაბუთოს, რატომ არ ეთ-  
ანხმება. უნდა მოიტანოს სხვა კვლე-  
ვის შედეგები, უნდა თქვას, რომ ამ  
კვლევის მიხედვით არ დასტურდება,  
სხვა კვლევის მიხედვით დასტურდებ-  
ა, ამიტომ ამ შემთხვევაში ვიზიარებ  
მეორე არგუმენტაციას, რომლითაც  
არ დასტურდება, მაგრამ თუ არ არის  
ეს მეორე არგუმენტაცია, ისე სასა-  
მართლო თავის შეხედულებით ამ  
გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, - ის  
არ არის სპეციალისტი, მას არ აქვს  
იმდენი ცოდნა, რომ ექსპერტიზის  
გარეშე იქნას მიღებული გადაწყ-  
ვეტილება. ასეთ შემთხვევაში ეს  
იქნება ზერელე, ფორმალური გადა-  
წყვეტილება, რომელიც, რა თქმა



**„სასამართლომ უნდა დაასაბუთოს ის, რასაც არ იზიარებს. სასამართლო არ  
იზიარებს, რომ მიხეილ სააკაშვილს აღმოაჩნდა დაუზუსტებელი დემენცია,  
რომელიც არის 2013 წლის ნორმატიული აქტის მეხუთე მუხლის შემადგენელი  
ნაწილი, ანუ ის ამბობს, რომ თუ ავადმყოფს ასეთი სახის და კატეგორიის  
ავადმყოფობა დაუდასტურდება, მაშინ ის უნდა გამოიყენონ იმის საფუძველად,  
რომ განთავისუფლდეს საერთოდ სასჯელისგან. მოკლედ, თუ სასამართლოს  
ექნება პოზიცია, რომ კი წერია დასკვნაში დემენცია, მაგრამ ის არ ეთანხმება ამ  
ყველაფერს, მაშინ მან უნდა დაასაბუთოს, რატომ არ ეთანხმება“**

უნდა, საზოგადოების მხრიდან  
გაიკიცხება და ზემდგომ ინსტანცი-  
ებში გასაჩივრდება, ყველგან სამარცხ-  
ვინო დოკუმენტად შეფასდება. არ  
მგონია, რომელიმე მოსამართლე  
ამაზე წავიდეს.

**- ბოლოს მინდა გკითხოთ  
სალომე ზურაბიშვილის ხელთ არ-  
სებულ შეწყალების ბერკეტზე. თუ  
ის შეინყალებს სააკაშვილს მისჯილ  
საქმეებზე, რა ხდება შემდგომ? ეს  
რა შედეგადას გვაძლევს მაშინ,**

**როდესაც არსებობს კიდევ სხვა, მიმ-  
დინარე საქმეები, რომლებზედაც  
გადაწყვეტილება ჯერ არ არის  
გამოტანილი? მკითხველისთვის  
უფრო დეტალურად აღსაქმელი რომ  
იყოს, იქნებ, განვიმარტოთ, თუ რი-  
თულად რასთან გვაქვს საქმე შეწყ-  
ალების შემთხვევაში, - გაუშვებენ  
საკაშვილს, თუ ის მაინც დარჩება  
პატიმრობაში?**

- მანდაც არის გამოსავალი: თე-  
თონ სისხლის სამართლის საპროცე-  
სო კოდექსი ამბობს, რომ თუ ადამი-  
ანს აქვს პატიმრობა შეფარდებული  
სხვა საქმეზე და ახალი ბრალდებით  
შემოდის პროკურატურა სასამარ-  
თლო და ითხოვს კიდევ განმეორებით  
პატიმრობას, სასამარ-  
თლოს არ აქვს უფლება,  
განმეორებითი პატიმ-  
რობის გადანყვეტ-

ლება გამოიტანოს, ვინაიდან სააკაშ-  
ვილი გასამართლებული არის ოთხ  
საქმეზე და პატიმარია იმ ორ საქმეზე,  
რომელიც ახლა მიმდინარეობს სასა-  
მართლოში, ეთქვას უარი პატიმრობის  
გამოყენებაზე, ვინაიდან უკვე გამოყ-  
ენებულია პატიმრობის ღონისძიება.  
ეს ნიშნავს იმას, რომ თუ სალომე  
ზურაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს  
ოთხ საქმეზე შეინყალებს, ხოლო იმ  
საქმეებზე, რომლებიც ახლა მიმ-  
დინარეობს, პატიმრობა არ არის  
გამოყენებული, ის თავისუფალია და  
შეუძლია, სადაც უნდა, იქ წა-  
ვიდეს.


**- ანუ, რეალურად, სააკაშვილის  
ბედი სალომე ზურაბიშვილის ხელ-  
შია?**

- დიას და თქვა, რომ გამოვიყენე-  
ბო. მას არ უთქვამს, არ გამოვიყენე-  
ბო, მხოლოდ აქვს ოპტიმისტური გან-  
წყობა, რომ სასამართლო პროცესი  
დადებითად გადანყდება და, სხვათა  
შორის, მეც მაქვს ეგ განწყობა.

**- მიხეილ სააკაშვილს არ აძლე-  
ვენ საშუალებას, რომ ის გამოჩნდეს  
სასამართლო პროცესზე. ამ შემთხ-  
ვევაში საუბარი იყო ტექნიკური ნაწ-  
ილზე, მაგრამ თუკი არ ჩართავენ  
შემდგომ სასამართლო პროცესზე,  
რეალურად გამოიკვეთება ის, რომ  
ხელისუფლებას არ სურს მისი  
გამოჩენა, მიუხედავად იმისა, რომ  
საკაშვილს აქვს ამის სურვილი. ამ  
შემთხვევას რამე იურიდიული შე-  
ფასება როგორ შეიძლება მიეცეს?**

- იურიდიულად ვერანაირ ბრალს  
ვერ დავდებთ ვერავის, მიუხედავად  
იმისა, რომ ვიცით, ეს ასეა. სამართ-  
ლებრივი პასუხი აქვს სასამართლოს,  
რომ ექიმების რეკომენდაციით მისი  
გადაადგილება არ შეიძლება, ანუ  
რახან გადაადგილება და ტრანს-  
პორტირება არ შეიძლება, უსამართ-  
ლო აქ არაფერია, რადგან მისი ჯან-  
მრთელობის უზრუნველსაყოფად ვა-  
კეთებ ამას და თქვენ რომ ამბობთ,  
გდაიყვანეთ სასამართლოზე, მე ამ  
რისკებს არ გავწევ და პოზიცია სა-  
მართლებრივად გამართლებული და  
არგუმენტირებულია. მაგრამ ის, რომ  
მე, მიხეილ სააკაშვილს, მინდა დაე-  
სწრო სასამართლოს, მიუხედავად  
ექიმების რეკომენდაციისა, სამედი-  
ცინო დაწესებულებას აქვს უფლება,  
რომ ამ მოტივით გააჩეროს პროცეს-  
ები.

**„თუ სალომე ზურაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს  
ოთხ საქმეზე შეიწყალებს, ხოლო იმ საქმეებზე,  
რომლებიც ახლა მიმდინარეობს, პატიმრობა არ  
არის გამოყენებული, ის თავისუფალია და  
შეუძლია, სადაც უნდა, იქ წავიდეს“**



# „სააკაშვილის ორბანიზმს“

**თამარ სანაძე**  
591 04 44 63

საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება, სასამართლო პროცესები კი ისევ წინაურდება. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები მესამე პრეზიდენტთან მიმართებით კვლავ ირონიულია. მათი თქმით, მიხეილ სააკაშვილს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუარესდეს. ამ განცხადებების კვალდაკვალ ქვეყნდება დასკვნები, საიდანაც დასტურდება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობა.

საერთაშორისო პარტნიორები, ევროპარლამენტარები, მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე ხელისუფლებას აკისრებენ პასუხისმგებლობას და მოუწოდებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, რომ მისცენ მიხეილ სააკაშვილს საზღვარგარეთ შესაბამისი პროფილისა და გამოცდილების კლინიკაში მკურნალობის შესაძლებლობა.

ამასთან, რამდენიმე დღის წინ ფრანგმა ევროპარლამენტარმა, რაფაელ გლუქსმანმა, განაცხადა, რომ „დღეს სააკაშვილის სიცოცხლე ძაფზე კიდია და ეს ძაფი ევროპაზე გადის“. მან აღნიშნა, რომ ევროპარლამენტი მომავალ კვირაში აპირებს მოხილვად იმისთვის, რათა საქართველოს მესამე პრეზიდენტი ევროპულ საავადმყოფოში გადაიყვანოს.

„ვაპირებთ მოხილვებას სტრასბურგის პარლამენტში მთელი მომავალი კვირის განმავლობაში, რათა სააკაშვილი ევროპულ საავადმყოფოში გადაიყვანონ. ჩვენმა ქვეყნებმა არ უნდა დაუშვან ხვალ პრეზიდენტის სიწუმში სიკვდილი, ვის მოსმენაზეც უარი ჯოჯუტად თქვენს.“

დღეს ამერიკელი მეცნიერების ცნობით, რომლებმაც მისი თმა და ფრჩხილები შეამოწმეს, მიმა მონამულა დარიშხანითა და ვერცხლისწყლით. დღეს მისი სიცოცხლე ძაფზე კიდია და ეს ძაფი ევროპაზე გადის. ჩვენს ლიდერებს აქვთ მისი გადარჩენის შესაძლებლობები. საქართველოს მთავრობა, რომელიც თუნდაც გარეგნულად ჩანს, რომ ინარჩუნებს განონასწორებულ პოზიციას (პათეთიკურია) ბრიუსელსა და მოსკოვს შორის, ვერ გაუძლებს ძლიერ და კოორდინებულ ევროპულ წნეხს“, – განაცხადა ევროპარლამენტარმა რაფაელ გლუქსმანმა.

მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე, მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მესამე პრეზიდენტის ფაქტორზე საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხში, ასევე ოპოზიციის გეგმებზე სააკაშვილთან დაკავშირებით „ქრონიკა+“ ვრცლად ესაუბრა „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრ სერგო ჩხილაძეს:

– ბატონო სერგო, ყველა ძალიან კარგად ვხედავთ მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ არსებულ ვითარებას. მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია. თუ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებებს გავითვალისწინებთ, როგორია

თქვენი მოლოდინი, წავლენ ისინი რამე სახის დათმობაზე სააკაშვილთან მიმართებით? მისცემენ მას უცხოეთში მკურნალობის საშუალებას?

– ამ რუსული ოლიგარქის პირობებში, ძალიან რთულია პროგნოზის გაკეთება. რა თქმა უნდა, იმის ილუზია არ მაქვს, რომ ივანიშვილში რაღაც ადამიანური სიბრალული, სამართლიანობის გრძობა ან სინდისის ქენჯნა გაიღვიძებს, ამის მოლოდინი ნამდვილად არ მაქვს. არც იმის მოლოდინი მაქვს, რომ იმ მრავალტომიან ათასობით გვერდიდან დასკვნებს გაითვალისწინებს. დარწმუნებული ვარ, რომ მოსამართლე იქნება ძალიან დიდი წნეხის ქვეშ. ერთადერთი, რისი იმედიც მაქვს, ის არის, რომ მოსამართლემ შეიძლება გამოიჩინოს კეთილსინდისიერება და დაფიქრდეს, როგორ შევა ისტორიაში: როგორც პრორუსი ოლიგარქის გამთვრებული და მისი ნება-სურვილის შემსრულებელი, თუ სამართლიანი და ისტორიული გადაწყვეტილების მიმდებარე. მხოლოდ მოსამართლის ადამიანური ღირსებისა და კეთილსინდისიერების იმედე შეიძლება ვიყოთ, თორემ სისტემა რომ არ გაუშვებს და სასამართლოზე წნეხი იქნება, დარწმუნებული ვარ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოკლე ვადაში მოხდეს ეს. ვიცნობ იმ დასკვნებს, ექსპერტულსაც, ადგილობრივსაც, უცხოურსაც, მათ შორის, კომუნიკაცია მაქვს ექიმებთან, ასევე სხვადასხვა ადამიანთან, რომლებიც შედიან და მესამე პრეზიდენტს ნახულობენ. ძალიან მძიმე მდგომარეობაა და ჯანმრთელობის რესურსი ორგანიზმს აღარ დარჩა. დრო არ გვაქვს, რომ ეს პროცესები უსასრულოდ გადაიდოს და უფალოდ გაიწელოს. ამიტომ პროცესები უახლოეს კვირებში უნდა დასრულდეს და უნდა დამთავრდეს სამართლიანი და ადამიანის სიცოცხლის შემანარჩუნებელი გადაწყვეტილებით.

– საერთაშორისო პარტნიორების განცხადებებს თუ გადავხედავთ, ისინი ძალიან მწვავედ აფასებენ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ პროცესებს. თითოეული მათგანი ხაზს უსვამს, რომ ეს ვითარება აზიანებს საქართველოს ევროპულ გზას. რამდენად უნდა გვექონდეს მათი მხარდაჭერის იმედი ისე და შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველოსთან მიმართებით გადაიხედოს გარკვეული სახის მიდგომა?

– აბსოლუტურად გეთანხმებით, – გარდა იმისა, რომ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე

## სერგო ჩხილაძე:

**„ზურაბიშვილს მოვუწოდებ, ნუ აყოვნებს, შეიწყალოს სააკაშვილი და გადადგას ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის სასარგებლო ნაბიჯი“**



საუბარი და მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი მესამე პრეზიდენტია, პოლიტიკურად, პრეზიდენტულად და ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხითაც ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ყველა განცხადება, ყველა ანგარიში, რომელიც ჩვენი დასავლელი პარტნიორების, ევროკავშირის მხრიდან უღერდება, ყველა პუნქტი ეხება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის უზრუნველყოფას, მის გადაყვანას სამკურნალო დაწესებულებებში საზღვარგარეთ, სადაც ამის კომპეტენციაა. თქვენ იცით „აღდეს“ ბოლო რეზოლუცია, რომლის ინიციატორებიც ვიცავით ჩვენ, „სტრატეგია აღმაშენებელი“. იქაც ცალკე პუნქტადაა გამოყოფილი მიხეილ სააკაშვილის საკითხი და კიდევ ერთხელ გავამახვილებ ყურადღებას, რომ ზუსტად „აღდეს“ ამ რეზოლუციაში არის მონიშნული საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომ მან დაუყოვნებლივ შეიწყალოს მიხეილ

საკაშვილი და ნიკა გვარამია, რადგან სასამართლოზე უფრო სწრაფი გზა ეს შეწყალება იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, პრეზიდენტმა გააცნობიეროს ეს პასუხისმგებლობა და დაგვანახოს, – ის არის ივანიშვილის მიერ მართული თოჯინა თუ მას მართლა აქვს კიდევ უნარი, რომ დამოუკიდებლად მიიღოს ქვეყნის სასარგებლო გადაწყვეტილება. არა მარტო ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ, არამედ ევროპული ინტეგრაციის გზაზე თავისი წვლილი შეიტანოს. ყველა რეზოლუციაში, მათ შორის, ამ 12 რეკომენდაციაში ნახსენებია პოლიტიკური მართლმსაჯულების დასრულება. ცალკე არის ნახსენები სააკაშვილისა და გვარამიას საქმეები. სხვა პოლიტიკურულ საქმეებზეც იყო საუბარი: ეს არის მედიის პოლიტიკა და ა. შ., მაგრამ ძირითადი საქმეები, რომელზედაც

ყველა შეჯერებულია და კონსენსუსია, არის სააკაშვილისა და გვარამიას საქმეები. ამიტომ ქალბატონ პრეზიდენტს მოვუწოდებ, რომ ნუ აყოვნებს, ნუ იქნება მართული ოლიგარქის მიერ და გადადგას ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის სასარგებლო ნაბიჯი.

– ვისაუბრეთ სალომე ზურაბიშვილის როლზე ამ საკითხში, – პრეზიდენტი ევროპულ გამოცემებთან აცხადებს, რომ არ სურს, ქვეყნის მესამე პრეზიდენტი ციხეში გარდაიცვალოს, თუმცა ევროპული ინტეგრაციის გზაზე მისგან როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება მიიყვანოს სალომე ზურაბიშვილი იმ კონდიციამდე, რომ ხელი მოაწეროს მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას?

– ვფიქრობ, რომ ეს კონდიცია ნესით უნდა დამდგარიყო, რადგან არსებობს ყველანაირი დასკვნა, მტკიცებულება, რომ ეს ნაბიჯი გადასადგმელია. მეორე, არსებობს ევროკავშირის ყველა სტრუქტურის, ევროპარლამენტარების არაერთგზის რეზოლუცია ამ საკითხთან დაკავშირებით და არსებობს ევროკავშირის ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლებისა და სტრუქტურების მონიშვნები ამისთან შესახებ, ამიტომ სხვა არ ვიცი, რა მტკიცებულება, რა მოცემულობა უნდა იყოს, რომ ქალბატონი პრეზიდენტი დარწმუნდეს ამ ნაბიჯის გადადგამაში. ყველა ეს ბერკეტი, მტკიცებულება არსებობს, ამიტომ ქალბატონ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს აქვს ორი გზა: დარჩეს ბიძინა ივანიშვილის მართულ თოჯინად, რომელიც 2018 წელს გააპრეზიდენტა, მაგრამ ქალბატონ პრეზიდენტს აქვს შანსი, რომ გაანეიტრლოს ის მწარე გამოცდილება და საქართველოს ისტორიაში შევიდეს როგორც დადებითი პიროვნება. თუ არადა, ის გააგრძელებს იმ თამაშში მონაწილეობას, რომელშიც ჩართო ივანიშვილმა 2018 წელს და ისტორიაში შევა პრეზიდენტი, რომელიც ხალხის ნების საწინააღმდეგოდ დანიშნეს პრეზიდენტად არჩევნების დროს და რომელმაც ბოლომდე ითამაშა ივანიშვილისთვის სასარგებლო თოჯინის როლი. აი, ეს ორი არჩევანი აქვს. ის რაღაც ხანდახან, თვეში ორჯერ გაკეთებული სწორი განცხადება არაფერში წერია, – მს

**„ზუსტად „აღდეს“ ამ რეზოლუციაში არის მოწოდება საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომ მან დაუყოვნებლივ შეიწყალოს მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია, რადგან სასამართლოზე უფრო სწრაფი გზა ეს შეწყალება იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, პრეზიდენტმა გააცნობიეროს ეს პასუხისმგებლობა და დაგვანახოს, – ის არის ივანიშვილის მიერ მართული თოჯინა თუ მას მართლა აქვს კიდევ უნარი, რომ დამოუკიდებლად მიიღოს ქვეყნის სასარგებლო გადაწყვეტილება“**





# ჩვესურსი აღარ დარჩა

გავს განცხადებებს მედიასაშუალებებით ექსპერტები დღეში 100-ჯერ აკეთებენ. ამიტომ ეს მისთვის პლუსი ვერ იქნება.

– გუშინ გავრცელდა მიხეილ სააკაშვილის აგვისტოში გადაღებული ფოტო. ახლა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულია. როგორ შეაფასებთ მის ჯანმრთელობის მდგომარეობას? თქვენ აღნიშნეთ, რომ გაცხადით მის დიაგნოზებს. რა შედეგამდე შეიძლება მივიდეთ თუ არაფერი შეიცვალა და არანაირი ნაბიჯი არ გადაიდგა მიხეილ სააკაშვილთან მიმართებით?

– პირველ რიგში, ფოტოს რაც შეეხება, ეს არის სამ-ნახევარი თვის წინათ გადაღებული ფოტო, ინფორმაციულად ეს არაფერს იძლევა, იმიტომ რომ დღეს აბსოლუტურად სხვა მდგომარეობაა. ახლა ეს ფოტო ისეთივე ინფორმაციულია, როგორც 6 თვის წინანდელი ან 7 თვის წინანდელი ფოტო დაიდოს. ეს ვერანაირ მტკიცებულებად ვერ გამოდგება, გარდა იმისა, რომ სამი თვის წინაც კი ჩანს, რომ საკმაოდ დაკლებულია წონაში. აქ გავამახვილებ ყურადღებას, რომ ხშირად სხვადასხვა მედიასაშუალებებით, ტელევიზიებით, სხვადასხვა თოქშოუს ეთერებიდან აქცენტი კეთდება მხოლოდ წონის კლებაზე. დიას, 40 კილოგრამის დაკლება ძალიან ჩქარი ტემპით საგანგაშოა, მაგრამ წონის კლების გარდა არის კიდევ უფრო მძიმე დიაგნოზები, სიმპტომები და სინდრომები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს აღენიშნება და ამიტომ აპელირება მხოლოდ წონის კლებაზე არ იქნება ადეკვატური, აქ არის საუბარი ძალიან მძიმე ნეიროპათიაზე, შინაგანი ორგანოების დაზიანებასა და ა. შ., რომელიც უფრო მნიშვნელოვანი და სახიფათოა, ვიდრე თუნდაც წონის კლება. წონის კლება შეიძლება ამ ძირითადი დაავადებების გამო იყოს და არა პირიქით. ამიტომ ზუსტად ამ წონის კლებაზე აპელირება „ქართული ოცნების“ წევრებს საშუალებას აძლევს, რომ საზოგადოებას დაავიწყონ 20-მდე სხვადასხვა დაავადება, რომელიც ოფიციალურ დასკვნაშია და აპელირება გააკეთონ მხოლოდ წონის კლებაზე.

ჩემი თხოვნა იქნება, მხოლოდ წონის კლებაზე აპელირება, ასევე ამის პირველ ადგილზე დაყენება არ იქნება სამედიცინო თვალსაზრისით სრული სურათის მოძვენი.

რაც შეეხება დასკვნებს, ისინი არის ძალიან შემაფოთლებელი, საგანგაშო. მესამე პრეზიდენტი არის ჩვეულებრივი ადამიანი, მის ორგანიზმს აქვს რესურსი და ეს რესურსი, სამწუხაროდ, აღარ რჩება. ამიტომ ვამბობ, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სწრაფად მიღება ძალიან მნიშვნელოვანია. თვეები ასე ვერ გაგრძელდება, რადგან პროცესი შეიძლება დასრულდეს ლეტალური შედეგით ან ისეთი გამოუსწორებელი შეცდომით, რომ ადამიანი დარჩება მუდმივად ქმედუნარო, რაც არ უნდა მკურნალობა და რეაბილიტაცია უტარ-



**„ვინც ჯერ კიდევ დარწმუნებული არ არის, მათაც უნდა შეიგნონ, რომ საქმე გვაქვს პრორუსულ, კოლაბორაციონისტ რეჟიმთან „ქართული ოცნების“ სახით. თუ ამ რეალობას მივიღებთ, ყველაფერი თავის ადგილზე ჯდება, - თუ რატომ აკეთებენ ისინი ამა თუ იმ განცხადებებს, რატომ არიან ანტიუკრაინულად, ანტიევროპულად განწყობილები, რატომ არიან ანტიამერიკულად განწყობილები, რატომ ლანძღავენ პარტნიორებს, ელჩებს, რატომ არ დგამენ არც ერთ ნაბიჯს 12 პუნქტის შესასრულებლად, რატომ კლავენ მიხეილ სააკაშვილს, რატომ აპატიმრებენ ნიკა გვარამიას და ა. შ. ასე რომ, პრორუსული, კრემლის დანიშნული კოლაბორაციული რეჟიმი, „ქართული ოცნება“, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავისტუმროთ პოლიტიკურ სანაგვეზე, პოლიტიკურ არქივში უნდა ჩავწეროთ მათი სახელი“**

ონ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ამ მხრივ ყველაზე ეფექტიანი იქნება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ შეწყალების გამოყენება.

**ტიების შეხვედრა. მათ შორის გახლდათ „სტრატეგია აღმაშენებელი“. თუ გაქვთ რამე სახის ინფორმაცია სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, რასაც მოსახლეობა ელოდება რეალურად, რა ნაბიჯებს დგამს ოპოზიცია?**  
– ოპოზიციის სამოქმედო გეგ-

მები, რაც „სტრატეგია აღმაშენებელს“, „დროსა“ და „გირჩი – მეტი თავისუფლებას“ გვაქვს დღის წესრიგში, ეს არის დიდი ერთობის, კონსოლიდირებული ძალის შექმნა. ამაზე ვმუშაობთ. ეს ყველაფერი პროცესშია. რაც შეეხება კონკრეტულად ამ საკითხს, კონსულტაცია გვქონდა „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობასთან“, რადგან მიგვაჩნია, რომ არსებობს საკითხები, რომლის გარშემოც შესაძლებელია ერთიანობა, ერთიანი ძალის ჩვენება ხელისუფლებისთვის. ერთ-ერთი ასეთი საკითხია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის უფლების შენარჩუნება. შევთანხმდით, რომ ვიქნებით ყოველდღიურ კოორდინაციაში, მუდმივად დავაკვირდებით მოვლენებს. გარკვეული სურათი, ჩანაფიქრი არსებობს. რა თქმა უნდა, წინასწარ არ გავაუღერებ, უბრალოდ ვიტყვი, რომ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმ სცენარზე, როგორ ნავა სასამართლო პროცესები. თუ დავინახეთ, რომ

სასამართლო კიდევ გადაიდო ერთი კვირით, ორი კვირით, თუ დავინახეთ, რომ ნელავე პროცესებს, ახალი წლის გადაგორება უნდათ, იანვარში ერთი პროცესი ჩანიშნონ, მერე ისევ გადაწიონ, თუ ამ სტრატეგიით ნავა ხელისუფლება და სასამართლო, ესეც იქნება გარკვეულწილად განაჩენის გამოტანა „ქართული ოცნების“ მხრიდან და ამიტომ შესაბამისად ვიქმედებთ. ზოგადად, სააკაშვილის საკითხის გარეშეც ეს ქვეყანა არის გამოსახსნელი, გადასარჩენი და აქ გვმართებს დიდი ერთიანობა. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. უნდა გამოვიხსნათ ეს ქვეყანა პრო-

**„ფოტოს რაც შეეხება, ეს არის სამ-ნახევარი თვის წინათ გადაღებული ფოტო, ინფორმაციულად ეს არაფერს იძლევა, იმიტომ რომ დღეს აბსოლუტურად სხვა მდგომარეობაა. ახლა ეს ფოტო ისეთივე ინფორმაციულია, როგორც 6 თვის წინანდელი ან 7 თვის წინანდელი ფოტო დაიდოს. ეს ვერანაირ მტკიცებულებად ვერ გამოდგება, გარდა იმისა, რომ სამი თვის წინაც კი ჩანს, რომ საკმაოდ დაკლებულია წონაში“**



რუსული რეჟიმისგან და პრორუსი ოლიგარქისგან.

– დაბოლოს, შევებით „ქართული ოცნების“ ბოლო დროის რიტორიკას უკრაინასთან მიმართებით, ასევე ღია და მკაფიო დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ. ყველამ მოვისმინეთ, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა თავი აარიდეს კითხვას, არის თუ არა რუსეთი მტერი. ასევე „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც უარს აცხადებდა უკრაინის დასახმარებლად გენერატორების გაგზავნაზე და ამბობდა, რომ ქვეყანაში არ გვაქვს მათი მარაგო, მოულოდნელად თქვა, რომ გენერატორებს შეიძენენ და გაგზავნიან. რას ნიშნავს მათი ეს ქმედებები, როგორ შეაფასებთ ჩვენი ხელისუფლების ამ არათანმიმდევრულ ნაბიჯებს?

– ეს არის თვითლუსტრირება იმისა, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს მართავს პრორუსული ხელისუფლება, კრემლის დესანტი საქართველოში, ეს არის „ქართული ოცნება“. შესაბამისად, ისინი წლების განმავლობაში ცდილობდნენ, რომ ორსახოვნება შეენარჩუნებინათ. ექვები ყოველთვის იყო, მაგრამ ამ წლის 24 თებერვლის შემდეგ მათ აირჩიეს რუსეთის მხარე. იმ ხნის შემდეგ ისინი აკეთებენ პრორუსულ, ანტიქართულ განცხადებებს, ამიტომ ვინც ვერ კიდევ დარწმუნებული არ არის, მათაც უნდა შეიგნონ, რომ საქმე გვაქვს პრორუსულ, კოლაბორაციონისტ რეჟიმთან „ქართული ოცნების“ სახით. თუ ამ რეალობას მივიღებთ, ყველაფერი თავის ადგილზე ჯდება, - თუ რატომ აკეთებენ ისინი ამა თუ იმ განცხადებებს, რატომ არიან ანტიუკრაინულად, ანტიევროპულად განწყობილები, რატომ არიან ანტიამერიკულად განწყობილები, რატომ ლანძღავენ პარტნიორებს, ელჩებს, რატომ არ დგამენ არც ერთ ნაბიჯს 12 პუნქტის შესასრულებლად, რატომ კლავენ მიხეილ სააკაშვილს, რატომ აპატიმრებენ ნიკა გვარამიას და ა. შ. ასე რომ, პრორუსული, კრემლის დანიშნული კოლაბორაციული რეჟიმი, „ქართული ოცნება“, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავისტუმროთ პოლიტიკურ სანაგვეზე, პოლიტიკურ არქივში უნდა ჩავწეროთ მათი სახელი. მეტსაც გეტყვით: დარწმუნებული ვარ, რომ ჩუმი, არასაჯაროდ და თავიანთი კრემლის კურატორების საშუალებით რუსეთში, კრემლში, ΦCB-ს ლიდერებთან და პუტინთან დაახლოებულ პირებთან ერთად სამხიშრის წერილებსაც კი გზავნიან, როცა რუსეთის რომელიმე ბატალიონი ან დივიზია ნადგურდება ხოლმე. ისინი პირდაპირ ხაზზე იმყოფებიან კრემლთან, რასაც ადასტურებს მათი ქმედებები, რელიგიის ფაილები, იგივე ლუს-ის ყოფილი უფროსის მოადგილე სოსო გოგაშვილის მასალები და ასევე ამათ ადასტურებს ის შედეგები, რომელსაც „ქართული ოცნება“ დებს, ჩანაწერები, რომელსაც ვისმენთ ბიძინა ივანიშვილთან და კრემლთან ახლოს მყოფ პირებთან დაკავშირებით.



# შეიძლება უკრაინელების მხარდახმარება

## მშვიდობის ქალაქი?

– ესეც რუსული ნარატივით არის განპირობებული და ამით ანიშნებენ რუსეთს, რომ საქართველო არ აპირებს ომში ჩართვას და მეორე ფრონტის გახსნას. რეალურად კი რუსეთს არ აქვს ახლა მეორე ფრონტის გახსნის თავი და, ზოგადად, ეს მეორე ფრონტის თემა არის პროპაგანდისტული მანქანის შემოგდებელი. რაც შეეხება სლოვანს, მარკეტინგულად კარგი გათვალა, თუმცა ასეთი მშვიდობა, როცა ღირსება წართმეული გაქვს, ჩემთვის მოუღებელია, თითქოს არაფერი მომხდარა და რაღაც ალტერნატიულ რეალობას გვთავაზობენ.

– რას ეტყვი იმ მებრძოლებს, რომლებიც დღემდე რჩებიან უკრაინაში და რას ეტყვი მათ, ვინ ახლა აპირებს, საქართველოს ინტერესები დაიცვას და ჩაერთოს ომში?

– უკრაინაში ვინც იბრძვის, მათ



არაფერი რჩევა არ სჭირდებათ ჩემგან, მათ იციან, რატომ იბრძვიან და რისთვის შეიძლება მოკვდნენ. იქ სიკვდილი ისეთი გაუფასურებელია,

ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაგეცეს ჭურვი, მოგხვდეს ტყვია. იქ სიკვდილი მიღებული მოვლენაა, ამას უნდა შეგეუოს ადამიანი. იმისთვის

არავინ იბრძვის, რომ გადარჩეს. იმ მებრძოლებს, რომელთაც სურთ წასვლა ომში, ერთ რაღაცას ვურჩევდი: 21-ე საუკუნის ომი განსხვავებულია

90-იანი წლების ომისგან, ძალიან თანამედროვე ომია. თუ 90-იან წლებში ავტომატის სროლითა და კაკანით საქმე კეთდებოდა, იქ უკვე სხვა მიდგომები და მაღალი პროფესიონალიზმი გვჭირდება. ომში არ უნდა წავიდნენ გამოუცდელი და კარგად უნდა იცოდნენ, რომ ისეთ ადგილებში შეიძლება მოუწიოთ ბრძოლა, მტერი საერთოდ ვერ დაინახონ. იმის იმედად ნუ წავა ხალხი, რომ ჩასვლისთანავე კონტაქტურ ბრძოლებში მოხვდებიან. საერთოდ, 21-ე საუკუნის ომს ასეთი სტატისტიკა აქვს: დაახლოებით 3% მოდის მხოლოდ კონტაქტურზე და ძირითადად არის საარტილერიო დეულები და საავიაციო დაზომვები. ამას უნდა გაუძღონ და თვეში შეიძლება ერთხელ მოუწიოთ კონტაქტური ბრძოლები. ძალიან კარგი ფიზიკური მომზადება უნდა ჰქონდეთ. არანაირად არ ვურჩევდი გამოუცდელ ადამიანს ომში წასვლას.

# გადაურჩება თუ არა ამ ზამთარს ანდრონიკაშვილების სასახლე გუჯარანში?

**მაცა მოსიაშვილი**  
599 97 25 55

ცნობილი ქართველი კინორეჟისორების, ელდარ და გიორგი შენგელაიების დედა და ნიკუშა შენგელაიას ბებია, ქართული კინოს მშვენიერება, ნატო ვაჩნაძე, თითქმის 80 წლის წინათ მშობლიურ კახეთზე დიდი სიყვარულით

საუბრობდა:

„კახეთი მიყვარს, როგორც ამ ქვეყანაზე ყველაზე უძვირფასესი – მშობელი დედა ან დიდი შვილი. ეს სიყვარული უსაზღვროა, ამოუწურავი. ეს არის მშობლიური მიწის, მისი ბუნებისა და ადამიანებისადმი სპეტაკი, კეთილშობილური სიყვარული.

საკმარისია, ოდნავ ფიქრებს თავი მივცე, სადაც არ უნდა ვიყო, ისე თვალწინ მიდგას და თითქმის შევიგრძნობ სოფლის ფერებს, გაზაფხულის გრილ ჰაერს, ზაფხულის დღეების სურნელოვან მცხუნვარებას. მხატვარი რომ ვყოფილიყავი, დავხატავდი ჩემი სახლის აივნის წინ გადაშლილ ლამაზ სანახაობას.

მაგონდება შემოდგომის კახეთიც, როცა დიდი მუშაობაა გაჩაღებული. განსაკუთრებით გვიხაროდა ხოლმე ბავშვებს შორ მანძილზე რთვულში გამგზავრება. ალიონზე გოდრიანი ურმები გველოდებოდა.

შეგვროდებოდით და მთელი გზა სიცილისკისითა და სიმღერით გაველიდით. ვენახში მუშაობის დანებებამდე უფროსებთან ერთად ნიორს, ყველს, ლობოსს და შოთ პურს შევექცეოდით. მუშაობაში დღე შეუმჩნეველად გადიოდა.

ყველა სიმღერიდან, რაც კახეთში გამიგონია, განსაკუთრებით ერთი მიყვარდა, რომელიც ხატობაში მოვისმინე. ეს იყო „გრძელი კახური მრავალჟამიერი“. ამის შემდეგ ქართული ხალხური სიმღერებიდან ეს სიმღერა აღვიძებს ჩემში განსაკუთრებით ძლიერ გრძობას.

თითქოს მთელი ალაზნის ველი მღეროდა და ეს სიმღერა შორს, მთების გადაღმა, კავკასიონის ქედს ესმოდა. აი, როგორია ხალხური სიმღერა, ასეთი სიმღერის ძალა უკვდავი და უძლეველია...”

1981 წლის 28 ივნისს მე-20 საუკუნის კინოვარსკვლავის სახელობის მუზეუმი კახეთში, გურჯაანში, მის საგვარეულო სახლში გაიხსნა. ცოტამ თუ იცის დღეს საქართველოში, რომ ნატო ვაჩნაძე კახელი სათავადაზნაურო გვარის წარმომადგენელი, ნატო ანდრონიკაშვილი იყო. მსახიობმა გვარი ვაჩნაძე პირველი ქორწინებიდან მიიღო რომელიც მოგვიანებით არ გამოიცვალა, ხოლო სახელი ნატო ნატოთი თავად იოსებ ჯუღაშვილმა, სტალინმა შეუცვალა, მოტივად კი უთხრა, რომ ნატო უფრო ქართულია და მე ნატოთი მოგმართავო.

ანდრონიკაშვილების სასახლარი, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი, უკვე მრავალი წელია,

რეაბილიტაციას მოითხოვს, ის მუნიციპალურ ბალანსზეა და მუზეუმსაც ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს.

სამწუხაროდ, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი დღითი დღე ნადგურდება. შეძლებს თუ არა ანდრონიკაშვილების მამულის სასახლე ამ ზამთართან გამკლავებას და სახის შენარჩუნებას, უცნობია. სავალალო მდგომარეობა ხის აივანიც, რომელიც უკვე ლპობას განიცდის. ამორტიზებულია ხის აივნის კიბეც, დაზიანებულია და განსაახლებელია აივნის რიკულებიც.

იმის გამო, რომ მუზეუმი წლების განმავლობაში არ თბება, ექსპონატები ნადგურდება და მათი სრული დაზიანების საფრთხე დღითი დღე იზრდება.

გათბობის გარეშე დარჩენილი შენობის კედლები შემოდგომიდან გაზაფხულამდე სველია და ფუჭდება, ექსპონატებს კი ნესტი უფრო მარტივად აფუჭებს და ანადგურებს. დამთავალიერებელთა რიცხვმაც ბოლო პერიოდში საგრძნობლად იკლო.

ფაქტი კი იმდენად მწვავეა რომ სახლ-მუზეუმი სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს, რადგან მთავარი შენობის ხის კიბე და აივანი მეორე წელია სპეციალური, გამაფრთხილებელი ლენით არის შემოსაზღვრული, ეს დამთავალიერებელს ანიშნებს, რომ კიბეზე ასვლა აკრძალულია.

დაზიანებული და საფრთხის შემცველია კიბის კრამიტიც გადახურვაც.

მუზეუმში მსახიობისა და მისი ოჯახის ნევრთა მემორიალური ნივთები გარდა, დაცული და გამოფენილია კახეთის მხარისთვის დამახასიათებელი ყოფისა და ეთნოგრაფიის მასალები და არქეოლოგიური ნიმუშები.

მე-19 საუკუნეში აგებულ შენობაში, რომელშიც მსახიობი იზრდებოდა, ოთხი ათეული წელია, მემორიალური სახლ-მუზეუმი ფუნქციონირებს.

სახლ-მუზეუმი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიისგან ფინანსდება, კაპიტალური რეაბილიტაცია კი 12 წლის წინათ ჩაუტარდა, თუმცა ამ ეტაპზე შენობის ნაწილი კვლავ რესტავრაციას საჭიროებს.

მუზეუმის შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონეა. შენობის რესტავრაციის დასაწყებად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვა საჭირო, რომელსაც გურჯაანის მუ-



## რატომ აჭიანურებს კულტურის სამინისტრო ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციას?



ნიციპალიტეტის მერია თითქმის წელიწადია ელოდება კულტურის სამინისტროსგან.

ისტორიული და კულტურული ძეგლების მნიშვნელობა განუზომილად დიდია მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში.

მათი შენარჩუნება, როგორც ღირებულებისა და იდეის მატარებელი ობიექტისა, წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის უწყვეტ ხაზს ქმნის.

სწორედ კულტურული ძეგლების მეშვეობით აღვიქვამთ კონკრეტული ქვეყნის სახეს, თუ დროთა განმავლობაში როგორ იცვლებოდა და ვითარდებოდა იგი.

შეიძლება თქვას, რომ კულტურული მემკვიდრეობა სამყაროსადმი სხვადასხვა ხალხის დამოკიდებულების გამომხატველია.

ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული გარემო ჩვენი საარსებო არეალია, რომელიც თითოეულ პიროვნებას განსაკუთრებული ენერჯის მატარებელ მუხტს სძენს — ეს არის წარსულის შემოქმედებასთან კავშირის

შეგრძნება.

მე-20 საუკუნემდე იმისთვის, რომ ძველი კულტურული მემკვიდრეობა მიგვეჩინა, მას გარკვეული კრიტერიუმები უნდა დაეკმაყოფილებინა, მათ შორის, ესთეტიკურობა.

თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა — ისტორიული და კულტურული ძეგლი ყველა ობიექტი, რომელიც ავთენტიკურია და დიდი ყურადღება არ ექცევა ვიზუალს.

ასე რომ, საზოგადოება ვადგებოდა, თითოეულ მათგანს სათანადოდ მოუვაროს, რათა რაც შეიძლება დიდხანს გადაეცეს ეს იდენტობის მატარებელი ობიექტები თაობიდან თაობას. დაბოლოს, შეიძლება, ნატო ვაჩნაძის შენობის რეაბილიტაციას არ ახსენებოდათ მათი დიდი წინაპრების საგვარეულო სასახლე. შეიძლება მათთვის დიდად მნიშვნელოვანი არ იყოს ანდრონიკაშვილების სასახლარი, მაგრამ ჩვენთვის, რიგითი კახელებისთვის, ანდრონიკაშვილის ნამამულარი, ნატოს სახლ-მუზეუმი, მეტად ფასეულია.

# „ნაციონალური მოძრაობა“

მაკა მოსიაშვილი  
599 97 25 55

რას ფიქრობს ემიგრაციაში გაქცეული ადამიანების გადაწყვეტილებაზე? როგორ აფასებს მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლას საქართველოში? რატომ უწოდებს „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტის ბუფეტის პარტიას? როგორ აფასებს საკრებულოების მუშაობას?

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ქრონიკა+“ ესაუბრება ლეიბორისტული პარტიის კახეთის რეგიონის ხელმძღვანელ ნიკა ვარდოშვილს:

– ნიკა, როგორც პოლიტიკოსი, როგორ შეაფასებდით საჯარო მოხელეთა ემიგრაციაში წასვლას?

– თუ დასაქმებულ ადამიანებს არ აქვთ ოჯახის რჩენის უნარი, ლოგიკურად რომ შევხედოთ, მაშინ დაუსაქმებელი ადამიანი და სოციალურად დაუცველი ყოფილა სიკვდილის პირას. ეს არ არის გადაჭარბებული ნათქვამი, იმიტომ რომ ამ წამს არა მარტო საჯარო მოხელეები, არამედ კერძო სექტორში დასაქმებულებიც, ჩემს თვალსაწიერში ვინც იყვნენ, რომელთაც კომუნისტების დროიდან და შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებშიც ძველი ქონებაც მოსდგამდათ და თვითონაც, ასე ვთქვათ, ფულის შოვნა არ უჭირდათ, ასეთი ადამიანები გარბიან ქვეყნიდან. მათ გაყიდეს ყველაფერი, რაც ებადათ და დღეს უკვე კვების პრობლემის წინაშე დადგნენ. აქედან ჩანს, რომ ძალიან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა.

– კახეთის მაგალითზე რომ ვისაუბროთ, ასეთი სურათი გვაქვს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ორი მოწვევის ყოფილი გამგებელმა 2012-2017 წლებში, ბექა ბაიდაურმა, მუნიციპალიტეტის პოლიტიკური თანამდებობის პირველმა პირმა (ხაზს ვუსვამ!), აი, ამ ადამიანმა, დატოვა ქვეყანა და როგორც ჩემთვის ცნობილია, კანადაში დაიწყო მუშაობა ფიზიკურად. ასევე რამდენიმე ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ გურჯაანის ყოფილი მერი, პოლიტიკური თანამდებობის პირი, წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისიც, ალბათ, ფიზიკურად მუშაობს. ასევე გვქონდა შემთხვევები, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატი ახმეტის მუნიციპალიტეტიდან წავიდა და საფრანგეთში ჩაბარდა. გვაქვს ფაქტი, რომ 2014 და 2017 წლების მოწვევის თელავის საკრებულოს წევრი „ქართული ოცნებიდან“, ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე, ამ წუთში ამერიკაში ცხოვრობს. თელავის თემის სხვა დეპუტატებიც წავიდნენ და ასეთი ბევრი შემთხვევა შემოიძლია დაგისახელოთ. ამ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურა არსებობს? უხეშად რომ ვთქვათ, საქართველოში პოლიტიკას ვინაა აკეთებს?

– ბოლოდან დავიწყებ: პოლიტიკას ამ ქვეყანაში უკვე პოლიტიკოსები დიდი ხანია, აღარ აკეთებენ. 2012 წელს რაც მოხდა, ამ ქვეყანაში პოლიტიკოსები დამთავრდნენ და მათი ფუნქცია შეიძინა

ოლიგარქიამ, მილიონერების ბანდამ. იცით, ეს რატომაც ცუდი ქვეყნისთვის? – პოლიტიკოსი და პოლიტიკოსები რაც არ უნდა ზნედაცემული და გათახსირებული ადამიანები იყვნენ, ისინი ერთმანეთთან მაინც ვერ შეთანხმდებიან რაღაც უკანონოზე, ხოლო ბიზნესმენები ყოველთვის შეთანხმდებიან ერთმანეთში, იმიტომ რომ მათთვის მთავარი არის ფული და მოგება. მათ კარგად იციან გაყოფა და ასეთი სიტუაცია როდესაც არის, პოლიტიკოსები პოლიტიკური ველიდან გახვეტილები არიან. რაც შეეხება თქვენი კითხვის მთავარ ნაწილს, რომ ტოვებენ არა მარტო რიგითი ადამიანები, არამედ მაღალი თანამდებობის პირები, პირველი პირები რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში და მიდიან ემიგრაციაში, ეს იცით, რატომ ხდება? – იმიტომ, რომ რიგითი მოქალაქეები ვხედავთ, ქვეყანა მიდის ტალახში! ჭაობშია ქვეყანა ჩაფლული! მაგრამ მათ ხომ უშუალოდ ჩვენზე მეტი ინფორმაცია აქვთ, ჩვენზე კარგად იციან, რამხელა უპერსპექტივობაა ქვეყანაში და ისიც კარგად მოეხსენებათ, რომ ამ უპერსპექტივობას ბოლო არ უჩანს. და ისინი რომ მიდიან, ამით უკვე ნათლად არის ნათქვამი: ამ ქვეყანაში დღითი დღე, წლიდან წლამდე, არამც თუ გაუმჯობესდება, არამედ უფრო და უფრო გაუარესდება მდგომარეობა. აი, ეს იცინა მათ ჩვენზე უკეთესად. არა მარტო იმიტომ, რომ ეკონომიკურად უჭირთ, მათ ოჯახები აქვთ, ცოლ-შვილი ჰყავთ. შესაბამისად, ისინი მომავალზე ფიქრობენ, რომ ამ ქვეყანაში არც მათი შვილისთვის ღირს განათლების მიცემა, არც მერე აქ დასაქმება ღირს, ამიტომ პრაგმატულად აზროვნებს ხალხი. იცინა, რომ საქართველოში ერთადერთი გამოსავალია (არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ დღეს რასაც ვუყურებ, ასეა), ან წახვიდე იმქვეყანად, ან სხვა ქვეყანაში გაიქცე! თუმცა არსებობს მესამე: დავრჩეთ და ყველამ ერთად გადავკეთოთ გასაკეთებელი! მოვიშორეთ ეს ჭირი, ეს პოლიტიკური ეპიდემია, რომელმაც ამ დღემდე ჩააგდო ქართული პოლიტიკაც, ჩვენი ქვეყანაც და თითოეული ჩვენგანიც! რადგან წელს უკვე არნახულ მასშტაბებს მიაღწია ქვეყნიდან გაქცეულთა რიცხვმა. ბოლოს ივანიშვილსა და ღარიბაშვილს დარჩებათ ეს ქვეყანა და რა ვიცი, იყვნენ მაშინ მოქალაქეების გარეშე!

– პოლიტიკური პროცესები დღეს როგორ მიმდინარეობს რეგიონში, კერძოდ მუნიციპალიტეტებში ამ კრიზისის დაძლევის დროს? იმ ოპოზიციასაც ვგულისხმობ, რომელიც საკრებულოებში, თუნდაც პარლამენტში შევიდა. რას უნდა აკეთებდეს ამ

ნიკოლოზ ვარდოშვილი:

## „საქართველოში ერთადერთი გამოსავალია ან წახვიდე იქვეყანად, ან სხვა ქვეყანაში გაიქცე!“



დროს ოპოზიციას?

– რეგიონებში კი არა, მთლიანად ქვეყანაში აღარ არსებობს პოლიტიკური სიტუაცია. პოლიტიკური პროცესი მკვდარია მთლიანად ქვეყანაში და რეგიონებში ხომ არც ადრე იყო მაინცდამაინც და დღეს ხომ საერთოდ წასახი აღარ არის. მაგალითად მოვიყვანოთ პარლამენტის ოპოზიციონერი წევრები, საკრებულოს ოპოზიციონერი წევრები, – თელავში „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს 16 დეპუტატი საკრებულოში. მე ვეკითხები „ნაციონალურ მოძრაობას“, – ერთი საკითხი დამისახელონ, რომლის ინიციატივაც ჰქონდათ, გაიტანეს სხდომაზე და რაღაც გააკეთეს? ვერც ერთს დამისახელებენ. მაშინ რაღა აზრი აქვს მათ საკრებულოში ჯდომას?! ის ხომ არა, რომ, მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს ოთხი თუ ხუთი მოადგილე ჰყავს?! რა ვიცი, იქ რაღაც შტატები აქვთ! წარმომადგენლობითი ხარჯების თანხებს იღებენ. არ ვამ-

ბობ, რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ, ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხელფასიც უნდა ჰქონდეს ადამიანს, წახალისებაც და პრემიაც, მაგრამ აქ სხვა რამე იგულისხმება – „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ მათ ლიდერ მიხეილ სააკაშვილს „ქართული ოცნება“ ციხეში კლავს! პუტინი კლავს და ის არის პუტინის პატიმარი, უფრო რომ დავაზუსტოთ, ის არის სასიკვდილოდ განწირული ადამიანი, რამაც ოპოზიციას ვეთანხმები და მართლები არიან. მაგრამ ამ დროს რამდენად გამართლებულია გინდაც პოლიტიკურად და რაც მთავარია, მორალურად მათი პარლამენტსა და საკრებულოებში ყოფნა?

მკვლელთან გაქვს საქმე და ისიც იცი, რომ შენი ლიდერი მკვლელს ჰყავთ ჩაგდებული ხელში და შენ მათ ელაპარაკები კანონებით და ჩარჩო-ხელშეკრულებებით, ეს რამდენად გამართლებულია?

ამიტომ ვაცხადებ, რომ „ნაციონ-



„ნაციონალურმა მოძრაობამ“, ნაწილმა თავისი გაუაზრებელი ნაბიჯით, ზოგიერთმა ანგარებით, ფაქტობრივად, გაწირა ლიდერი. ჰოდა, ამ ხალხს ამის მერე რა უნდა ველაპარაკო და როგორ უნდა განვიხილო საერთოდ პოლიტიკურ ძალად?! მანდატი არ ეთმობათ!“



# პარლამენტის ბუფონის პარზია

ნაღურმა მოძრაობამ, ნაწილმა თავისი გაუზარებელი ნაბიჯით, ზოგიერთმა ანგარებით, ზოგიერთმა კი ყველა სხვა საზიზღრობით, ფაქტობრივად, განირაღვერი. ჰოდა, ამ ხალხს ამის მერე რა უნდა ველაპარაკო და როგორ უნდა განვიხილო საერთოდ პოლიტიკურ ძალად?! მანდატი არ ეთმობათ! პარლამენტის ბუფეტი არ ეთმობა ამ ხალხს! ამიტომ ეს არის პარლამენტის ბუფეტის პარტია!

მაგათ დავარქვი მე მწერალთა კავშირი – მარტო ფეისბუქზე ჯღაბნიან პოსტებს, ეს არის მათი პოლიტიკური მოღვაწეობა.

### – დღეს საკრებულოებში რომ გვყავდეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, რა სურათი გვეჩვენებდა?

– თვითმმართველობის არჩევნებამდე სააკაშვილის ჩამოხრძანებამ და მისმა ციხეში წასვლამ შექმნა ეს პოლიტიკური პოლარიზაცია, იმიტომ, რომ რა მოხდა, იცით? – ადგილობრივი არჩევნებისას ამომრჩევლის ნაწილი მიდიოდა დღისით და ხაზავდა 41-ს, რათა მიშა ციხეში ჩაესვა, მეორე ნაწილი კი დღე მიდიოდა და ხაზავდა ხუთიანს, რათა მიშა ციხიდან გამოეშვა. სააკაშვილი რომ არ ჩამოხრძანებულიყო, დღეს გვეჩვენებდა მრავალპარტიული საკრებულოები. ახლა თელავში 16 დეპუტატი რომ უზის „ნაციონალურ მოძრაობას“ საკრებულოში და ამ თექვსმეტიდან 3-4-ს თუ გამოარჩევ, ვინც იქ ხმას ამოიღებს, დანარჩენს კი იმის უნარიც არ გააჩნია, რომ სხდომაზე რა ითქვას, ის დაიმასხვროს და გაიმეოროს, გარეთ გამოიტანოს და ამომრჩეველს გააგებინოს, რაღაზეა ლაპარაკი. ანუ ხუთ მარტივ წინადადებას ვერ იმასხვორებენ. ამათ მაგივრად რომ შესულიყო ყველა პარტიიდან სიის პირველი და მეორე ნომერი, ის ხალხი, ვინც რაღაცაზე ხმას ამოიღებდა, ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს შესანიშნავად იცოდა სააკაშვილმა, რომ ამ არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობა“ შეიძლება ვეღარ ყოფილიყო მთავარი ოპოზიციური ძალა. ამიტომ ჩამოხრძანდა და ჩაჯდა ციხეში.

აშკარად ეგონა, რომ საკრებულოში მისი გაყვანილები დაირაზმებოდნენ და გამოიყვანდნენ იმ ციხიდან. მეცოდება კიდევ სააკაშვილი მაგრამ ახია მაგაზე! დაუძახოს იმ 16 თუ 17 „ნაციონალს“ თელავიდან და თითოს 10-10 ადამიანი მოაკრებინოს და დაუდგენ გვერდით, მაგრამ არავინ აღარ უდგას სააკაშვილს გვერდით!

„ნაციონალური მოძრაობის“ მაშინდელმა მერობის კანდიდატებმა (მაგალითად, თელავში ბოტკოველმა) რომ გამოაცხადეს, აქ არჩევნები არ არის და რეფერენდუმიო, ამით ირიბი მესიჯი გაუგზავნეს ამომრჩეველს. იცით, რა იყო ამის თქმა, რომ ეს რეფერენდუმიო? რეფერენდუმიო არის ორი საკითხი! ანუ ჩვენ უნდა დავიჭიროთ მხარით, იმიტომ, რომ დანარჩენი ოპოზიციისთვის მიცემული ხმა ეს არის დაკარგული ხმა. აი, ეს მესიჯი გაუგზავნეს რეფერენდუმიო, რეფერენდუმის ძახილით!



„პოლიტიკას ამ ქვეყანაში უკვე პოლიტიკოსები დიდი ხანია, აღარ აკეთებენ. 2012 წელს რაც მოხდა, ამ ქვეყანაში პოლიტიკოსები დამთავრდნენ და მათი ფუნქცია შეიძინა ოლიგარქიამ, მილიონერების ბანდამ“

თქვენი გაზეთიდან ვეკითხები ბოტკოველს: იმ რეფერენდუმიო, რომელსაც ადგილობრივი არჩევნების დროს გაიძახოდა, იქ გავიმარჯვებთ თუ დავმარცხდით? ეს მაინც გვითხრას ამდენი ხნის მერე. არ შემოიძლია, „ქოცებს“ რამეში დავეთანხმო და, მით უმეტეს, – კობახიძეს, მაგრამ ერთხელ თქვა: „ნაციონალურ მოძრაობაზე“ მსუბუქი ყოფაქცევის პარტია მეორე არ ვიციო. ამაში ნამდვილად ვეთანხმები იმ უსახურ კობახიძეს, რომ

„ნაციონალური მოძრაობა“ თავის ნათქვამებში არასდროს არის თანმიმდევრული. როდის როგორ მოეპრიანებათ, იმას აბრაზუნებენ და ამიტომ არის ეს ქვეყანა უბედურებაში! მთავარი ოპოზიციური ძალა ასეთი ამჩატებულია!

– მაშინ ვინ დარჩა პოლიტიკაში, ვინც კრიტიკულ კითხვებს სვამს და ობიექტურ შენიშვნებს იძლევა?

– ვინც ყველაზე რეპრესირებულია!

– ანუ?

– არ გაგიჭირდებათ მისი გამოცნობა, ელემენტარულად უნდა ნახოთ, რომელ პარტიას წაართვეს არჩეული საპარლამენტო მანდატი! რომელ პარტიას გააუქმეს ის რაღაც მწირი დაფინანსება, რაც მხოლოდ კომუნალურ გადასახედეებს ჰყოფნიდა! რომელ პარტიას წაართვეს კომისიის წევრი! რომელ პარტიას წაართვეს დამკვირვებელი, წარმომადგენელი საარჩევნო უბანზე?! და პირდაპირ სხვა არაფერი არის ეს, თუ არა პარტიის აკრძალვა! მანქანას თუ ოთხივე ბორბალს მოაცილი და ძრავს ამოაგლეჯ, ყველაფერს გაუფუჭებ, ბუნებრივად, ვეღარ ივლის. აკრძალვა გამოდის!

### – დაბოლოს, თქვენ მოქალაქის სტატუსით ხშირად ესწრებით საკრებულოს სხდომებს, რა შთაბეჭდილება გრჩებათ? რას აკეთებს ხელისუფლება?

– მე ვესწრები საკრებულოს სხდომებს და ერთადერთი შთაბეჭდილება მრჩება ოპოზიციისაზე და ხელისუფლებაზე – მათ რომ ვუყურებ, ორი სიტყვა მომდის აზრად თავში. ეს სიტყვებია: კარ-

„ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ მათ ლიდერ მიხეილ სააკაშვილს „ქართული ოცნება“ ციხეში კლავს! პუტინი კლავს და ის არის პუტინის პატიმარი, უფრო რომ დავაზუსტოთ, ის არის სასიკვდილოდ განწირული ადამიანი, რაშიც ოპოზიციას ვეთანხმები და მართლაც არიან. მაგრამ ამ დროს რამდენად გამართლებულია გინდაც პოლიტიკურად და რაც მთავარია, მორალურად მათი პარლამენტსა და საკრებულოებში ყოფნა? თუ ფიქრობენ, რომ ასეთი დანაშაული ხდება, უნდა მიდიოდნენ იმ „ვიგამდში“ და ლეწავდნენ იქაურობას, ძალით გამოჰყავდეთ იქიდან თავისი ლიდერი და არა პარლამენტში ისხდნენ სამუშაო ჯგუფებში“



გად მოეწყენენ!

### – უფრო კონკრეტულად?

– კარგად არიან მოწყობილები, ყველას თავისი ფუნქცია აქვს იქ, ანუ არაფრის კეთება. და ყველას აქვს ამ არაფრის კეთებაში შემოსავალი! – არცთუ არასოლიდური, საკმაოდ მაღალი ხელფასები აქვთ. რაც შეეხება მათ გაკეთებულ საქმეს, არ შემოიძლია თქვენი ყურადღება არ გავამახვილო ბოლო ორ სხდომაზე, ანუ მუნიციპალიტეტს ჰქონდა ერთჯერადი სათბობი შეშის დახმარების პროგრამა და ეს პროგრამა მომავალი წლისთვის გააუქმეს!

ახლა ახალი წლის წინა პერიოდი, მუნიციპალიტეტებში არის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები, სადაც ის ერთი ბენი შეშაც არ ჰყოფნიან და როგორ უნდა გადააგრონ ზამთარი, არ ვიცი! ამის საპასუხოდ მომავალი წლიდან ეს პროგრამა გააუქმეს, ანუ 2023 წლიდან შეშის თანხას აღარ მისცემენ. მეორეც: რიგგარეშე სხდომა დანიშნეს, რომელზედაც უკვე წლის ბოლო – დეკემბრის მიწურული და მორიგი გეგმური სხდომა ინიშნება, ბიუჯეტი უნდა მიიღონ. ამ რიგგარეშე სხდომაზე ვიფიქრე, რომ რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი გადის, რაღაც სასიკეთო ამბავი-მეთქი, ამიტომ გადაწყვიტე, დავსწრებოდი საკრებულოს სხდომას, თუმცა წურას უკაცრავად!

საკითხი იყო გამოგნებელი – წელს სახალწლო ღონისძიებებზე ნახევარ მილიონს დახარჯავს თელავის მუნიციპალიტეტი!

ინტერვიუს დასაწყისში რომ გეუბნებოდით, ემიგრაციაში მიდის ხალხი-მეთქი, მართალია! ემიგრაციაშია წასული ხალხის უმრავლესობა და დაცლილია სოფლები, სკოლები, ბაღები, ქსლაქები, ჰოდა, ვეკითხები მუნიციპალიტეტებს: ვილას უწყობთ მაგ კონცერტებს?! ვილასთვის უნდა გადაიყაროს ეს ნახევარი მილიონი?! რა გვეზიოება, როცა ჩვენი ქვეყნიდან ნაწილი ხალხი ემიგრაციაში გარბის და მეორე ნაწილი კი აგერ ომშია და იარაღი უჭირავს?! კარგი არსაიდ-ან ისმის არაფერი, არც ერთი მხრიდან და არც მეორე მხრიდან! აქ რა მდგომარეობაშია ქვეყანა, კი ვხედავთ! ყოველდღე უყურებთ დაკეტილ ობიექტებს, სამსახურებიდან გამოყრილთა რიგებს, ყველაფერზე ფასებს მატყვას. არ ვიცი, ამ დროს რა გვეზიოება? ხან ვფიქრობ, რომ ეს უკვე ღვთის სასჯელია, ასეთ გაჭირვებაში იყო და თან ასეთი ვერაგი და, ამავე დროს, უტვიჩო ხელისუფლება გემართავდეს, გაგიგონიათ სადმე?! მხოლოდ თელავში ნახევარი მილიონი ლარის დახარჯვა ამ „ფინთიკურუშკებში“ ვერაგობა და უტვიჩობაა, ამას სხვას ვერაფერს დავარქმევ!

### – რას გეგმავს სამომავლოდ ნიკოლოზ ვარდოშვილი?

– არაფერს! რადგან როგორადაც დავგეგმე და გავაკეთე, ხან ვფიქრობ, რომ ესეც არ უნდოდა ამ ღრმა ძილით მძინარე საზოგადოებას. თუ მოსწონთ ასეთი ქვეყანა, ეძინოთ! მეტი არაფერი შემიძლია ჩემდა თავად!

განათლების მინისტრ მიხეილ ჩხენკელის განცხადებას იმის თაობაზე, რომ წელს პირველად სკოლებში აღდგა „საქართველოს ისტორიის“ სწავლება, დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ცნობისთვის: განცხადება მინისტრმა არა სექტემბერში, არამედ ახლახან გააკეთა. ამის შესახებ ექსპერტთა ნაწილი პეტიციის შესადგენად ემზადება.

იკითხვით, ალბათ, თუ „საქართველოს ისტორია“ არ ისწავლებოდა სკოლებში, აბა, რა ისწავლებოდა?! საქართველოს ისტორია ისწავლებოდა, რა თქმა უნდა, უბრალოდ, მიხეილ ჩხენკელისთვის ის „საქართველოს ისტორია“ საქართველოს ისტორია არ იყო. სხვათა შორის, განათლების მინისტრი ცნობილია თავისი მმართველთა მადიდებლობით. მაგალითად, სწორედ იგი გახლდათ, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს ექვთიმე თაყაიშვილი უწოდა, რამდენიმე კვირის წინ კი – ერისკაცის, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის მე-9 წლისთავზე მინისტრი აცხადებს, „საქართველოს ისტორია“ წელს პირველად შემოვიტანეთ სკოლებში, ამით სერიოზულ ანტიპიარს რომ უკეთებს ხელისუფლებას, ამას, როგორც ჩანს, „ვერ ეწევა“.

**განათლების სამინისტროს ე. წ. ოფიციალურ სინოფსისებს თუ ჩაგვრდავთ, იქ ზუსტად ასე წერია:** 2022-2023 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში „საქართველოს ისტორია“ დამოუკიდებელ საგნად შეისწავლება. ისტორიკოსებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა გადაამუშავა საქართველოს ისტორიის სტანდარტი და განხორციელდა შესაბამისი სახელმძღვანელოს გრიფირება. შედეგად, ახალგაზრდები საშუალო საფეხურზე საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე უწყვეტად, სიღრმისეულად შეისწავლიან, თურმე.

აღნიშნულ საგანს კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით, მანამდე კი რეფორმის სხვა ნაწილებსაც გვინდა შევეხოთ. ბატონმა ჩხენკელმა ჭადრაკის თამაში პირველ კლასში სავალდებულო (და არა ნებაყოფლობით) საგნად შემოიტანა. დღესდღეობით, სამინისტროსა და ჭადრაკის ფედერაციის თანამშრომლობით, პროექტში ჩართულია 4000-ზე მეტი გადამზადებული პედაგოგი, რომლებიც სკოლებში ჭადრაკის გაკვეთილებს ატარებენ. ანუ სკოლის პედაგოგების მიზერული ხელფასის გაზრდის ანდა დანამატის დაწესების ნაცვლად, განათლების სამინისტრო შტატში კიდევ 4000 პედაგოგს ამატებს – ჭადრაკის!


**ცნობისთვის:** ცალკე ბიუჯეტი გამოიყო შესაბამისი ელექტრონული სასწავლო რესურსის მოსამზადებლად, რომელიც მოსწავლეთა პროგრესის შესაბამისად განვითარდება. ჭადრაკის ფედერაციის გარდა, განათლების სამინისტრომ შემორანდუმი გააფორმა თავდაცვის სამინისტროსთან, რაც, უშუალოდ, ირაკლი ლარიბაშვილის ინიციატივა იყო. 2022-2023 სასწავლო წლიდან დაიწყო საჯარო სკოლებში ახალი საგანმანათლებლო პროექტ „სამხედრო საქმის“ პილოტირება, რომელშიც დედაქალაქის გარდა, მაღალმთიანი რეგიონების 18 სკოლის 300-ზე მეტი მოსწავლეც ჩართეს. მოსწავლეებს გაკვეთილს უტარებენ სპეციალურად გადამზადებული სხვადასხვა წოდების მქონე მოქმედი სამხედრო ოფიცრები. ამეცადინებენ ბავშვებს იარაღის აწყობაში,

სროლასა და ა. შ. სად იარაღი და სად ბავშვი? – ამ იტომაც განათლების სამინისტრომ ამ პროექტს „თავდაცვა და უსაფრთხოება“ უწოდა. თავდაცვის სამინისტროსთან პარტნიორობით, პროექტში ამჟამად 40 სკოლაა ჩართული. პროგრამას თუ ჩაგვრდავთ, იქ იარაღის დაშლა-აწყობაზე, რა თქმა უნდა, სიტყვა არ არის ნათქვამი, სამაგიეროდ წერია, რომ კურსის ფარგლებში მოსწავლეები მიიღებენ ცოდნას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: სამოქალაქო უსაფრთხოება, შესაძლო საფრთხეების წყაროები, საერთაშორისო მისიები, საქართველოს თავდაცვის სისტემა და თავდაცვის ძალების საქმიანობა.

აღნიშნულ სიახლეებში აშშ-ის სელფრის ძალების მხარეც არ შეიძლება არ აღინიშნოს – II-VI კლასების მოსწავლეებისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება სავალდებულო გახდა და სკოლებში დანერგვითი კლასებიდან შეისწავლება პროგრამირების ელემენტები. შედეგად, მოსწავლეებისთვის ინგლისური ენის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობისთვის საპილოტე 50 სკოლის V-VI კლასის მოსწავლეები, გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, დამატებით მაკილანის გამოცემლობის მათემატიკის ბლინგუური სახელმძღვანელოებით ისარგებლებენ. ეს პოზიტიური სიახლეა, ვინაიდან საპილოტე პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 60-ზე მეტი ინგლისური ენის მცოდნე მათემატიკის მასწავლებელი. პროექტი საშუალებას აძლევს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ელექტრონულად მართონ მთელი სწავლის პროცესი.

რაც შეეხება „საქართველოს ისტორიის“ საგანთან დაკავშირებულ პეტიციას: მიხეილ ჩხენკელის ახსნა-განმარტებით, მანამდე იყო საგანი, რომელსაც ერქვა „ისტორია“ და მასში შედიოდა „მსოფლიოს ისტორია“ და „სა-

# რა მოგვაჩვენა განათლების სამინისტრო „საქართველოს ისტორიის“ საგნის შესახებ?



ქართველოს ისტორია“. 2022-2023 სასწავლო წელს გამოიგზნა ეს ორი საგანი და დამოუკიდებელ საგნებად იქცა „მსოფლიო ისტორია“ ცალკე და „საქართველოს ისტორია“ – ცალკე.

მასშტაბად, „საქართველოს ისტორია“ მანამდეც ისწავლებოდა, უბრალოდ არ იყო გამოიგზნული. შესაბამისად, როდესაც განათლების მინისტრი მთავრობის სხდომაზე გამოდის და აცხადებს, რომ წელს პირველად სკოლებში საგანი „საქართველოს ისტორია“ შემოვიტანეთო, უნდა დაეკონკრეტებინა, რომ კი არა შემოვიტანეთ, არამედ – „გავმიგზნეთ“!

ექსპერტების უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ „საქართველოს ისტორიის“, როგორც დამოუკიდებელი საგნის, სახელმძღვანელო ხარვეზებით არის სავსე და დაუსრულებელია; რომ განათლების სამინისტრო არასაკმარისად მომზადებული შეხვდა საგნის გამოგზნას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – მე-10 კლასში ამ ორივე საგანს ბავშვები ცალ-ცალკე ისწავლიან განცალკევებული კონტექსტით. მე-11 და მე-12 კლასებს ეს არ ეხება, რადგანაც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა მხოლოდ მე-10 კლასში იწერება. მე-11-მე-12 კლასებში ისევ ძველი გეგმით ისწავლიან, ანუ არა „საქართველოს ისტორიას“ ცალკე, არამედ მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიით ერთად.

ამაზე განათლების მინისტრი აცხადებს, რომ სამომავლოდ აქაც იგივე პრინციპი გაგრძელდება, მაგრამ არ აკონკრეტებს, როდის არის ეს სამომავლოდ – 2024 წელს, 2030 წელს, 3000 წელს?!

იმ ერთადერთ მე-10 კლასში დიდი ზარზიმით დაანონსებული „საქართველოს ისტორიისთვის“ მხოლოდ 2 საათი იქნება გამოყოფილი.

ექსპერტების გათვლით, ზოგადი განათლების დაფინანსება ხშირ შემთხვევაში ვერ სცდება მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს, სკოლებს არ გააჩნიათ დაფინანსება საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პრიორიტეტული მიმართულებების ამუშავება და სწორედ ფინანსური დანახარჯების გამო არ ეძლევათ მოსწავლეებს საგნების არჩევის უფლება. მართო სკოლას აქვს არჩევნის უფლება. სამინისტრო დღეს იმის თაობაზე, რომ დღემდე ვერ ხერხდება კვების პროგრამის ამუშავება,

აქედან გამომდინარე, რამდენად მიზანშეწონილია არჩევითი საგანზე უამრავი ფინანსური რესურსის გამოყოფა, რასაც უკავშირდება სახელმძღვანელოების შექმნა, საექსპერტო ჯგუფების მომზადება, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა გადამზადება, მომავალი მასწავლებლების მომზადება და უამრავი სხვა საკითხი!

თანაც, თუ საგანი არჩევითია, მის ფარგლებში არ იქმნება სახელმძღვანელოები, იქმნება მხოლოდ სავალდებულო საგნებში, შესაბამისად, ეს საგანი გრიფირებული სახელმძღვანელოების გარეშე უნდა ისწავლებოდეს. ეს კი დამატებით პრობლემას ქმნის – ამიტომაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დამატებითი რესურსები სახელმძღვანელოს შესაქმნელად.

**დაბადების თარიღს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში და თითოეული ადამიანი გენეალოგიური მოვალეობის გარეშე ვერ იქნება ბედნიერი.**

**რატომ არ არიან ადამიანები ბედნიერები და რა არის საჭირო იმისთვის, რომ საკუთარი თავი ვიპოვოთ და კომფორტულად ვიცხოვროთ? – ამ თემების შესახებ „ქრონიკა+“ ესაუბრა ფსიქოლოგს, გენეტიკოსსა და გენეალოგის სპეციალისტს, ნუმეროლოგს, ასტროლოგს, ეზოთერიკოს ლამზირა ხაჭაპურიძეს:**


**– ქალბატონო ლამზირა, რა გავლენა აქვს დაბადების თარიღს ადამიანის ცხოვრებაში და რას ნიშნავს ასტროლოგიური რუკა?**

– დაბადების თარიღი, დაბადების წელი, ეს არის ჩვენი ზეციური მონაცემები, რომელიც შევისუნთქეთ, როცა დავიბადეთ და ვიტყვით, რომ დავიბადეთ, ხომ ვიტყვით? დაბადებისას ჩვენი ამქვეყნიან მოვლინება ხდება ტირილით. ბავშვი იბადება და ტირის იმიტომ, რომ გამოადგეს იმ ედემიდან და მთელი ცხოვრება შემდეგში ადამიანი ეძებს იმ ედემს, საიდანაც მას წამოსვლა მოუწია. ადამიანის დაბადების წელი, თვე და რიცხვი ის მიმართულება და ლერძია, რომელიც ყველაფერია ჩადებული. ჩვენ ჩვენს საგვარეულოში დავიბადეთ. გვაქვს 12 თვე, 12 მოციქული, 12 ზოდიაქო. დაბადების თარიღი განაპირობებს იმას, რა პროგრამა არის კონკრეტულ საგვარეულოში, რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რა დაავალა მას საგვარეულომ, რით უნდა დაეუბრუნოთ მას მადლიერება,

ბები მიმდინარეობს, ეს არის სცენა, სადაც თამაშდება ადამიანის ბედი.

ჩვენი ასტროლოგიური რუკა არის ირმის ნახტომი. პრაქტიკულად, ადამიანი დედამიწაზე ცხოვრებას იწყებს იმ ზეციური მონაცემებიდან და მისი ცხოვრებაც მიმდინარეობს ამ ზეციური მონაცემებით, ეს არის ცხოვრების ციკლი, ცხოვრების განვითარება, იქ არის ჩაქოვნილი მისი ყველა ნაბიჯი. ყველა ადამიანს საკუთარი მისია აქვს. ღმერთმა ესეც გამოთვალა და განსაზღვრულია ყველაფერი, გამოთვლილია ადამიანის მისია, მისი გადაადგილება, განვითარება. ეს ნერტილები, რასაც გეოლოკაციებს ვეძახით, გამოთვლილია. ერთი ნერტილიდან მეორე ნერტილში ადამიანის გადაადგილებები განსაზღვრულია: რატომ უნდა მოხდეს, როდის უნდა მოხდეს, ვის უნდა შეხვდეს მეორე ისეთ ადამიანს, ვისაც მსგავსი ამოცანა აქვს, რომ ერთმანეთს დაეხმარონ. აი, ასე მიმდინარეობს პირადად ჩემთვის ასტროლოგიური აზროვნება. პლანეტარულად დალაგებას ვუწოდებ, როცა ვხედავ ადამიანს, რომელიც ჩემ წინაშეა და მართო მე კი არ ვარ ამ დროს, მისი და ჩემი პლანეტარული მონაცემები შედიან ერთდროულად რაღაც ურთიერთობებში, რომელიც ქმნის რაღაც მესამე ენერჯიას, – ორი ადამიანი ხვდება ერთმანეთს, რომ რაღაც მესამე მოხდეს, ტრანსფორმაცია დაიწყოს.

**„ასტროლოგიური რუკას შეიძლება პლანეტარული პასპორტიც კი ვუწოდოთ. ადამიანმა უნდა შეისწავლოს მისი მონაცემები, რაც დაბადებიდან მისი კუთვნილებაა, რათა იყოს ბედნიერი და მაქსიმალურად რეალიზებული“**



რომ სიცოცხლე გვაჩუქა. ეს ჩადებულია დაბადების თვეში.

ასტროლოგიური მონაცემებით, ჩვენ ვხედავთ პლანეტების, ვარსკვლავების მოქმედებას ჩვენს უკვე ფიზიკურ სხეულზე. ჩვენ ვართ ყველანი დედამიწელები და დედამიწის მატრიცაში ვცხოვრობთ დაბადების თარიღებიდან. თავისი ფიჭა წარმოვიდგინოთ – ასე ვბრუნავთ ამ კოდიდან კოდამდე. ზეციური დავალება, რომელიც ვისაუბრეთ, ყველა ჩვენგანს აქვს და ეს უხილავია. ჩვენ ყველამ ვიცით ღმერთის უხილავი ძალა, თუმცა არც ერთი ჩვენგანი არ შეხვდებოდა არც ღმერთს და არც რამე სახის ძალა უნახავს თვალთ. ეს ყველაფერი უნდა ვიგროძნოთ, სხვანაირად არ შეიძლება.

ასტროლოგიური რუკა ისეთი ინსტრუმენტია, რომლითაც ადამიანი იწყებს საკუთარი თავის გაცნობას. იქ არის ლერძები, კონვერტები, რუკაში მნიშვნელოვანი ქმედ-

გადაადგილებები განსაზღვრულია, მაგალითად, როდის, რომელ წელს, რა თვე და მოვლენა იქნება ადამიანისთვის მნიშვნელოვანი და რას უნდა მიაქციოს ყურადღება. რა თვე იქნება მისთვის აქტუალური, რომ შემდეგში ამის გავლენით ის იყოს ბედნიერი. მიიღოს ის შედეგი, რაც მას სურს. ასტროლოგიური რუკას შეიძლება პლანეტარული პასპორტიც კი ვუწოდოთ.

ადამიანმა უნდა შეისწავლოს მისი მონაცემები, რაც დაბადებიდან მისი კუთვნილებაა, რათა იყოს ბედნიერი და მაქსიმალურად რეალიზებული. ჩვენს ცხოვრებაში ყოველ დღეს საკუთარი ენერგეტიკული ველი აქვს. განსხვავებული მონაცემები აქვს ყოველ დღეს, ზეცა განსხვავებულია ყოველდღე. მნიშვნელოვანია მთვარის მოძრაობა.

მთვარის ფაზებს ძალიან სერიოზული გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე, მთვარე ემოცივობა, ამიტომ ყოველი დღე არის განსაკუთრე-



# ლაზირა ხაჭაპურიძე: „2023 წელი გეგმავდეს უკეთესი იქნება, ვიდრე იყო 2020, 2021 და 2022 წლები“

## რა როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში დაბადების თარიღი?



ბულად ლამაზი და ამა თუ იმ დღეს მოვლენილი ადამიანები, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ამოცანასაც ასრულებენ.

დღეები, დაბადების თარიღები მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში. უდიდესი ღვთაებრივი ნება უნდა შესრულდეს, სწორედ ამიტომაა ეს დღეები, თარიღები განსაკუთრებული.

**– რა მნიშვნელობა აქვს ასტროლოგიურ რუკას ადამიანის ცხოვრებაში?**

– ჩვენ საკუთარ თავს უნდა მივცეთ უფლება, კარგად ვიყოთ. ხალხს უყვარს, როცა ვილაყვას უბედურს ხედავს. ეს შაბლონები უნდა დაინგრეს. მშობლებიც ისე არიან შეილებზე ჩაჭიდებული, საკუთარი თავი არ ახსოვთ. ნუ ხართ, მშობლებო, შეილებზე ჩაჭიდებული, დაანებეთ მათ თავი და ისინი იპოვიან თავიანთ გზას. მშობელი უნდა იყოს ბედნიერი, რათა შეიღმაც იპოვოს ბედნიერება. საქართველოში ადამიანებმა მეტისმეტი იციან. ის, რაც ჩვენთან ხდება, არც ერთ ქვეყანაში არ არის, თუნდაც გლოვა და შავების ჩაცმა. ცოტა გავფერადდეთ, ეს რეალობა უნდა შევცვალოთ.

**– რა უნდა გავაკეთოთ ადამიანებმა, რომ ბედნიერები ვიყოთ?**

– ამას ხშირად მეკითხებიან. შინაგანად ვართ გაუგებრობაში, ასე განწყობილი, სწორედ ამიტომ ვართ ცხოვრებაში, გარეთაც, ყველგან გაუგებრობაში. ეს ცოდნა დიდი ხანია, უკვე არსებობს, ამოტივტივებულია. მერწყულის ეპოქა დანაყვანილია და დიდი ხანია, ადამიანები დაინტერესებული არიან იმით, რომ შეისწავლონ საკუთარი ფსიქიკა. სად ვიპოვოთ სიყვარული, სიმშვიდე, ბედნიერება, რას ვქვებთ, ვის ვეძებთ, სად ვეძებთ ბედნიერებას, როცა ეს შიგნით გვაქვს. საქმე ის არის, რომ ჩვენში ამ ყველაფრის პოვნას სჭირდება ძალიან ბევრი მუშაობა. ამიტომ პირადად ბევრი ვიპოვებ სულიერად. ამ პროცესში თითქმის ყოველდღე მოგიწევს გარდაცვალება და ხელახლა დაბადება. ცხოვრება უმშვენიერესია, ჩვენ საკუთარი თავი უნდა შევიყვაროთ, მოვიშველიოთ მედიტაციები, ფსიქოლოგია, ასტროლოგია. ახლა დედამიწაზე დიდი ცოდნაა, ყველა ნივთი თუ დეტალი საუბრობს. ბედნიერების პატარა-პატარა ლუბებს თუ შევიხიზნავთ და დიდ ბედნიერებად ვაქცევთ, მერე ყველაფერი კარგად იქნება.

**– არსებობს სამყაროში რამე სახის მინიშნებები? უნდა დავაკვირდეთ ხოლმე კონკრეტულ მოვლენებსა და სიტუაციებს?**

– ყოველთვის მნიშვნელოვანია ის, რასაც სამყარო გვაჩვენებს. რას გვაჩვენებს სამყარო? რა უნდა ამით, რომ გვითხრას ღმერთმა? რისთვის მოხდა ეს? – ამ კითხვების დასმა საჭიროა საკუთარ თავთან, რადგან ეს განვითარებას გვაძლევს და სწორედ აქ ვიღებთ პასუხებს.

**– თქვენ, როგორც ასტროლოგი, როგორ ფიქრობთ, მომავალი 2023 წელი უკეთესი იქნება წინა წელთან შედარებით?**

– 2023 წელი გვექნება ბევრად უკეთესი, ვიდრე იყო 2020, 2021 და 2022 წლები. ვინც როგორ შრომობდა საკუთარ თავზე ფსიქოლოგიურად, შედეგიც ასეთი იქნება. ჩვენ ძალიან კარგ დროს ვცხოვრობთ, უნდა შევიყვაროთ საკუთარი თავი და ერთმანეთი.

# საქართველოს მოკიბი ნაკრებზე და თბილისი

**გიორგი საკარული**  
555 42 42 81

მძიმე ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების ფონზე დიდად კულტურული ღონისძიებებით არ ვართ განებივრებული. ის, რომ საქართველოში ნაკლებად ექცევა ყურადღება კულტურასა და, მით უმეტეს, მოდის სფეროს, ამაშიც დამეთანხმებით, თუმცა ამ ყველაფრის მიზეზებსა თუ პრობლემებზე რომ ვისაუბროთ, გახეთის ფურცლები ნამდვილად არ გვეყოფა.

აუცილებლად უნდა ვთქვათ იმ ადამიანებზე, რომლებიც ამ უდიდესი პრობლემებისა თუ უწყურადღებობის ფონზე ფარ-ხმალს არ ყრიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოში მაინც ჩაატარონ ფართომასშტაბიანი ღონისძიებები და ჩვენი ქვეყნა კიდევ ერთხელ ასახელონ საერთაშორისო ასპარეზზე. რომ არა მედია, ალბათ, მათი ეს შრომა აბსოლუტურად უწყურადღებოდ დარჩებოდა, რადგან სახელმწიფო არაფერს აკეთებს ამ პროცესების გასაშუქებლად.

სულ ახლახან თბილისში საერთაშორისო სილამაზისა და ტალანტის კონკურსი „მის და მისტერ პლანეტა 2022-ის“ ფინალი გაიმართა. „მისტერ პლანეტა 2022-ის“ ტიტული მოიპოვა საქართველოს წარმომადგენელმა, გიორგი მეტრეველმა, ხოლო „მის პლანეტა 2022-ის“ ტიტული – ბულგარელმა კონკურსანტმა. საერთაშორისო კონკურსში 15 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ღონისძიება საერთაშორისო მედია გააშუქა, საქართველოს სახელი კი უცხოურ გამოცემლობაში აქტიურად ჟღერდებოდა.

**რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარება ჩვენი ქვეყნისთვის? როდის ჩაეყარა საფუძველი „მის და მისტერ პლანეტას“ საქართველოში? რამდენად რთულია წარმატებით მიღწევა სამოდელო სფეროში? – ამ და სხვა საინტერესო სახალალებზე „ქრონიკა“-ს ესაუბრება სამოდელო სახლ „კატრინის“ დამფუძნებელი, უამრავი საერთაშორისო კონკურსის ლიცენზიის მფლობელი და ყოფილი ნეერი, ეკა მგალობლიშვილი:**

– საერთაშორისო სილამაზისა და ტალანტის კონკურსი, „მის პლანეტა“, პირველად 2015 წელს ჩატარდა საქართველოში. „მის პლანეტის“ ლიცენზიის მფლობელი გახლავთ ირინა პაპაზოვა. თანამშრომლობიდან და ჩვენი ურთიერთობებიდან გამომდინარე, მან მომცა თანხმობა და საქართველოს საერთაშორისო ყოფილი ნეერი და დელეგაციის თანხლებით სტუმრად ეწვია 36 ქვეყნის მისი და გამარჯვებული. ეს იყო 2015 წელს. ფინალი ჩატარდა ფილარმონიაში. 2016 წელს შევიძინე საერთაშორისო ლიცენზია „მისტერ პლანეტა“. მე და ირინა პაპაზოვამ გადაწყვიტეთ, გაგვეერთიანებინა ეს კონკურსი და ჩაგვეტარებინა „მის და მისტერ პლანეტა“. 2016 წელს „მის და მისტერ პლანეტა“ გაიმართა ბათუმში, სადაც 30-დან 40-მდე ქვეყანას ვმასპინძლობდით. ასე გაგრძელდა წლების განმავლობაში. 2021 წელს კონკურსის ჩატარება პანდემიის გამო ვერ შეეძლო. შესაბამისად, „მის და მისტერ პლანეტის“ შესარჩევი ტურები 2022 წელს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა, თუმცა მხოლოდ დაჯილდოება

გადაწყვიტეთ და ონლაინ რეჟიმში ჩატარდა ნახევარფინალი საერთაშორისო ყოფილი ნეერი. გადაწყვიტეთ, მხოლოდ ფინალში გადასული განსაკუთრებული ტალანტი და გამორჩეული სილამაზის მქონე მონაწილეები ჩამოგვეყვანა. ფინალი აქ ჩატარდა. ეს არ იყო ისეთი გრანდიოზული ღონისძიება, როგორც წინა წლებში. იანვარში უამრავ ქვეყანას ველოდებით საერთაშორისო მოდის კვირეულისა და მსოფლიოს ამომავალი ვარსკვლავის ფარგლებში. საბჭოს მივწერე, რომ ამ ეტაპზე საქართველოს შეუძლია, მხოლოდ ფინალი და დაჯილდოება უზრუნველყოს. კონკურსანტები განთავსდნენ სასტუმრო „თბილისი თაუერში“, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ადმინისტრაციას.

ერთი კვირის განმავლობაში გვექონდა სხვადასხვა ტური და აქტივობა: ნაციონალური სამოსი, ტალანტით, საცურაო კოსტიუმების ტური, სხვადასხვა დიზაინერთა ფოტოსესია და ბოლოს გაიმართა ფინალი. სტუმრებს გავაცანით ქართული კულტურა, სამზარეულო, მოვანყვეთ ექსკურსია ძველ თბილისში. გაიმართა სატელევიზიო გადაღებები, ჩატარდა ფინალი. კონკურსანტები ფინალზე წარდგნენ ნაციონალური სამოსით, თავიანთი ქვეყნის დიზაინერების ჩაცმულობით; ფინალში ასევე მონაწილეობდა ორი ქართველი დიზაინერი: ხათკო და ბრენდი „ნათი“. „ნათის“ სამოსით წარდგნენ სამოდელო სააგენტო „კატრინის“ მოდელები და „მის და მისტერ პლანეტის“ კონკურსანტები.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა მარკუს მეტრეველმა და ვერიკო ტურაშვილმა. ჩემთან ერთად საღამო ინგლისურ ენაზე მიჰყავდა სამოდელო სააგენტო „კატრინის“ მოდელ ნინი გრძელიშვილი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „მის და მისტერ პლანეტის“ ჯგუფში 70-ზე მეტი სტუმარი იყო ჩამოსული. მაგალითად, „სტოპ მოდელ ოფ იუნევერსის“ პრეზიდენტი ჩამობრძანდა თურქეთიდან, რომელმაც დაწერა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო კონკურსი იყო: „საქართველომ საუკეთესო სტუმარ-მასპინძლობა გაგვინა“. მან მოუწოდა თავის ჯგუფში კიდევ სხვა ეროვნულ დირექტორებს, რომ აუცილებლად უნდა ესტუმრონ ეკას მიერ ჩატარებულ კონკურსებს საქართველოში. რამდენიმე ქვეყანა დარჩა საქართველოში. მათ თქვეს, რომ იანვარში მაინც ვართ ჩამოსასვლელეები და ამიტომ იანვრამდე დავრჩებით. ეს თითოეული ქართველის დამსახურებაა. მადლობა მინდა გადაუხადო ყველა მედიას, პრესას, სააგენტოებს, ჟურნალისტებს, იმიტომ რომ ისინი თითქმის 24-საათიან რეჟიმში აუქებდნენ კონკურსს.

**– რაც შეეხება გამარჯვებულებს, რამდენად ღირსეული**



## „პანდემიამდე მოდის სფერო სუნთქავდა, პანდემიისას კი სასუნთქი გზები ჩაბჯაქა“

### „მოდის სფეროში საზღვარგარეთ გვიკარგა და უფასოა, ვიღაც – საქართველოში“

**გადაწყვეტილება მიიღეს ყოფილი ნეერი?**

– როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება სილამაზისა თუ ტალანტის კონკურსები, მაქსიმალურად ვიბრძვი, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი და ტიტული მოიპოვოს. უფრო მორიდებული და მოკრძალებული ვარ, როცა კონკურსი ჩემს ქვეყანაში ტარდება. ეს იყო საერთაშორისო ყოფილი ნეერების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ გიორგი მეტრეველს გავმარჯვა. რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღეთ. რაც შეეხება ბულგარეთს, მისი წარმომადგენელიც ერთხმად ავირჩიეთ.

**– ეკა, მსგავსი ტიპის ღონისძიებები რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის? რამდენად დიდია ჩართულობა თუნდაც ტურნიზმის დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან?**

– კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ჩემი მიზანი არ არის უბრალოდ ჩავატარო კონკურსი. ჩემი მიზანი და ოცნება ბავშვობიდან იყო, მაქსიმალურად გამეცნო სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლისთვის საქართველო. ეს ხელს უწყობს ტურნიზმის განვითარებას, პოპულარიზაციას უწევს ქვეყანას და, ზოგადად, ჩვენს კულტურას. 2015 წლიდან წელიწადში 4-ჯერ გვაქვს ასე-

თი პროექტი. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ტელეეთერების მეშვეობით საუბრობდნენ, რომ დღეს მთელი ალბანეთის, სერბეთის ყურადღება მიმართულია საქართველოსკენ და ეს უმნიშვნელოვანესი პროცესია, როდესაც ჩვენი ქვეყანა ასეთ ფოკუსში ექცევა. ერთადერთი უარყოფითი კომენტარები გიორგის მიმართ წამოვიდა ქართველებისგან. რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ. მინდა მივმართო საქართველოს: გიორგი ძალიან ღირსეული კანდიდატი იყო, მაგრამ თუნდაც არ ყოფილიყო ღირსეული კონკურსანტი, იმდენი ვიბრძოლეთ, რომ საქართველომ გაიმარჯვა, ეს ცუდია? ვიმეორებ: რამდენიმე ნეგატიური კომენტარი ისევ ქართველებისგან იყო. ისინი თარგმნიან ყველაფერს და ეს სირცხვილია. ამ ყველაფრისთვის თავიდანვე ვიყავი მზად. გიორგი რეალითი შოუ „პრაიმ ჰაუსში“ მონაწილეობდა, საზოგადოებამ ეს ძალიან კარგად იცის. დიდ მადლობას ვუხდით „პრაიმ ჰაუსს“. ვიცოდით, გიორგი მეტრეველს თუ გადავიყვანდით, ამაში შეიძლებოდა მოჰყოლოდა ნეგატიური კომენტარები.

**– პანდემიის პერიოდში, როცა ყველაფერი დაიხურა, ყველა სფეროს შეეხო მძიმე კრიზისი, მათ შორის, მოდას, რომელიც ფეხს იკიდებდა. მოდას კრიზისი ყოველთვის ჰქონდა ჩვენთან, მაგრამ პანდემიამ ალბათ ძალიან იმოქმედა.**

– თვალს ვადევნებ, რა ხდება მსოფლიო მოდის სფეროში, როგორ ხდება ადგილობრივი ხელისუფლება სიახლეებს, როგორ არიან ჩართულები ამ პროცესში. პანდემიამდე მოდის სფერო სუნთქავდა, პანდემიისას კი სასუნთქი გზები ჩაბჯაქვდა, თუმცა „კატრინი“ მაინც აკეთებდა პროექტებს კანონის ფარგლებში. გული მტკივა, რომ ჩვენ სხვა ქვეყნებში უფრო გვაფასებენ, უფრო მეტი აღიარება გვაქვს. მადლობა მინდა ვუთხრა ბევრ ადამიანს საქართველოში, მაგრამ არის





# მსოფლიო პედიის ყუჩაღღაბის სენზორი

ხალხი, რომელიც ძალიან გვტყვენს გულს. მოდის სფეროში საზღვარგარეთ ბევრად მეტი დაფასებაა, მეტი ფინანსური ანაზღაურება და მეტი მხარდაჭერაა, ვიდრე საქართველოში. ჩემთან ერთად არიან ჩემი მეგობრები: ნინი შერმადინი, ვერიკო ტურაშვილი, მარკუს მეტრეველი, გაია ნიკოლაძე, ფატუნა ბუშიძე. მე ხომ მარტო ბავშვები, მოდელები არ მიმყავს მსოფლიოს მასშტაბით, მე იქ ქართულ სიმღერას ვაუღერებ, ქართველი მომღელები მიმყავს. თქვენ მათ უნდა ჰკითხოთ ეს.

## რატომ ხდება ეს ყოველივე? რატომ არ ვინტერესდებით ჩვენს ქვეყნის წარმატებით?

– ძალიან მინდა, ირგვლივ ყველა ბედნიერი იყოს, მარტო მე ბედნიერი ვერ ვიქნები. მინდა, ირგვლივ იყოს ლამაზი, მშვიდი დღეები. თუ რამე გიჭირს, ხალხი მაშინ ლმობიერია; როცა ლხინში ხარ და ლამაზი, ბრჭყვიალა დღეები გაქვს, ქარცეცხლში ატარებენ ყველაფერს. მინდა, ხალხს მოეწონოდო, რომ სიცოცხლე ძალიან ხანმოკლეა და ხომ შეიძლება, კლავიატურასთან 24-საათიან რეჟიმში კომენტარების წერას, საკუთარი კარიერით დაინტერესდნენ? მე მქონია 39 სიცხე, ძალიან ცუდად ვყოფილვარ, მაგრამ არ გაეჩერებულვარ. რაც შენ იხილე იმ ღონისძიებაზე, მხოლოდ 3 დღე მქონდა, ყველაფერი რომ შემეკრა. ყველამ ნახა, როგორ იყო ჩანტიკნიკებული ყველაფერი. ერთი წამით არ ჩავარდნილა სცენა.

ყველაფერი გამოვა, როცა ცდილობ, მოაგვარო, იფიქრო, ლედ ეკრანზე რა გავიდეს, პარალელურად მუსიკის შერჩევა, მომღერალი, – ამ ყველაფერს აკეთებ და ერთი კვირაც არ გაქვს. ვინც ეს სფერო იცის, ყველაზე კარგად მოეხსენება, რას ნიშნავს სამოდელო ბისნესი. ყოველ საღამოს ქართულ რესტორნებში მასპინძლობ, აგემოვნებინებ ჩვენს კერძებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. ყველაფერს აკეთებ და უცებ ვიღაც გამოხტება, ისევ ქართველი და ამბობს, რატომ გაიმარჯვა გიორგი მეტრეველმა? რა თქმა უნდა, მინდა, რომ ჩატარდეს ბევრი ტენდერი, გამოიყოს ბიუჯეტი, ყველამ მივიღოთ მონაწილეობა, ვისაც ამ სფეროში სიტყვა გვეთქმის. უდიდესი სურვილი მაქვს, რომ ამ სფეროში უფრო აქტიურად დაინტერესდეს ჩვენი სახელმწიფო.

## პანდემიის პერიოდს მინდა დავუბრუნდეთ. სწორედ მაშინ, როცა ყველაფერმა მიიძინა, თქვენ მუშაობა დაიწყეთ სამეფო კარის მეჯლისის კოსტიუმებზე. თქვენ იყავით პირველი, რომელიც წახვედით და გაიტანეთ ეს კოლექცია სხვადასხვა ქვეყნის მოდის კვირეულზე. არ გაგიჭირდათ გაყინული კედლის გაღობა და ისევ აქტიურ ფაზაში დაბრუნება?

– ძალიან დიდი რისკია. მე არ ვარ დიზაინერი და არასოდეს ვიტყვი, რომ უბრალოდ გამომივიდა. შევქმენი კოლექცია, ბრენდს დავარქვი სახელი „ლუსი და ანასტასია“, ორი პრინცესა იყო ჩვენი ინსპირაცია. ჩვენს მეგობარს, მაკას დაფუკავშირდი ლონდონში, ერთად რომ გაგვეკეთებინა, შემდეგ გადაიღეს ფოტოები, მივეცი მიმართულება, რომ სამეფო კარი მიდის სტუმრად



„მინდა მიგმართო საქართველოს: გიორგი ძალიან ღირსეული კანდიდატი იყო, მაგრამ თუნდაც არ ყოფილიყო ღირსეული კონკურსანტი, იმდენი ვიბრძოლეთ, რომ საქართველომ გაიმარჯვა, ეს ცუდია? ვიბეჭდებ: რამდენიმე ნეგატიური კომენტარი ისევ ქართველებსგან იყო. ისინი თარგმნიან ყველაფერს და ეს სირცხვილია“

დრაკულასთან, ფოტოები იყო სასახლეების ფონზე, ყველაფერი განვთავსე სოციალურ ქსელში და საოცრება მოხდა – მიმინვიეს საერთაშორისო მოდის კვირეულზე. ერთ კვირაში ისევ მივდივარ საზღვარგარეთ მოდის კვირეულზე. რა თქმა უნდა, ახალი კოლექცია შევქმენი. მაშინ მოხდა საოცრება – 33 დიზაინერს შორის წლის საუკეთესო ზღაპრული კოლექციისა და წლის ახალგაზრდა დიზაინერის ტიტულებით დამაჯილდოვეს. გაცილებული ვამბობდი, რომ მე არ ვარ დიზაინერი. არ დამეინცხებდა, ერთ-ერთი მოდის კრიტიკოსი შემომიბტრიალდა და მითხრა, – არ ვიცი, შენ ხარ თუ არა დიზაინერი, მაგრამ ჩვენი რჩევაა, რომ გააგრძელო ეს საქმე, შენ გადაგვიყვანე შექსპირის ეპოქაში. ალბათ, ეს განსხვავებული იყო, რაც მათ მოეწონათ და ჩემი წარმატების ფორმულაც სწორედ ესაა. ვცდილობ, ყოველთვის განსხვავებული ვიყო, განსხვავებული დე-

ტალები მოვიფიქრო და სიახლე შევთავაზო საზოგადოებას. – ანასტასია ბაკურაძის ბოლოდროინდელ წარმატებაზე მინდა ისაუბროთ, რომელმაც საქართველო არაერთხელ ასახელა საერთაშორისო კონკურსებზე. – ბოლო პერიოდში ბავშვმა 5 საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ხუთივე მოიგო. დაჯილდოვდა სუპერგრანპრით, რომელიც საქართველოში მხოლოდ ანასტასიას აქვს. აქაც მინდა ხაზი გაუყვავო, რომ ვინც არ იცნობს ანასტასიას, მათ არ იცინათ, ალბათ, რომ ჩემი შვილი საქართველოში ჩემს ჩატარებულ კონკურსებზე არასოდეს გამყავს. გამყავს მხოლოდ საზღვრებს გარეთ და საზღვარგარეთ არა მხოლოდ ჩემი შვილი, არამედ სხვა ეროვნული კონკურსების ღირებულების შვილები და ნათესავებიც გადიან, ბავშვებზე ვსაუბრობ. არაფერს თქვას, რომ ანასტასია ეკას შვილია და ამიტომ გაიმარჯვა. 50 ქვეყანას შორის, სადაც

გერმანიის 4, რამდენიმე ქვეყნის ეროვნული ღირებულების შვილები გამოდიოდნენ, ამ კონკურსზე მხოლოდ ერთი სუპერგრანპრი გაცა და ანასტასიას ხედა წილად. ანასტასია მღერის, ცეკვავს... როცა პლანეტის კონკურსი მქონდა და რამდენიმე კონკურსანტმა დააგვიანა, მოკლე თათბირი ჩავატარე და ფუთხარი ასეთი რამ: მე მყავს 12 წლის შვილი, რომელიც 2 წლიდან სხვადასხვა კონკურსსა თუ ფესტივალის პრეზიდენტებს შორის იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს შვილს, როცა 9 საათზე რეპეტიცია ჰქონდა, 9-ის ნახევარზე დგებოდა, მეშვიდე სართულიდან ფეხით ჩადიოდა და სარეპეტიციო დარბაზში პირველი იჯდა, რომ არ შევერცხვინე და არ დაეგვიანა. როცა ანასტასია კონკურსზე გამოდის, ის საცურაო აუზებს, აკვაპარკებსა თუ ზღვას არ ეკარება – იბრძვის გამარჯვებისთვის. ის ფლობს ინგლისურს, რუსულს, სწავლობს გერმანულს; უმაღლეს



ქულებზე სწავლობს, მღერის, სამოდელო სააგენტო „კატრინისა“ და სხვადასხვა საერთაშორისო სამოდელო სააგენტოს წარმომადგენელია, ფლობს პოდიუმის ხელოვნებას. წლისა და სამი თვის იყო, როცა ჩავატარე „ბესთ მოდელო ოფ ფორჯია“, საერთაშორისო კონკურსი. მაშინ კრისტი ყიფშიძემ მოჰკიდა ხელი და გავიდა პოდიუმზე – აქედან დაიწყო, გავიდა და გავიდა. ძალიან უყვარს შრომა. კონკურსებზე ვინც წამიყვანია, ნინი შერმადინია ასეთი, 24-საათიან რეჟიმში უყვარს შრომა. არ შემიძლია არ აღვნიშნო, დღეობაში ანასტასიას გამოსვლა სიმღერა თბილისითი და ცეკვით, სადაც აფხაზურის ელემენტები იყო. არ შემიძლია არ გამოვყო „ტიფანის“ მოდის კვირეული პარიზში, ასევე კანის კინოფესტივალი, მონაკოში ჩვენება. აქ არ არის მხოლოდ პოდიუმზე გასვლა, აქ ინტერვიუ უნდა მისცე, ინგლისურ ენას უნდა ფლობდე კარგად, შენი ქვეყნის შესახებ უნდა ისაუბრო, კითხვებზე პასუხი უნდა გასცე ინგლისურ ენაზე, უნდა წარმოაჩინო ის, თუ როგორ საუბრობ, როგორ აზროვნებ.

არ დამეინცხებდა ერთი დღე, როდესაც ანასტასიამ ამბატრა „მის პლანეტაზე“, სადაც მიმდინარეობდა ინტერვიუ ყოფილთან. მან ასეთი სიტყვები თქვა: „...დაბოლოს, მადლობა ღმერთს და მადლობა დედას, გავიხველეთ ირგვლივ, რამდენი ჩემზე ლამაზი ბავშვია, რამდენი ადამიანია, რომელსაც ძალიან ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ მე მაქვს სახლი, ოჯახი, შესაძლებლობა, რომ ჩემი ნიჭი გამოვავლინო, მადლობა ღმერთს და მადლობა დედას“. ემოციებისგან ვიცლებოდი, ვიტრიალდ, როცა ანასტასიას ამ სიტყვებს ვუსმენდი.

## რთულია, ხელშეწყობის გარეშე ამ სფეროში გოგონამ ან თუნდაც ვაჟმა მიაღწიონ წარმატებას? რის ფასად შეუძლიათ ეს დაუფლდეთ?

– რა თქმა უნდა. ბევრი ანასტასიაზე ნიჭიერი, მეტად განათლებული, ლამაზი ბავშვია საქართველოში, უბრალოდ ანასტასიას მაქსიმალურად ვუწყობ ხელს. მე უფროსი შვილიც მყავს, თათული. მე, დედა, როცა ვხედავ, რომ ჩემი შვილი ძლიერია ამ სფეროში და მას ეს შეუძლია, ამიტომ ვუწყობ ხელს. ნებისმიერ ნიჭს, ეს იქნება მათემტიკის ცოდნა, სიმღერა, ცეკვა თუ სხვა რამ, უნდა ხელშეწყობა და განვითარება. ყველა დამეთანხმება, რომ თუ ნიჭის განვითარებას ხელი არ შეუწყვე, რა თქმა უნდა, ის ვერ განვითარდება ისე, როგორც საჭიროა და წინ ვერ წავა.

ანასტასია იყო პირველი ქართველი პატარა მოდელო, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქართველოში... ანასტასია იყო პირველი, როცა 2019 წელს, ნიკოლოზ ბერძენიშვილთან ერთად, ტაილანდში 103 ქვეყანას შორის მიიღო მონაწილეობა და გრანპრი ჩამოიტანა. ის იყო პირველი ბავშვი, რომელმაც უფროსი თაობის მოდელებთან ერთად მიიღო მონაწილეობა. ეს შედეგი დგება დიდი შრომის, მუდმივი მუშაობისა და, თავისთავად, ხელშეწყობის ხარჯზე.

# ფაქსიფიკირებული

თამარ როსტიაშვილი  
577 10 07 06

რამდენი ცოცხალი ორგანიზმიც არსებობს, იმდენი დაავადებაა. შესაბამისად, ანტიბიოტიკები და სხვა ანტიმიკრობული პრეპარატები თანამედროვე მედიცინის განუყოფელი ნაწილია. ისინი გამოიყენება მცენარეთა დაცვასა და ცხოველთა კვებაში. მეორე მხრივ, ამ ტიპის მედიკამენტებზე წლების მანძილზე მიმდინარე კვლევებმა აჩვენა, რომ ანტიმიკრობული პრეპარატების სისტემატური მოხმარების შედეგად, ადამიანის ორგანიზმი მათ ეჩვევა და კრიტიკულ სიტუაციებში, როცა ისინი აუცილებელია დაავადებების სამკურნალოდ და სიცოცხლის გადასარჩენად, მათ უკვე შედეგი აღარ მოაქვს. ამ სინდრომს ანტიმიკრობული რეზისტენტულობა ჰქვია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ანტიმიკრობული რეზისტენტულობა 2021 წელს მსოფლიოში 1,63 მლნ. ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა და იგი თანამედროვე ჯანდაცვის წინაშე არსებულ ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მიჩნეულია. სწორედ ამიტომ, რეკომენდებულია, ანტიმიკრობული პრეპარატები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინიშნოს, როცა სხვა საშუალებებით პაციენტის განკურნება ვერ ხერხდება. გარდა ამისა, არსებობს ძლიერმოქმედი და შედარებით სუსტი ანტიმიკრობული ნივთიერებები.

ყოველივე ეს პირდაპირ კავშირშია კვებასთან და სასურსათო კალათთან. ანტიმიკრობული პრეპარატები არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ცხოველების სამკურნალოდ და დაავადებების პრევენციისთვისაც კი გამოიყენება. ამ ნივთიერებებით გაჯერებული ქათმის დადებული კვერცხი, ძროხის რძე თუ ხორცი ასევე შეიცავს ანტიმიკრობული პრეპარატების ნარჩენებს. ასეთი სურსათის მოხმარების შედეგად კი ამ ნივთიერებებს უკვე ადამიანიც იღებს.

შესაბამისად, ანტიმიკრობული პრეპარატების გამოყენება მესაქონლეობაში მკაცრად არის შეზღუდული... კანონით, თორემ საქმე-საქმეზე რომ დგება, მწარმოებელთა უმეტესობა სულაც არ აქცევს ყურადღებას კანონმდებლობით დადგენილ სხვადასხვა ნივთიერების მაქსიმალურ ოდენობებს, რომელსაც მათ მიერ წარმოებული პროდუქტი შეიძლება შეიცავდეს. ზოგიერთი ნივთიერება, რომელსაც ისინი იყენებენ, საერთოდ აკრძალულია.

როგორც სურსათის უსაფრთხოების სააგენტოს ანგარიშებიდან ირკვევა, საქართველოს მეურნეობებში ანტიმიკრობული პრეპარატების უზომოდ გამოყენება წლების განმავლობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, სახელმწიფო მაკონტროლებელი უწყების სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) მიერ წარმოებული კვლევებით, არც ისე დიდი ხნის წინ, აკრძალული ანტიმიკრობული საშუალებები აღმოჩნდა გამოკვლეული ცოცხალი ცხოველების (320 ცხოველი) 100%-ში!

CSRDG-ს მონაცემებით, ბოლო წლების მანძილზე მდგომარეობა გაუმჯობესებულია. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სურსათის ვეტერინარიული პრეპარატების ნარჩენებზე შემოწმების 2020-2021 წლების შედეგები კონტროლის წლიურ ანგარიშებში სრულად არ ყოფილა გამოქვეყნებული. ისიც გაურკვეველია, რამდენად ზუსტი იყო 2019

წლის ანგარიში. 2021-2022 წლებში სეს-მა ვეტერინარიული ნარჩენებზე ისეთი მასობრივად მოხმარებული პროდუქტის, როგორცაა კვერცხი, მხოლოდ 20 ნიმუში შეამოწმა. მათ შორის, ძალიან მცირე იყო დიდი ფერმების პროდუქცია, რომელსაც მოსახლეობა ფართოდ მოიხმარს.

ქართველმა მომხმარებელმა არაფერი იცის ანტიმიკრობული საშუალებების შემცველობის შესახებ იმ სურსათში, რომლითაც ყოველდღიურად იკვებება და, ზოგადად, პრობლემის მასშტაბების შესახებ. პროდუქციის უვნებლობა პირდაპირ ზემოქმედებს ჩვენი და განსაკუთრებით ბავშვების ჯანმრთელობაზე.

„პაციენტთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციამ“ CSRDG-ს ექსპერტთა კვლევაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა, რა სახის ფალსიფიცირებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი საქართველოს სასურსათო ბაზარზე. ზოგადად, საკვები პროდუქტების ფალსიფიკაციის დროს ხდება მისი ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის შეცვლა ანუ გაყალბება. ამ დროს, მთლიანად იცვლება სურსათის ხარისხი, ვინაიდან ხორციელდება მისი ჩანაცვლება სხვა დასახელების ანალოგით, რა თქმა უნდა, გარკვეული მსგავსების შენარჩუნებით.

ჩამონათვალი, თუ რა სახის ფალსიფიცირება ხდება საქართველოს ბაზარზე:

**სასურსათო კალათის ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტით დავიწყებული.** პირველი ხარისხის ფქვილით პურის, პურფუნთუშულისა და მაკარონის ნაწარმის რეალიზაცია, როგორც უმაღლესი ხარისხის ფქვილით დამზადებული თვის, ხორციელდება შემდეგნაირად: მწარმოებელი ფერის მისაცემად იყენებს კალიუმის ბრომატს (E 924a), რომელიც არც საერთაშორისო და არც ჩვენი კანონმდებლობით სურსათში არ არის დაშვებული. მიზეზი ის გახლავთ, რომ კალიუმის ბრომატი ნაწილობრივ შლის ვიტამინებს – B1-ს, PP-ს და ნარმოქმნის არასასურველი თვისებების მქონე ნაერთებს. ეს უკანასკნელი ზიანის მომტანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის და, ზოგადად, ცოცხალი ორგანიზმებისთვის.

ამ სახის ფალსიფიკაციას შესაძლებელია მივაკუთვნოთ პურის წარმოებისას საფუარის დიდი რაოდენობით ან სხვადასხვა სახის გამაფხვიერებლების გამოყენება, რის შედეგადაც ტექნოლოგიური პროცესის დრო მკვეთრად მცირდება. ასეთი გზით მიღებულ პურს არ აქვს გამომცხვარი პურისთვის დამახასია-



## რამდენად უსაფრთხოა საქართველოს მთავრობა HACCP-ის დანერგვას?

ათებული პრობლემა და გემო. შეიძლება იგივე კატეგორიის მივაკუთვნოთ კარტოფილის სახამებელი. მაგრამ აქაც – მომხმარებელი შეიძლება შეცდეს, ვინაიდან ხშირად მის ნაცვლად სიმინდის, ხორბლის ან ბრინჯის სახამებელი იყიდება. ეს კი თვისობრივად განსხვავებული პროდუქტია, გემოზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თუმცა კარტოფილის, ბრინჯის, სიმინდისა და ა. შ. სახამებლები გარეგნულად აბსოლუტურად იდენტურია.

2017-2025 წლების ჩათვლით მთავრობა იოდიზებული მარილის კამპანიაში ჩართული (გაეროს სასურსათო პროგრამის ფეიცი). თუმცა ქვეყანაში არაფერია ამომცხვარ, სინამდვილეში მართლა იოდიზირებულ პროდუქტს მივირთმევთ თუ არა. საქმე ის არის, რომ თვის გასვლის შემდეგ იოდიზირებული მარილი მთლიანად კარგავს მისთვის დამახასიათებელ სამკურნალო და პროფილაქტიკურ თვისებებს. 1 ტონა მარილის ნედლეულის იოდიზებისთვის რამდენიმე ათასი ლარი იხარჯება. სურსათის უვნებლობის სააგენტოს კი ჯერჯერობით ეს სეგმენტი არ შეუწოდებია.

ახალი წელი ახლოვდება და კარგი იქნება, თუკი სეს-ი (სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო) საქართველოს ქსელში რეალიზაციაში გასული თაფლით დაინტერესდება. უკვე ექსპერტებიც არ მალავენ იმ ფაქტს, რომ მონოფლორული თაფლის ნაცვლად, პოლიფლორული

თაფლის მაღალ ფასად გაყიდვა ჩვეულ მოვლენად იქცა. პოლიფლორული ნაცვლად კი იყიდება ცვარტკბილის თაფლი. ეს უკანასკნელი თაფლი არ არის, უფრო ნარევია, რომელიც თავისი ბიოლოგიური ღირებულებით მკვეთრად ჩამოუვარდება ნატურალურ თაფლს.

**რაც შეეხება ჩაის** – ყველაზე ხშირად მაღალი ხარისხის ჩაის ჩანაცვლება ხდება დაბალი ხარისხის

ცვლელით – სხვადასხვა მცენარის ძირებით, თესლით, ნაყოფით, რომლებიც მოხალისის დროს იღლება ყავისთვის დამახასიათებელ არომატს. მაგალითად, ყავის მარცვალი ჩანაცვლებულია ვარდკაჭყით (ციკორი) და რიგ შემთხვევებში ეს ინგრედიენტები მითითებულიც არის შეფუთვაზე. ასეთი ყავა, ცხადია, არ შეიცავს კოფეინს და ხასიათდება დაბალი ფიზიოლოგიური აქტივობით.

**ვაშლის ძმარი ღვინის ძმარზე 2,8-ჯერ ძვირი ღირს დამზადების ტექნოლოგიიდან გამომდინარე.** ფალსიფიცირების ერთ-ერთი ფორმაა ვაშლის ძმრის ნაცვლად ჩვეულებრივი ღვინის ძმრის გაყიდვა. ამ შემთხვევაში, ღვინის ძმარს შეიძლება დამატებული ჰქონდეს ვაშლის წვენი მცირე რაოდენობა. ეს საშიშია, ვინაიდან, ენდოკრინული დაავადების მქონე ადამიანებისთვის, მაგალითად, დიაბეტისთვის, მარტო ვაშლის ძმარი რეკომენდებული. მისი ფალსიფიკაციის მიღებამ შესაძლებელია კუჭის მუავიანობის მკვეთრად მომატება გამოიწვიოს, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება გლიკემიურ ინდექსზე.

**განსაკუთრებით საშიშია უალკოჰოლო სასმელების – ლიმონათების, წვენიების და ა. შ. ფალსიფიკაცია,** როდესაც გაყალბებისთვის იყენებენ შაქრის შემცველებსა და ხელოვნურ საღებავებს. როგორც ცნობილია, შაქრის შემცველების გამოყენება, ძირითადად, რეკომენდებულია დიაბეტით დაავადებულ-



პროდუქტით. ფოთლოვანი ჩაი იცვლება ნამტვრევით და ზოგჯერ ჩაის მტვერითაც.

**უკეთესი მდგომარეობა არც ყავის კუთხით გვაქვს.** ყველაზე კარგი ვარიანტია, როდესაც ერთი (შედარებით მაღალი) კატეგორიის ყავა იცვლება დაბალხარისხიანით. ამ დროს, ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ! ქართული ბაზარი დღეს უხვად არის გაჯერებული ყავის შემ-

# პროდუქციის სხელი ათეული

თათვის. ბავშვებში მათმა ხშირმა მოხმარებამ კი შესაძლებელია, ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევა გამოიწვიოს.

**ალკოჰოლურ სასმელებში – არაყი, ღვინო, კონიაკი – წარმოებისას არაკეთილსინდისიერი მწარმოებელი სინთეზური ეთილის სპირტის იყენებს,** რამაც სხვადასხვა ხარისხის მონამვლა შეიძლება გამოიწვიოს.

**რაც შეეხება ხორცპროდუქტების ფალსიფიცირებას:** ამ შემთხვევაში საუბარია არა ხორცზე, არამედ მისგან დამზადებული ნახევარფაბრიკატების ტოტალურ გაყალბებაზე. ხორცის ნაცვლად იყენებენ სხვა ნედლეულს – სოიას ცილას, სოიას იზოლატებს, ღორის ტყავის ემულსიას, ძვლის ჰიდროლიზატებს, სუბპროდუქტებსა და სხვ. ასევე ისეთ შემავსებლებს, როგორცაა სახამებელი, კრისტალური ცელულოზა, კარაგინანები და მისი მარილები და სხვა სასურსათო პროდუქტების დანამატები. ხორცი ორგანიზმისთვის აუცილებელია, როგორც ცილების, ცხიმების, ნახშირწყლებისა და ვიტამინების წყარო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცილები, რომლებიც ახდენენ ზრდის, სქესობრივი მომწიფებისა და შობადობის სტიმულირებას. მისი შეცვლა დაბალი ფიზიოლოგიური თვისებების ან მით უმეტეს, სხვა შემცველებით და მათი ხშირი მოხმარება ძალიან ცუდად აისახება დამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით მოზარდებზე.

**სოსისები, ძეხვები, ფერმენტირებული შაში –** ხარისხობრივი ფალსიფიკაცია ხდება პროდუქტის რეცეპტურის დარღვევით ან მასში სხვადასხვა საკვები და არასაკვები დანამატის შეტანით, რომლებიც აუმჯობესებენ პროდუქტის გარეგან სახეს, მაგრამ ამცირებენ ხარისხს. გაყალბების კატეგორიას განეკუთვნება ძეხვის შებოლილი ნაწარმი მომწიფების პროცესის გარეშე. საქმე ის არის, რომ შებოლილი ძეხვების წარმოების დროს პროდუქტია გადის დაყოფნა-შრობის ხანგრძლივ სტადიას – დაახლოებით, 20-30 დღე. სწორედ ამ პროცესში წარმოიქმნება ამ ასორტიმენტისთვის დამახასიათებელი არომატი და გემო, რაც მთავარია, ხდება შომა. ტექნოლოგიური პროცესის შეკვეცის შედეგად კი მენარმე არა მარტო პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო დროსა და აქედან გამომდინარე, თვითღირებულებას ამცირებს, არამედ მაღალი ტენიანობის ხარჯზე ნონაში იგებს. ეს კი ძალიან საშიშია, იმიტომ რომ ასეთ პროდუქტში ძალიან ადვილად ვითარდება მიკრობიოლოგიური დაენიანება, რომელიც შეიძლება ადამიანის მონამვლის მიზეზი გახდეს.

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისეთი დანამატი, რომელიც თითქმის ყველა ფალსიფიკაციის დროს გამოიყენება – წყალი! გაგვიკვირდებათ და წყალი ხარისხობრივ ფალსიფიკაციაში გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანამატია. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება იგი თხევადი პროდუქტების განსაზღვრულად. შეფერილი სასმელების განსაზღვრისას ამ უკანასკნელს ხშირად უმატებენ ხელოვნურ



**„ვაშლის ძმარი ღვინის ძმარზე 2,8-ჯერ ძვირი ღირს დამზადების ტექნოლოგიიდან გამომდინარე. ფალსიფიცირების ერთ-ერთი ფორმაა ვაშლის ძმრის ნაცვლად ჩვეულებრივი ღვინის ძმრის გაყიდვა. ამ შემთხვევაში, ღვინის ძმარს შეიძლება დამატებული ჰქონდეს ვაშლის წვენი მცირე რაოდენობა. ეს საშიაშია, ვინაიდან, ენდოკრინული დაავადების მქონე ადამიანებისთვის, მაგალითად, დიაბეტისთვის, მარტო ვაშლის ძმარია რეკომენდებული. მისი ფალსიფიკაციის მიღებამ შესაძლებელია კუჭის შეჯავანების მკვეთრად მომატება გამოიწვიოს, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება გლიკემიურ ინდექსზე“**

საღებავებს და გემოვან დანამატებს ნატურალური ფერისა და გემოს მისაღებად. ბევრ პროდუქტში წყლის დამატებას თან სდევს პროდუქტში ისეთი კომპონენტების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჭარბი ტენის შთანთქმას. ასე მაგალითად, ძეხვეულში წყლის დამატებისას მასში შეჰყავთ სახამებელი, უელატინი, პექტინი და სხვა, ხოლო შოკოლადის ნაწარმის ან მინანქრის ტენიანობის გაზრდის დასაფარავად პროდუქტებს ამატებენ ლეციტინს, ფოსფატიდებს ან მათ კონცენტრატებს.

თუ სიას შევადგენთ და რეიტინგის მიხედვით დავლაგებთ პროდუქტებს, ალკოჰოლური სასმელები განეკუთვნებიან იმ პროდუქტების რიცხვს, რომლებსაც ყველაზე ხშირად აყალბებენ. ექსპერტების აზრით, არც ერთი ალკოჰოლური სასმელი არ ფალსიფიცირდება ისე ხშირად, როგორც ღვინო. და კიდევ უფრო ხშირად ფალსიფიცირდება განსაკუთრებით მაღალი ხარისხის სამარკო და ადგილკონტროლირებადი ღვინო, რაც განპირობებულია მასზე არსებული დიდი მოთხოვნით.

**ღვინოს შემდეგ მეორე ადგილზე დგას კარაქის ფალსიფიკაციის ხედავითი წილიც,** რაც მასზე ასევე მაღალი მოთხოვნით არის განპირობებული. ამ ორი პროდუქტის ფალსიფიცირება სტაბილურად მომგებიანია არაკეთილსინდისიერი მწარმოებლისათვის. კარაქის ფალსიფიკაციის გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს რძის ცხიმის მყარი მცენარეული ცხიმით შეცვლა, რისთვისაც ძირითადად გამოიყენება ქოქოსის, პალმის ან ჰიდროგენირებული ზეთები. ჰიდროგენირებული ცხიმით კარაქის წარმოების დროს მიმდინარე გარდაქმნებისას შესაძლებელია წარმოიქმნას ე. წ. ტრანსცხიმები, რომლებიც უცხოა ადამიანის ორგანიზმისთვის და ამიტომ იგი ვერ იყენებს მათ ენერჯის წყაროდ ან პლასტიკურ მასალად. ტრანსცხიმები არ შეითვისებენ ორგანიზმის მიერ, ისინი ბლოკირებას უკეთებენ საჭმლის მომწიფებელ ფერმენტებს და ორგანიზმი საჭირო ნივთიერებებს ვეღარ იღებს. ხდება ტოქსინების დაგროვება და უჯრედის პათოლოგიების წარმოქმნა.

ზოგჯერ, მომხმარებლის შეცდომას შეეყვანის მიზნით, ეტიკეტზე მითითებულია, რომ ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, კერძოდ, კარაქი, არ შეიცავს ქოლესტერინს. ეს არ შეიძლება შეესაბამებოდეს სიმართლეს, რადგან კარაქიდან ქოლესტერინის მოშორებისთვის საჭიროა პროდუქტის ქიმიური რეაგენტებით დამუშავება. ამ პროცესის შემდეგ კარაქი საკვებად უფარგისი ხდება.

**შედარებით „მსუბუქი“ პრობლემის წინაშე დგას მცენარეული ცხიმების, კერძოდ, ზეთების სფეროც.** ზეთების ეტიკეტზე რიგ შემთხვევებში მითითებულია, რომ პროდუქტში „არ შეიცავს ქოლესტერინს“. თუმცა მცენარეული წარმოშობის ზეთები ისედაც არ შეიცავენ ქოლესტერინს. ანუ ტყუილი აქ ერთგვარად რეკლამის იარაღად არის გამოყენებული – მხოლოდ მომხმარებლის მისაზიდად გამოიყენება.

**როგორ ებრძვის ფალსიფიკაციას სახელმწიფო? შევთანხმდეთ, რომ არ ებრძვის.** მაგრამ მთავრობის მხრიდან უმოქმედობა კიდევ



კარგი ვარიანტია. საქმე ის არის, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალი წლის მიჯნაზე გამოვიდა ინიციატივით, ხარისხის შემოწმება გადავადდეს კიდევ რამდენიმე წლით. ის, რომ გადავადდების შემთხვევაში დიდი ზიანი მიადგება საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში მიმდინარე რეფორმას და ამ მიმართულებით ევროკავშირთან დაახლოების პროცესს, ეს, რა თქმა უნდა, არავის ადარდებს.

აი, ასე! ევროკავშირის მიერ რეკომენდებული HACCP-ის სისტემა (მისი მიღებისა და რატიფიცირების გარეშე საქართველოს კანდიდატის ნოდებასაც არავინ მისცემს) პარლამენტშია წარდგენილი. საინიციატივო განცხადებაში ვკითხულობთ: სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) გამოდის ინიციატივით, გადავადდეს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის დანერგვა.

არადა, HACCP-ის დანერგვის მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობაში 2006 წელს შევიდა. ეს ვალდებულება, ასევე გათვალისწინებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, როგორც ერთ-ერთი პირველი, საბაზისო ნაბიჯი სურსათის უვნებლობის სისტემის რეფორმირებისთვის. ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება, ჯერ კიდევ, 2015 წელს იყო დადგენილი. გეგმა არ შესრულბულა და მოთხოვნის დარღვევისთვის სანქციები არ დაწესებულა. ამჟამად HACCP-ის დანერგვის ვალდებულება მენარმეთა შედეგად ვჯუფებზე ვრცელდება: კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, რომლებიც საცალო ვაჭრობის პუნქტში ახორციელებენ სურსათის წარმოებას და ისინი, რომლებიც ახორციელებენ ექსპორტისთვის განკუთვნილი თხილის გულისა და გადამუშავებული თხილის გულის დამზადებას. ყველა სხვა ბიზნესსექტორისთვის HACCP 2023 წლის პირველი ივნისიდან უნდა გამხდარიყო სავალდებულო, ესენი არიან, მაგალითად, შემდეგი პროდუქტის წარმოებლები: პურ-ფართი შეულისა და საკონდიტრო ნაწარმის, ნატურალური და მინერალური წყლის, უალკოჰოლო სასმელების, მცენარეული პროდუქტებისგან დამზადებული კონსერვების, მცენარეული ნედლეულიდან მზა სურსათის წარმოების და სხვა.

HACCP-ის სავალდებულობის გადავადება 16 წლის მანძილზე სწორედ იმიტომ ხდებოდა, რომ მენარმეებს საკმარისი დრო ჰქონოდათ მისი მოთხოვნების შესრულების მოსამზადებლად. ასეთი ხანგრძლივი დროის მოხვედრად, შემდგომი გადავადების ერთადერთ არგუმენტად სეს-ი კვლავ იმას ასახელებს, რომ შპს-ის დანერგვა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ბიზნესსექტორებს კიდევ მიეცეთ ვადა სისტემის დასაწერად.

არადა, HACCP-ის საყოველთაო დანერგვის გარეშე შეუძლებელია, ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სისტემა შეიქმნას.

# როგორ უნდა გადაწყდეს

**მაკა მოსიაშვილი**  
599 97 25 55

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ენმ-ს თავმჯდომარის მოადგილე იმედა კველიშვილის შეფასებით, როცა ვმუშაობთ ქალაქის გენგეგმაზე და გვინდა მრავალსართულიანი შენობების აშენება, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ თელავი ისტორიული ქალაქია და უნდა გვახსოვდეს, რატომ არ არის მრავალსართულიანი შენობები აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში...

**იხილეთ კავშირები:**



**„ასიიანი ყველაზე პასიური სისხეაა, როგორც ბიუჯეტიდან თანხას ჭამს“**

რა არის ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაკლი და როგორ უნდა დაგეგმილობოთ მას? სად უნდა დაგეგმილობოთ ფული? რა მიმდინარეობა აუცილებელი საკადრო გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს მერმა იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტის რამდენიმე მილიონი გამოთავისუფლდეს? როგორ უნდა დაგეგმილობოთ გლეხს სოფლად? – ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ „ქრონიკა“ ესაუბრება იმედა კველიშვილს:

– 2023 წლის ბიუჯეტი არც ერთ მოაზროვნე ადამიანს არ უნდა მოეწონოს. პირველ რიგში, გაზრდილია ხარჯები, კერძოდ ა(ა)იპების (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი). მაგალითად, გასულ წელს საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის (ავტობუსებს ვგულისხმობ) 800 000 ლარის სუბსიდია გვექონდა გამოყოფილი და მგზავრობის ფასი დაეწივით, რადგან სადღაც 30-40%-ს მოგვისხნიდა ბიუჯეტის თანხას.

და მაშინ როგორც ვიანგარიშეთ, ბიუჯეტიდან დაახლოებით უნდა დაგეგმილობოთ, საშუალოდ, 600 000 ლარი, დანარჩენი კი იქნებოდა მგზავრობის დანებსებული თანხით შეესება.

და რა გვითხრეს წელს 2023 წლის ბიუჯეტის განხილვისას? რომ ავტობუსების შენახვა მილიონს გასცდა.

**– უფრო დააკონკრეტეთ, მკითხველისთვის მარტივად გასაგები რომ იყოს.**

– თელავის საკრებულომ დაანერგა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადასახადი, რათა ბიუჯეტს შეეძლებოდა და ნაცვლად იმისა, რომ შემდეგი წლიდან ბიუჯეტში უფრო ნაკლები დაგეგმილობოდა, ანუ რეალური ათასი ლარის ნაცვლად 600 000 ლარი, აი, ამ ყველაფრის ნაცვლად თელავის მერიამ მიიჩნია, რომ ტრანსპორტის შესახებ სჭირდება მილიონზე მეტი, რაც ბიუჯეტიდან უნდა გახარჯოს. ანუ ვამბობ, რომ ყველაფერს ვაკეთებთ უკუღმა!

**– გასაგებია. თქვენ საკრებულოს სხდომაზე ამბობდით, რომ შესაძლებელი იყო თანხების გამოთავისუფლება ისეთი ფორმით, რომ ამით ბიუჯეტი არათუ დაზარალდებოდა, არამედ უფრო სწორად გაიხარჯებოდა. რას გულისხმობდით?**

– ა(ა)იპები ყველაზე მახინჯი სისტემაა, რომელიც ბიუჯეტიდან თანხას ჭამს. ავიღოთ საბიბლიოთეკო გაერთიანება, – აბსოლუტური საპნის ბუშტი, რომელსაც არანაირი დატვირთვა არ გააჩნია გარდა ერთისა, – თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკის, – სადაც, ასე თუ ისე, ბავშვები დადიან, ნიგნი

გამოაქვთ და იქ ადგილზეც რაღაცას კითხულობენ. მთელი მსოფლიო გადასულია ონლაინ ბიბლიოთეკებზე. კარგი, ჩვენი დაბალი განათლების გამო ვერ გადავიდვართ. ბიუჯეტიდან 400 000 ლარს ითხოვენ, აქედან 80% ხელფასებში მიდის, ნიგნების შეძენაც კი არ გვაქვს ზუსტად განერილი. ან რის მიხედვით იძენენ ნიგნებს, ან რა პრინციპით არჩევენ?!

მივყევით თანმიმდევრულად: თითო ა(ა)იპს ჰყავს თითო ბუღალტერი, ჰყავს პიარმენეჯერი, ჰყავთ იურისტები, ოღონდ ისეთი იურისტები, რომლებიც სასამართლოში პროცესზე ვერ გადიან. ა(ა)იპს რამე რომ გაუჭირდეს, სასამართლოში ხომ უნდა მივიდეს? ეს იურისტები არ მიდიან და ამიტომ ა(ა)იპები ქირაობენ სხვა ადვოკატს.

აი, რა ჯანდაბად უნდათ ასეთი იურისტი?

ვერც ერთი ა(ა)იპი ვერ წარმოადგენს ვერც ერთ დოკუმენტს, რომელიც იურისტს გავლილი აქვს და ხელი მოაწერა საერთოდ.

ასევე აღმინისტრაციული წარმოება საერთოდ არ გააჩნიათ ამ ა(ა)იპებს, უბრალოდ, მათი დანერგვილი და გაკეთებული ბრძანებები რომ ნახოთ, შეიძლება იტყვიან, რა შინაარსის ტექსტებს წერენ. ხომ შეიძლება, მაგალითად, ოთხი სპორტული ა(ა)იპი გააერთიანო, რომელიც არის ცალ ცალკე დიდი მონსტრი – 50-50 კაცს ვინახავთ, მინიმუმ, თითო ა(ა)იპში, თან კარგი ხელფასით. აქ საუბარია ათასლარის ხელფასებზე. ხომ შეიძლება, ერთ ორგანიზაციად გაკეთდეს, რომელიც შეითავსებს ყველა სექციას და მას ეყოლება 4 დირექტორის ნაცვლად ერთი. ანუ დამატებით ეს მმართველობითი რგოლები, რომელიც ამოვარდება, დიდი შეღავათი იქნება ბიუჯეტისთვის, რადგან რამდენიმე ასეულ ათასობით ლარზე საუბარი. მაგალითად მინდა მოვიყვანო მუსიკალური სკოლები, რომლებიც, ძირითადად, არაფრის შესყიდვას არ აწარმოებენ და ბუღალტერი უნდათ მხოლოდ ხელფასების გასაცემად. ანუ როცა შეუძლია ეს გააკეთოს ერთმა ბუღალტერმა, აკეთებს ხუთი ბუღალტერი. მხოლოდ ამ ხუთი სრულიად უსარგებლო კადრის ხელფასი რომ ვიანგარიშოთ, სადღაც ავალთ 60 000 ლარზე. და ყველა ა(ა)იპის ბუღალტერი რომ დავამატოთ, 120 000 ლარია ამათი ხელფასი წელიწადში, როცა შეიძლება გვეყავდეს ორი ბუღალტერი და დავხარჯოთ მხოლოდ 20 000 ლარი 120 000 ლარის ნაცვლად. ორი ბუღალტერი დავამატოთ იქ ცენტრალურ ბუღალტერიაში. სანაცვლოდ, ამ გამოთავისუფლებული თანხით შეგვიძლია გავაკეთოთ რამე კარგი გზა, მაგალითად,

წინანდალში სკოლასთან მისასვლელი გზა ან შევიდინოთ დამატებითი ნაგავმზიდი ავტომობილი.

**– რა გამოსავალს ხედავთ?**

– ინტერფრაქციული კომისია უნდა შეიქმნას, სადაც „ოცნებაც“ იქნება და „ნაციონალური მოძრაობაც“, სხვა დაინტერესებული პირებიც იქნებიან. ერთად გავიროთ, თუ რა სისტემით უნდა დაფინანსდეს ა(ა)იპები.

**– ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, არ მოგონოთ „სათნოების სახლის“ მუშაობაც. მიზეზი?**

– ახლა რაც შეეხება „სათნოების სახლს“: მაქვს ინფორმაცია, რომ „სათნოების სახლში“ საკვების მიმღებთა სიებში ისეთი ადამიანები ირიცხებიან, რომელთაც თავად თუ მხოლოდ პენსია აქვთ, მათი შვილები კარგ ანაზღაურებად სამსახურებში მუშაობენ, მარტივად რომ ვთქვათ, ფულიანი შვილები ჰყავთ. ხომ რთული სათქმელია, მოხუცია და საქმელი როგორ უნდა დაეაყვადროთ მათ მშობლებს, მაგრამ ჩვენ უნდა ვისწავლოთ კანონის ენა. დაგეგმილობოთ ასეთ

მოხუცებს არა საკვებით, არამედ იურისტით. ანუ მათ შვილებს უნდა დაეკისროთ აღიშენი, – მე ამის მომხრე ვარ! როცა შენს შვილებს შეუძლიათ, რომ შეგინახონ და ისინი ამის გაკეთებაზე უარს ამბობენ, მაშინ მუნიციპალიტეტმა კი არ უნდა გამოგვევოს, არამედ დაგვხმაროს იურისტით და შენს შვილს უნდა დაეკისროს აღიშენის გადახდა. ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოქვეყნდეს ასეთი შვილების სიები, რომ შერცხვეთ. საკუთარ მშობლებს თავად არ ინახავენ, სამაგიეროდ, სახელმწიფოს ეუბნებიან, რომ პენსიაც მისცეს და ჭამითაც მან აჭამოს.

**– როგორ შეაფასებდით კულტურის ცენტრების მუშაობას?**

– რაც შეეხება ხელოვნებას, კულტურის ცენტრებში რა ფულებიც მიდის, საიდან და რატომ მიდის საერთოდ ეს ფულები? მაგალითად, ბიუჯეტში ვერც ერთი პროექტის დასაბუთებას ვერ ვხედავ, მხოლოდ ზოგადი სიტყვებია, – ამის განვითარებისთვის, იმის განვითარებისთვის...

რას ნიშნავს ეს „განვითარება“, რომელზედაც იხარჯება მილიონი ლარი, მიდი და გაიგე...

რა განვითარება საერთოდ?! რა საჭიროა ამდენი გუნდისა და კაპელის შენახვა?! კი ბატონო, ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ერთი ანსამბლი გვექონდეს და შევინახოთ, მეტი რაღად გვინდა ამდენი ანსამბლი?

მარტო მომღერალთა შვიდი ანსამბლი გვეყავს!

ვსვამ კითხვას, – რად გვინდა ეს ანსამბლები?!

ვინმე ხომ ვერ ახსნის, ექიმი რატომ არ არის სახელმწიფო მოხელე? – ექიმი, რომელიც ადამიანთა სიცოცხლეზე პასუხისმგებელია, ჩვენს ჯანმრთელობაზე, სახელმწიფოს ძირითად წყაროზე, ადამიანზე პასუხისმგებელი. ამ არგუმენტით, შეიძლება ექიმი გავხადოთ სახელმწიფო მოხელე და მივცეთ ხელფასი? რაღაც დონის დაფინანსებას ყველგან აკეთებს სახელმწიფო ასეთი კამერული ანსამბლებსა ამერიკაშიც, ევროპაშიც მაგრამ ჩვენ ვინახავთ მათი მოთხოვნების 100 პროცენტს. ამდენი თანხის საპასუხოდ რამე კონცერტი მაინც რომ გააკეთონ, რაღაც გვაჩვენონ, გვასიამოვნონ, უბრალოდ ადგენ და გაიძნევენ, როცა ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, მაგრამ არა! – ჩვენ ვიხდით და ისინი ხასიათის მიხედვით მღერავენ. ამ ხალხის მხოლოდ ერეკლეობაზე გამოყვანა და სიმღერა არაფრის მომცემი არ არის!

**– თუ არსებობს სტატისტიკა ან ა(ა)იპებმა ფრაქციაში თუ მოიტანეს მუშაობის ბოლო ერთი წლის ანგარიში?**

– საერთოდ ეჭვი მეპარება, რომ ასეთი ანგარიშები სადმე მაინც არსებობდეს. მესმის, რომ ეს იქნება ძალიან მძიმე რეფორმები. მერი, რომელიც ამას გააკეთებს, რომ ამ მუქთამჭამელ ხალხს ამოჰკვეთავს, გააუქმებს ამ ა(ა)იპებს, შეამცირებს შტატებს ან საერთოდ ლიკვიდაციას გაუკეთებს, შეიძლება მას ძალიან არაპოპულარულ ნაბიჯებად შეუფასონ! ვინც ამას შეძლებს, ის იქნება გმირი, მაგრამ ეს რთული გასაკეთებელია. ტურიზმის განვითარება უნერიათ წელს პრიორიტეტად: განვითარება

**„არ ვარგა სავენახე გზები! არ ვარგა სარწყავი სისტემა! არ არსებობს ვენახების სარწყავი სისტემა. ხომ შეიძლება, ერთხელ და სამუდამოდ ამ ხალხს ეს გაუწყეთოთ?!“**



# გუჩთაგჷაგელი აცაიგეგი-ს პროგლეგა?

ოთ, მოვანყოთ ციგეგომბორის კალთებზე სალაშქრო ბილიკები, ნინანდალში სოფლის თავში შეგვიძლია ფეხით სავალი ბილიკები გავაკეთოთ... სკვერი მოვანყოთ! ნინანდალში შეგვიძლია გავაკეთოთ ახალი ბაღი, კისისხევის პირზე გვაქვს მუნიციპალიტეტს ადგილი, სადაც დასასვენებელ პარკ ნადიკვარზე უკეთესს შევქმნიდით. მუნიციპალიტეტში პროექტი შემოვიტანეთ, მაგრამ რა? მაგ მინას გაყიდვანი! აგერ ვიქნებით მეც და თქვენც!

**- ანუ თქვენ ითხოვდით სკვერის გაკეთებას მოსახლეობისთვის და მაინც გაყიდვანი?**

- კი, ვინმე ბიზნესმენზე გაყიდვანი. არა და, აი, რას ვთავაზობ: ნინანდალში ჭავჭავაძის მუზეუმში იყო დრო, ვისაც უნდოდა, შედიოდა, ახლა ფასიანია. ასეთივე სკვერი უნდა გავაკეთოთ, რომელიც მხოლოდ ნინანდალელებისთვის კი არ იქნება, არამედ აქ დაისვენებს თელაველიც და მოსული ტურისტიც. ვამბობ, გვაქვს ადგილი, სადაც განათება უნდა შეიყვანო და ჩადაგა სკამები, მერე თავისით კერძო ბიზნესიც დაინტერესდება და საზაფხულო კაფეც გაკეთდება...

**- როგორ არის სოფლად გლეხი?**

- ძალიან ცუდად! არ ვარგა სავენახე გზები! არ ვარგა სარწყავი სისტემა! არ არსებობს ვენახების სარწყავი სისტემა. ხომ შეიძლება, ერთხელ და სამუდამოდ ამ ხალხს ეს გავუკეთოთ?! ხალხს აქვს 2, 5, 10 ჰექტარი გაშენებული ვენახები და არ აქვს წყალი, დგანან და უყურებენ ბუნებას, როდის მოწვიმს, რომ ეშველოთ. ამიტომ გვჭირდება სარწყავი სისტემის გაკეთება, ასევე საჭიროა ვენახამდე, ბაღჩამდე მისასვლელი გზები გაკეთდეს გლეხებისთვის, ვინც მართლა მინას არის მიჯაჭვული და ამ ქვეყნის დოვლათის ქმნის. ამ ხალხს სული უდგას სოფელში მინაზე მუშაობით და ხომ შეიძლება, ამით დავეხმაროთ? - ეს არის გზა და წყალი! ძალიან უჭირთ ადამიანებს. ამ რამდენიმე ხნის წინ წავიკითხე კვლევა, რომ ბავშვები არ მიჰყავთ ექიმებთან! ანუ ექიმთან მისვლის კი არ ეზინაოთ და იმ ერთ ვიზიტში კი არ ერიდებთ თანხის გადახდა, მერე რომ დაწერს ექიმი დასკვნას და გაუწერს რეცეპტს, აი, მაგის ეზინაოთ, რადგან უბრალოდ ვერ უყიდის! ასეთი მონაცემები ჯგუფები გვყავს და მუნიციპალიტეტმა წამლების ოცი პროცენტი მაინც უნდა დააფინანსოს. არიან პენსიონერები, რომლებსაც მთელი თავისი პენსია მისდით წამლებში, რამე შეღავათი უნდა გავუკეთოთ ასეთ ხალხს.

**- რას ფიქრობს თელავის საკრებულო გენერალურ გეგმაზე?**

- რაც შეეხება გენგეგმას! ერთხელ და სამუდამოდ მოიტანონ ეს გენგეგმა, დადონ და გადავხედოთ! მე მაგალითად არ ვიცნობ ამ გენგეგმას. ვამბობ, ჩემდა სამარცხვინოდ არ ვიცი, რა წერია ქალაქის გენერალური განვითარებისა და განაშენიანების პროექტში. შემოვიდეს ეს გენერალური გეგმა, და-



**„თელავის საკრებულომ დააწესა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადასახადი, რათა ბიუჯეტს შეშველებოდა და ნაცვლად იმისა, რომ შემდეგი წლიდან ბიუჯეტში უფრო ნაკლები დაგეგმარა, ანუ რგასი ათასი ლარის ნაცვლად 600 000 ლარი, აი, ამ ყველაფრის ნაცვლად თელავის მერიამ მიიჩნია, რომ ტრანსპორტის შესანახად სჭირდება მილიონზე მეტი, რაც ბიუჯეტიდან უნდა გახარჯოს. ანუ ვამბობ, რომ ყველაფერს ვაკეთებთ უკულმა!“**



**„რაც დონის დაფინანსებას ყველგან აკეთებს სახელმწიფო ასეთი კამერული ანსამბლებისა ამერიკაშიც, ევროპაშიც მაგრამ ჩვენ ვინახავთ მათი მოთხოვნების 100 პროცენტს. ამდენი თანხის საბასუხოდ რამე კონკრეტი მაინც რომ გააკეთონ, რაღაც გვაჩვენონ, გვასიამოვნონ, უბრალოდ ადგნენ და გაინძრნენ, როცა ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, მაგრამ არა! - ჩვენ ვიხდით და ისინი ხასიათის მიხედვით მღერაინ“**



დოს და განვიხილოთ!  
თუმცა მანამდე უნდა გვახსოვდეს, ვაშინგტონში არ ამენებინებენ კაპიტოლიუმზე მალალ სახლს, ანუ ჩვენ ვსაუბრობთ ამერიკის დედაქალაქზე. თავი-ბოლო ვაშინგტონი არის 250 წლის, მაგრამ ისინი თავის ისტორიას უფროთხილდებიან, შესაბამისად, ჩვენც ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ისტორია არ გავაუფერულოთ? მე, მაგალითად, როგორც ინჟინერს, არაფერიც არ მესმის, მაგრამ უნდა მოვიწვიოთ დარგის სპეციალისტები, მოვუსმინოთ, შევავასოთ მათთან ერთად, დავხარჯოთ ამისთვის თანხა. ამაში ფულის გადახდა ღირს. ეს გეგმა ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა მიიღო და გქონდეს, თუ გინდა, რომ ქალაქი სწორად განაშენიანდეს. პარკინგია მოსაწყობი აგრარული ბაზრის წინ, ვინც იქ გაივლის და შეხედავს, ეს არის უბრალოდ კატასტროფა! მისაუბრია მოსახლეობასთან, რომელიც ამბობს, რომ მას ურჩევნია გაჩეროს მანქანა, გადაიხადონ თანხა და იცოდეს, რომ გასაჩერებელი ადგილი ექნება. მიშვებულია და მიყრილია ყველაფერი. მაგალითად ბანკს რომ ამენებენ

ახლა, მანდ გავაკეთებდი სამ-ოთხ-სართულიან მინისტრებსა საპარკინგე ფასიან გასაჩერებელს, რადგან აღარ გვაქვს ადგილი. თუ გვაქვს ამბიცი, რომ ვიყოთ ნორმალური ქალაქი, ამ ქალაქს სჭირდება პარკინგი!

**- კადრების კომპეტენციაზე რას იტყვით? ხშირად თელავის მერიაში აცხადებენ, რომ არ ჰყავთ კომპეტენტური კადრები. ანუ რა უნდა გავაკეთოთ მუნიციპალიტეტმა? ეს კრიზისი ერთ და ორ დღეში ვერ გადაიჭრება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში იგი როგორ უნდა მოგვარდეს?**

- უნდა გვახსოვდეს, რომ აქ არ შეიძლება პარტიული აქტივის დასაქმება! არ უნდა ფორმდებოდნენ შინაურები! ეს არის ერთადერთი ყველაზე სწორი მიდგომა. იგივე პრობლემა გექონდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც, ანუ პარტიული აქტივი გვყავდა დასაქმებული, მაგრამ მაშინ ცოტა შერჩევა მაინც ხდებოდა.

**- 150 000 ლარი გამოიყო მემდევრო წლის ბიუჯეტში სტუდენტების გადასახადის დაფინანსების მიმართულებით, აქ შედის კერძო სწავლის გადასახადის დაფინანსება სოციალურად დაუცველი და შშმ პირი სტუდენტებისთვის.**

- ასეთი ფორმით დაფინანსება არ მიმაჩნია სწორად. თუ ჩვენ სწავლის გადასახადს დავუფინანსებთ ისეთ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ თელავის უნივერსიტეტის გარდა სხვა უნივერსიტეტებში, ამით ნინასარჩევნოდ ნათქვამი წინადადებები, რომ თელავი საუნივერსიტეტო ქალაქია, ცაში გამოეკიდება. ჩვენ ასეთი პროგრამით დავაზარალებთ ჩვენს უნივერსიტეტს. შესაბამისად, სტუდენტს თუ ექნება შანსი, რომ მუნიციპალიტეტმა დაუფინანსოს, ის, ალბათ, წავა თბილისში, ამით კი ჩვენს უნივერსიტეტში ნაკადი შემცირდება.

**- ეს ხომ არ ნიშნავს თანხის არამიზნობრივ და არაგონივრულ ხარჯვას?**

- ერთი მხრივ, ასეა; მეორე მხრივ, თუ თელავში ისწავლის ყვარელი ან გურჯაანელი, ვერც მათ ვერ დააფინანსებენ, რადგან ამის უფლებამოსილება არ არსებობს. მეორეც, თანახმა ვარ, დააფინანსონ სტუდენტები, თუ ის კარგად სწავლობს! ეს არის მთავარი მოტივაცია და არა ის, რომ ადამიანი რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის წევრია. იმის მიხედვით უნდა დააფინანსოთ, რამდენად ამოვიღებთ ამ ფულს მისი ცოდნით. სწორი ინვესტირება უნდა გავაკეთოთ. მომხრე ვარ, სწავლა დავუფინანსოთ საზღვარგარეთ, ოღონდ მას მივცეთ ვალდებულება, რომ სწავლის დასრულების შემდეგ იმუშავეს მუნიციპალიტეტში მინიმუმ ხუთი წლის ვადით. ანუ არაფრისთვის თუ დავუფინანსებთ ბიუჯეტიდან სტუდენტს სწავლას, ეს ნიშნავს, რომ ამით შეიძლება ამ ადამიანმა იმაზე მეტი დაკარგოს ასეთი ხელშეწყობით. ჩვენ არ უნდა გავაზარალოთ და მოვადუნოთ ახალგაზრდები!

„ვალენსიას“ ქართველ მეკარე გიორგი მამარდაშვილის თქმით, თავისი კლუბით ძალიან ამაყობს და უხარია, რომ 2027 წლამდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება.

მას იტალიელ მეკარე ჯანლუიჯი დონარუმას შესახებ ჰკითხეს.

„რასაკვირველია, საამაყო, როდესაც დონარუმას გადარებენ, რადგან მან ახალგაზრდულ ასაკში დიდ სიმაღლეებს მიაღწია, – უპასუხა მამარდაშვილმა, რომელიც იტალიელზე წელიწადით და შვიდი თვით არის უმცროსი, – მის პროგრესს ყოველთვის დაკვირვებით ვადევნებდი თვალს და მაგალითად ვისახავდი“.

გიორგის აგრეთვე ჰკითხეს გასული ზაფხულის შესახებ, როდესაც მისი გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ უნდოდათ, მან კი „ჩემპიონი“ ამჯობინა დარჩენა და თქვა, რომ ტიტულების მოგება „მესტალიაზე“ სურს.

„ბავშვობაში კი ჩემი კერპი მანუელ ნოიერი იყო. ყოველთვის ვეთაყვანებოდი გერმანელს და ცვდილობდი, მისი მოქმედებები გამემეორებინა“, – თქვა მამარდაშვილმა ინტერვიუში.



ბოლოს საუბარი „ვალენსიას“ მწვრთნელებს, ახლანდელს – ჯენ-არო გატუზოსა და ყოფილს – ხოსე ბორდალასს შეეხო. „ამ სეზონში ახალი მწვრთნელი

გვეყავს, რომელიც განსხვავებული სტილით გვთამაშებს. ახალგაზრდული გუნდი ვართ, მაგრამ უკეთ ვთამაშობთ“, – უპასუხა ქართველმა.

ხოსე ბორდალასი კი ის ადამიანია, ვინც მას შანსი მისცა, ენდოდა დიდი კარიერა დაწყებინა. მამარდას ის სწორედ ამ კუთხით ახსოვს:

„გასული წელი ჩემთვის დაუჯერებელი იყო, რადგან 21 წლისამ ლალიგაში დავინყე თამაში. „კოპა დელ რეის“ ფინალშიც გავვდივით, სადაც წავაგეთ, მაგრამ რა გაენწყობა“.



„არგენტინისა და ნიდერლანდების დრამატულ, მაგრამ უკვე ისტორიულ მატჩს, რომელშიც „ალბისელესტემ“ „ორანიეს“ პენალტების სერიიში მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, უსიამოვნო ეპილოგი ჰქონდა, – წერს იტალიური გაზეთი „კორიერე დელო სპორტი“ და განაგრძობს, – ფეხბურთელები, ტრადიციისამებრ, მოედნის ცენტრში შეგროვდნენ, რათა იქიდან დაეჭირათ მხარი თანაგუნდელებისთვის, რომლებიც პენალტებს არტყამდნენ. არგენტინამ გაიმარჯვა, ზემის დროს კი ნიკოლა ოტამენდიმ ულირსი ფესტი იკაძრა. „ბენფიკას“ კაპიტანმა, ვეტერანმა (34 წლის) მცველმა, ჯერ მეტოქეებს გამოაჯავრა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუერთდა თანაგუნდელებს საერთო სიხარულის აღსანიშნავად. ეს არის საქციელი, რომელსაც დაგმობა სჭირდება, რადგან ის სპორტის ფასეულობათა წინააღმდეგაა.“

### პენალტი ზამთარში



ფიფას ფეხბურთის გლობალური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, არსენ ვენგერი, წინადადებით გამოდის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მომავალშიც ზამთარში გაიმართოს.

„თუ გვინდა, რომ ფეხბურთი უფრო დემოკრატიული გახდეს, აუცილებელია, მსოფლიო ჩემპიონატი აფრიკულ ქვეყნებშიც ჩატარდეს, სადაც ზაფხულში თამაში თითქმის შეუძლებელია. ყატარში მიმდინარე ტურნირი აჩვენებს, რომ ზამთარში მონდიალის გამართვა სავსებით შესაძლებელი და მისაღებია.“

გეთანხმებით, რომ ნაკრებების უმრავლესობას ცოტადრო ჰქონდა სათანადოდ მოსამზადებლად, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ჩემპიონატის ყველა მონაწილე შეჯიბრებას მენტალურად მზად შეხვდა, წინა ჩემპიონატებზე ასე არ იყო. ადრე ნაკრებების წევრები ჩემპიონატს ფსიქოლოგიურად გადალღილები იწყებდნენ, რადგან სათანადოდ მომზადებას ვერ ახერხებდნენ“, – უთხრა ვენგერმა ფრანგულ L'Équipe -ს.

### ტიტე ნაკიდა, ნეიმარი ნაჰყვება

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიტემ განაცხადა, რომ ყატარის მსოფლიო ჩემპიონატიდან გავარდნის შემდეგ ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტიდან წავიდა.

ტიტეს ხელმძღვანელობით „სელესაო“ ორჯერ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში, მაგრამ ორივეჯერ ამ ეტაპზე გამოეთიშა ასპარეზობას – 2018 წელს რუსეთში გამართულ მონდიალზე ბელგიის ეროვნულმა გუნდმა დაამარცხა, ახლა კი – პენალტების სერიიში ხორვატიამ.

ტიტეს გარდა ბრაზილიის ნაკრები, შესაძლოა, ნეიმარმაც დატოვოს. ხორვატიასთან მატჩის შემდეგ მან კომენტარი გააკეთა და სანაკრებო კარიერის შესახებაც ისაუბრა:

„ვიფიქრობ, ახლა არ არის ამ თემაზე საუბრის დრო, მაგრამ ვერაფრის გარანტიას ვერ მოგცემთ. უნდა ვიფიქრო ჩემს მომავალზე. ეროვნულ გუნდს კარს არ ვუხურავ, მაგრამ 100 პროცენტით არ ვამბობ, რომ აქ სათამაშოდ დავბრუნდები.“

ხორვატიასთან დამარცხების ტკივილი ხანგრძლივი იქნება. მადლობა ბრაზილიელ გულშემატკივრებს ეროვნული ნაკრებისადმი გამოვლენილი მხარდაჭერისთვის, სიყვარულისთვის და პატივისცემისთვის“, – განაცხადა ნეიმარმა.





# გაზაქის ვილახი საზრანგეთში დასვდა

საზრანგეთის ქალაქ ორლანის GRAND PRIX NUOMA 2022 ფარიკაობაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირია. სასიამოვნოა, რომ წლეულს მისი ვერცხლის მედალოსანი ქართველი სანდრო ბაზაძე გახდა. ხმლით მოფარიკავე ქართველი განთესილი იყო და საქმეში პირდაპირ მერვედფინალიდან ჩაერთო: სანდრო ბაზაძე მსოფლიო თასის გამარჯვებულია – ITV სანდრომ ჯერ იტალიელი ჯოვანი რეპეტი 15:10 დაამარცხა, მას სამხრეთ კორეელი ბონგილ გუ 15:11 მიაყოლა, ხოლო ნახევარფინალში იტალიელი ლუკა კურატოლე გაანადგურა – 15:6. ფინალში ბაზაძე უნგრელ არონ შილაგის დაუპირისპირდა. გახსოვთ, ალბათ, ტოკიო 2020-ის ოლიმპიადაზე ამ მოფარიკავეთა ჯახი ხმაურიანად დასრულდა. მართალია, შილაგიმ მოიგო, მაგრამ იქ ჩანდა, რომ სანდროს მოგება ნაართვეს. აქედან გამომდინარე, რეგანში ასაღები იყო, მაგრამ არ შედგა — უნგრელმა

ამჯერად უკეთ იასპარეზა და ჩვენებური 15:10 დაამარცხა. ჩვენებურისთვის ეს გრან-პრის პირველი ფინალი იყო. აქამდე სანდროს კაიროსა და მონრეალის გრან-პრისზე ბრინჯაოს მედლები ჰქონდა მოპოვებული. ორლანის გრან-პრი საუკეთესო 16 მონაწილეს შორის დაასრულა ლიკა ჯიჯევიშვილმა. 23 წლის ქართველმა მოფარიკავემ ჯგუფური და საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გაიარა და ძირითად ბადეში ძლიერ მონაწილედ შეგებას დაიწყო. ოცდამეთორმეტეფინალში 33 წლის გამოცდილი ესპანელი, რეიტინგის მეცხრე ნომერი, გასული მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, არასელი ნავარო, 15:13 დაამარცხა, მეთექვსმეტეფინალში იტალიელ რეპეკა გარგანოს 15:12 სძლია, მერვედფინალში კი, დაძაბულ ბრძოლაში, ოლიმპიურ პრიზიორ, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსან ფრანგ მანონი აპიტი-ბრუნესთან 11:15 დამარცხდა.

## გმირი და ბრიტნი

2022 წლის 17 თებერვალს რუსეთის ქალთა საკალათბურთო ჩემპიონატში მოასპარეზე ამერიკელი ლეგიონერი, ბრიტნი გრანიერი, სამშობლოში ბრუნდებოდა.



აეროპორტში სამართალდამცველთა ძალებმა სუნი აილო ბრიტნის ჩანთაზე და საკალათბურთო ვარსკვლავის პრობლემაზე აქედან დაიწყეს — პოლიციელებმა ჩანთაში დიდი ოდენობით ჰაშიში იპოვეს.

სანაცვლოდ კი მიიღო ტერორისტი ვიქტორ ბუტი.

გრანიერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, იგი აეროპორტშივე დააკავეს. წესით, სოლიდური ფულადი ჯარიმის გადახდის შემდეგ ამერიკელ კალათბურთელს დეპორტაცია ელოდა, თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: ერთ კვირაში რუსეთმა ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო უკრაინის ტერიტორიაზე, ბრიტნი გრანიერი კი მძევლად დაიტოვა.

ვიქტორ ბუტს ზედმეტსახელი „სიკვდილის გამყიდველი“ აქვს. ის რუსული КГБ-ს აგენტი გახლავთ და წლების განმავლობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყიდდა იარაღს.

თითქმის 11 თვის განმავლობაში აშშ და რუსეთი ერთმანეთში ვაჭრობდნენ, თუ როგორი ტიპის გაცვლა შეიძლებოდა მომხდარიყო — ამერიკელებს არ აწყობდათ, რომ მათი ნაკრების კალათბურთელი რუსეთის ციხეში იჯდა, თავის მხრივ, რუსები ბრიტნის გამოსაშვებად ძალიან დიდ „ფასს“ ითხოვდნენ.

ბუტისგან მიყიდული იარაღით არაერთმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ „ისარგებლა“, — მათ ბევრ ამერიკელ სამხედროსა და არა მარტო სამხედროს დაასრულებინეს სიცოცხლე ნადრევად. ამერიკულმა სამართალდამცველებმა ვიქტორი 2008 წელს დააკავეს — ტალიანდში ჩატარებული წარმატებული სპეცოპერაციის შემდეგ „სიკვდილის გამყიდველი“ აშშ-ში ჩაიყვანეს და მას 25-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს.

5 აგვისტოს მდგომარეობა დამძიმდა — რუსულმა სასამართლომ კალათბურთელს 1 მილიონი რუბლის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა და 9-წლიანი სასჯელი „გამოუნერა“ ქალთა კოლონიაში.

დღეს ვიქტორ ბუტი გმირის სტატუსით დაუბრუნდა საკუთარ ქვეყანას.

გრანიერის პრობლემა მთელმა მსოფლიომ გაიგო — ლებრონ ჯეიმსმა ამერიკის მთავრობა გააკრიტიკა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში კალათბურთელი სახლში ვერ დააბრუნეს. დონალდ ტრამპმა პირიქით თქვა: ერთი უტვინო, ნარკომანი კალათბურთელის გამო-სახსნელად ამერიკა არ უნდა იკლავდეს თავის.

ამ პოლიტიკურ გაცვლას ორმაგი სახე აქვს:

საბოლოოდ, პოლიტიკური ვაჭრობა შედგა — აბუ დაბის აეროპორტში რუსულმა მხარემ ამერიკელებს გადასცა ბრიტნი გრანიერი,

1. ამერიკა იცავს და ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, მსოფლიოს რომელიც კუთხეშიც არ უნდა იყვნენ ისინი.  
2. ამერიკამ ნარკომან კალათბურთელში გაცვალა მსოფლიო დონის ტერორისტი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მთელ პლანეტას. ყველა აღიარებს, რომ ამ გაცვლით რუსმა დიპლომატებმა „მშრალად“ მოუგეს ამერიკელ კოლეგებს.



# ყველაზე ლამაზი

ხორვატმა მოდელმა, ივანა კნოლმა, ნაკრების ყველაზე ლამაზი ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა. „ლუკა მოდრიჩი ჩემი ფავორიტია. ის საუკეთესო ფეხბურთელია. ყველაზე ლამაზი კი ჩვენს ნაკრებში იოშკო გვარდოლია“, — თქვა ივანამ. მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ხორვატები ბრაზილიის ეროვნულ გუნდს შეხვდებიან და იოშკოს საქონაგოდ ივანა აუცილებლად წავა სტადიონზე.



# მილიონი ფაიხს!

საუდის არაბეთში დასრულდა ჩოგბურთის საგამოფენო ტურნირი, რომელშიც ბევრი ძლიერი სპორტსმენი მონაწილეობდა. Exhibition Diriyah Tennis Cup-ის შემადგენლობა ფრიად შთაბეჭდვად გამოიყურებოდა: სტეფანოს ციციპასი, კამერონ ნორი, ნიკ კირიოსი, ტილორ ფრიცი, ჰუბერტ ჰურკაჩი, სტენ ვაგინიკა, მატეო ბერეტინი, ანდრეი რუბლიოვი, დომინიკ ტიმი, ალექსანდრ ზვერევი, დანილ მედვედევი. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ტურნირის ფინალში ტილორ ფრიცი და დანილ მედვედევი გავიდნენ. ამერიკელისა და რუსის დაპირისპირებაც უაღრესად საინტერესო და დრამატული გამოდგა. პირველი სეტის მიმდინარეობისას დანილ მედვედევს 6 ბრეიკპოინტი ჰქონდა მეტოქის 3 სხვადასხვა გეიმში, თუმცა დანილმა მათი რეალი-

ზება ვერ შეძლო. ვერგამოყენებული შანსებისთვის რუსი დაისაჯა — ფრიცმა ტაიბრეიკი 7:5 მოიგო და სეტებში დანინაურდა 1-0. მეორე პარტიაც დაახლოებით ანალოგიური სცენარით განვითარდა: მედვედევი ძალიან მარტოვად იგებდა გეიმებს საკუთარ ჩანოდეზზე, მეტოქისაზე კი სტაბილურად მიდიოდა ბრეიკპოინტებამდე. მეორე სეტში დანილმა 3 ბრეიკპოინტი „გაანიავა“, რისთვისაც ამჯერადაც დაისაჯა: ტაიბრეიკზე ამერიკელმა 7:3 იმარჯვა და მატჩი 2 პარტიაში მოიგო 7:6 7:6. Exhibition Diriyah Tennis Cup-ის ტურნირის გამარჯვებულმა ტილორ ფრიცმა საპრიზო თანხის სახით 1 მილიონი ამერიკული დოლარი მიიღო, ფინალისტმა მედვედევმა კი — ნახევარი მილიონი.

კვირის ჰოროსკოპი

გერბი

ამ კვირაში წარმატება გელით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ დაიზარებთ და საქმეს მუდმივად ხელისთვის არ გადადებთ.

აუზი

ამ კვირაში შესაძლოა შორის ობიექტი გახდეთ, განსაკუთრებით თუ რაიმე საიდუმლო გაქვთ. ფინანსური პრობლემების გამო თქვენს გვერდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელია.

ტყუბი

ამ კვირაში ბევრ თქვენგანს კარგი შესაძლებლობა ექნება, რომ კარიერა გაუმჯობესოს, თუმცა მოგონეთ გარკვეული ძალისხმევა, რათა ყურადღება გაამახვილოთ კონკრეტულ საქმეზე და მის ბოლომდე მიყვანას ეცადეთ.

კირჩხიბი

ამ კვირაში შეიძლება ახალი საქმით დაკავდეთ. ბევრ რამში უნდა იყოთ რეალისტები, შეიძლება დაგდა დრო მკაცრი, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ლომი

ამ კვირაში ლომების უმეტესობისთვის ყველაფერი საათივით აგებულია, არაფერი სირთულეები არ შეგექმნება. ყურადღება არ მიჰქცით ზოგიერთ უცნაურობას თქვენი ნაცნობების ქვეყანაში, ისინი არ შეცვლიან, თქვენთან კი ყველაფერი კარგადია.

ქალწული

ეს კვირა ხელს უწყობს გარკვეული შედეგების შეგნებას ცხოვრებაში. არ იზამთ დაკარგული შესაძლებლობები, სავარაუდოდ, რომ უზრაოდ არასწორად აფასებთ სიტუაციას.

სასწორი

ეს კვირა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოაქვს თქვენს მიზანდასახულობას და თვითღმარებლობას. იყავით ფიზიკურად, კარგად გააანალიზეთ შექმნილი სიტუაცია, არ დაკარგოთ მომინება და ადეკვატურ შედეგებზე თქვენი შემოქმედებით იდებების რეალიზებას როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდური მუშაობისას.

კვირის ჰოროსკოპი

მოჩივლი

ამ კვირაში შესაძლებელია გვეცხვებოთ, განხორციელოთ თქვენი გეგმები, თუნდაც ყველაზე ექსტრავაგანტური, ამიტომ სუ დაკარგეთ დროს და იმოქმედეთ: თუ საქმე გახდა, გარსკვალსაც სუ შეგვიმზადებთ.

მშვიდობანი

ამ კვირაში სასურველია ფრთხილად იყოთ ახალ ნაცნობებთან დაკავრებით, რადგან შესაძლოა მათთან ურთიერთობამ პრობლემები შეგიქმნას. სამსახურში სავარაუდოდ ახალი შესაძლებლობები და პერსპექტიული პროექტები გამოჩნდება.

თხის რქა

დრო შეაფასეთ და გადახედეთ თქვენს ღირებულებებს. გვეროდეთ თქვენი ძიებები, ახლა ხელსაყრელი მომენტია გადაწყვეტი მიიღებდით. აკონტროლოთ თქვენი ემოციები, რათა სხვებთან ურთიერთობა არ გააუფრთხილოთ თქვენი თავშეუცუკელობის გამო.

ბერძენული

შეეცადეთ ამ კვირაში ამიცივდეს არ აყვით, ნინალმდეგ შემთხვევაში შესაძლოა თქვენი ავტორიტეტი საერთის ქვე დადგეს. კარგად გაიანალიზეთ და გაანალიზეთ შემომავალი ინფორმაცია და უფრო მშვიდად და თავდაჯერებულად მუშაობას შეძლებთ.

თევზები

ამ კვირაში ზედმეტად არ იქნება, დაჯერდეთ ცხოვრებაზე და თქვენს ადგილზე ამჯერად. სუ დანერგოხმანებით, დისახეთ გლობალური მიზნები. დრო ძველ პრობლემებს გაუმკლავდეთ და მომავალზე იფიქროთ. მზათ-კვირას შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ და ძალები აღიდგინოთ შემდეგი აქტიურობისთვის.

## ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

**გამოდის ორგზათობით** **ფასი 2.50 ლარი**

**პირველი გვერდი:**  
1 სმ<sup>2</sup> – 15 ლარი, მაქსიმალური შეკვეთა 300 სმ<sup>2</sup>;

**მეორე-მესამე გვერდები:**  
1 სმ<sup>2</sup> – 3 ლარი;

**შიდა გვერდები:**  
1 სმ<sup>2</sup> – 1 ლარი;

**ბოლოს წინა გვერდი:**  
1 სმ<sup>2</sup> – 2 ლარი;

**ბოლო გვერდი:**  
1 სმ<sup>2</sup> – 3 ლარი,

---

**მაქსიმალური შეკვეთა – მთელი გვერდი;**

---

**მთლიანი გვერდის საერთო ფართობი – 1000 სმ<sup>2</sup>;**

---

**რეკლამა ჩანართის სახით:**  
A3 ფორმატის ერთ ნომერში განთავსება – 500 ლარი;  
A4 ფორმატის ერთ ნომერში განთავსება – 300 ლარი;

---

**მის.: თარხნიშვილი N21; 599 19 19 10 (შავლაგო ციხელაშვილი)**

	1 აშშ დოლარი	2.6802
	1 ევრო	2.8300
	1 გირანგა სტერლინგი	3.2811

ამინდი	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
თბილისი	5-7°	6-8°	11-13°	12-14°	13-15°	12-14°	11-13°
ქუთაისი	13-15°	9-10°	15-17°	16-18°	11-13°	14-16°	17-18°
ბათუმი	17-18°	14-16°	15-18°	14-15°	13-16°	17-18°	18-20°
ზუგდიდი	16-17°	9-11°	14-16°	15-16°	11-12°	15-17°	17-19°
გორი	5-7°	3-5°	7-9°	8-10°	7-9°	9-10°	8-10°
თელავი	7-9°	8-10°	11-13°	12-14°	9-11°	10-12°	11-13°
ფოთი	13-15°	11-13°	15-17°	16-18°	13-15°	15-17°	17-19°

**სარედაქციო კოლეგია**

**ყველა უფლება დაცულია; „ქრონიკა“-ში გამოქვეყნებული მასალების ნებისმიერი სახით გამოყენება და გავრცელება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია!**

**გაზეთში ® ნიშნით გამოქვეყნებულ მასალებს აქვთ სარეკლამო ხასიათი; მათში გამოხატული პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს რედაქციის შეხედულებას.**

**მთავარი რედაქტორი ელისო კილაძე (599 17 12 12)**

როსტიაშვილი თამარ 577 10 07 06	სტილისტი: რუსუდან ქუთათელაძე
მოსიაშვილი მაკა 599 97 25 55	დაკაბადონება: დავით ფარუაშვილი
საკარული გიორგი 555 42 42 81	რედაქციის მისამართი:
გელხვიძე გიგა 592 41 85 85	თბილისი, თარხნიშვილის N21,
სანაძე თამარ 591 04 44 63	პირველი სართული, ბინა 4;
ქემოკლიძე ლევან 593 16 01 40	სარეკლამო განყოფილება,
დევიძე დავით	გავრცელების სამსახური

შავლეგო ციხელაშვილი 599 19 19 10  
გაზეთი იბეჭდება სტამბაში „ტორი“

ISSN 2346-8025

**☎ 294 69 77;**  
qronikaqronika@gmail.com